



საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში

**უვალო თავისუფლებათა დაცვითილი
მსჯავრდებულების მიმართ განხორციელებული
მართლმსაჯულებისა და პირობით ვადამდე
გათავისუფლების საკანონმდებლო და პრაქტიკული
ანალიზი**

მომზადებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის
21-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

სარჩევი

1. შესავალი	4
2. მეთოდოლოგია	7
3. მიგნებები და ზოგადი მონაცემები	9
4. უვადო თავისუფლებადკვეთილ მსჯავრდებულთა უფლებები სახალხო დამცველის აპარატის გასული წლების საქმიანობაში	11
4.1. 2012 წლის ამნისტია და პირობით გათავისუფლება.....	11
4.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იმპლემენტაციის პრობლემა.....	14
5. უვადო თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული საკანონმდებლო გარანტიები საქართველოში და არსებული მექანიზმების შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან	17
6. ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი საერთაშორისო/ევროპული სტანდარტები.....	23
6.1. მიმოხილვა.....	23
6.2. ევროპის საბჭოს დოკუმენტებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა სამუდამო პატიმრობაშეფარდებულ პირებთან მიმართებით.....	24
6.3. ზოგადი დასკვნა უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელის შესახებ.....	29
6.4. ცალკეული ქვეყნების მაგალითები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები.....	30
6.4.1. კვიპროსი	30
6.4.2. გერმანია.....	31
6.4.3. საფრანგეთი	34
6.4.4. გაერთიანებული სამეფო.....	35
6.4.5. ბულგარეთი.....	40
6.4.6. უნგრეთი.....	43
6.4.7. იტალია.....	44
7. უვადო მსჯავრდებულები საქართველოს პენიტენციურ სისტემაში	45
7.1. სასჯელის მოხდის პირობებში ჩადენილი დანაშაული	46
7.2. დისციპლინური სახდელები და წახალისებები	48
7.3. გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიშები	50
7.4. მსჯავრდებულებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები	57
8. უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენება 18-20 წლის პირთა მიმართ.....	59
9. უვადო მსჯავრდებულთა ბრალდების სისხლის სამართლის საქმეები.....	61

9.1.	ახლად გამოვლენილი გარემოებები	62
9.1.1.	ზ. ს.-ს, მ. ფ.-სა და მ. ა.-ს საქმეები.....	64
9.1.2.	ახლად გამოვლენილი გარემოებები სხვა სისხლის სამართლის საქმეებში	67
9.2.	დაუსაბუთებელი განაჩენი მტკიცებულებით ნაწილში.....	68
9.2.1.	ი. ა.-ს საქმე.....	69
9.2.2.	ნ. ჩ.-ს საქმე.....	75
9.2.3.	ზ. ს.-ს საქმე.....	80
9.3.	დაუსაბუთებელი განაჩენი სასჯელის ნაწილში.	83
	ნ. ც.-ს საქმე.....	83
9.4.	მაკვალიფიცირებელი გარემოების დაუსაბუთებლობა განაჩენში.....	85
	მ. ფ.-ს საქმე.....	85
9.5.	დაკარგული სისხლის სამართლის საქმე და სახალხო მსაჯულები სასამართლო შემადგენლობაში	86
9.6.	მსჯავრდებულების შეზღუდვა საპროცესო უფლებაში.....	91
10.	შეჯამება	94

1. შესავალი

საქართველოს კანონმდებლობით, უვადო თავისუფლების აღკვეთა არის სასჯელის ყველაზე მკაცრი სახე, რომელიც შეიძლება დაენიშნოს სრულწლოვან პირს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის. საქართველოს პენიტენციურ სისტემაში, 2024 წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით, განთავსებულია უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული 89 პირი, მათ შორის 86 მამაკაცია, 3 - ქალი. მათგან საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული შეწყალების აქტით, 4 მსჯავრდებულს (მამაკაცს) უვადო თავისუფლების აღკვეთა შეცვლილი აქვთ სხვადასხვა ვადით და განსაზღვრული აქვთ გათავისუფლების თარიღი.

მოცემულ ანგარიშზე მუშაობის პროცესში, სახალხო დამცველის აპარატმა გამოავლინა იმგვარი ტიპის ახალი გარემოებები, რომლის საფუძველზეც, ერთ-ერთი უვადო თავისუფლებათა აღკვეთილი პირი, რომელიც სასჯელს 2004 წლიდან იხდიდა, უკვე გათავისუფლდა პენიტენციური დაწესებულებიდან.

ხსენებული 89 მსჯავრდებულიდან, წინამდებარე სპეციალური ანგარიშის შესწავლის საგანს იმ უვადო თავისუფლებათა აღკვეთილი პირების საქმეთა შესწავლა წარმოადგენდა, რომლებსაც სასჯელის, მინიმუმ 12 წელი აქვთ ფაქტობრივად მოხდილი, ასეთი მსჯავრდებული კი 59-ია.¹ ანგარიშის მიზნებისათვის მოცემული ვადის განსაზღვრა განაპირობა იმან, რომ 2021 წლის 9 თებერვალს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცდა „უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა“, რაც სავალდებულოა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისთვის, რომელსაც სურს სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება ან დარჩენილი სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა. პროგრამის დაწყების შესაძლებლობა კი აქვს ისეთ მსჯავრდებულს, რომელმაც ფაქტობრივად მოიხადა 12 წელი. ამგვარად, სახალხო დამცველის აპარატი ანგარიშის ფარგლებში ფოკუსირდა იმ უვადო თავისუფლებათა აღკვეთილ მსჯავრდებულებზე, რომლებსაც პრაქტიკაში უკვე შეუძლიათ გათავისუფლების პერსპექტივაზე ზრუნვა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მსჯავრდებულთა ხსენებული კატეგორია და მათი უფლებრივი მდგომარეობა პირველად არ გამხდარა სახალხო დამცველის აპარატის ინტერესის საგანი. მაგალითად, 2023 წელს² სახალხო დამცველის აპარატი

¹ სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 28 ნოემბრის N356507/01 წერილი.

² 2021 წლის 11 იანვრის საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N90-IIრს-XXIII), რომლითაც უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შესახებ შუამდგომლობის განსახილველად სავალდებულო გახდა „უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლების მომზადების პროგრამის“ წარმატებით გავლა, ძალაში შევიდა 2021 წლის 11 იანვარს. ვინაიდან პროგრამა 2 წლიანია, საერთო სასამართლოები 2023 წლიდან იყვნენ უფლებამოსილი, განეხილათ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების მიმართ პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შესახებ შუამდგომლობები.

დაინტერესდა უვადოდ თავისუფლებადკვეთილი პირების სასჯელის გადასინჯვის მექანიზმის ფუნქციონირებით, რაც როგორც სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში, ისე საქმიანობის ანგარიშშიც აისახა.³

როგორც ცნობილია, ეროვნული სასამართლოების მიერ სრულწლოვანი დამნაშავეთა თავისუფლების სახით უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება თავისთავად არ არის აკრძალული ან შეუთავსებელი ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი აქტებით, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში კონვენცია) მე-3 ან კონვენციის რომელიმე სხვა მუხლით დაცული უფლებით.⁴ თუმცა, ამავე დროს, პირისათვის სამუდამო პატიმრობის შეფარდებამ, რომლის შემცირების ან გაუქმების თეორიული და პრაქტიკული შესაძლებლობაც არ არსებობს, შესაძლოა გამოიწვიოს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რომელიც ითვალისწინებს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვას.⁵ ამასთან, უვადოდ თავისუფლებადკვეთილმა პირმა, შესაძლოა, სრულად მოიხადოს სასჯელი და ეს წინააღმდეგობაში არ მოვიდეს კონვენციის რომელიმე მუხლით დაცულ უფლებასთან.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა საქართველოში განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულებისთვის არის გათვალისწინებული და, ცხადია, სახალხო დამცველის აპარატი მხედველობაში იღებს და იზიარებს დაზარალებული ოჯახების მდგომარეობასა და პოზიციას უვადოდ მსჯავრდებული პირების მიმართ საშეღავათო მექანიზმების გამოყენებასთან დაკავშირებით. აპარატს მიაჩნია, რომ ერთი მხრივ, სახელმწიფო უნდა იყოს ემპათიური დაზარალებულთა მიმართ და სამართლიანად და ადეკვატურად მიიღოს მხედველობაში მათი ინტერესები, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული არ უნდა იქნეს გამოყენებული იმდაგვარად, რომ უვადოდ მსჯავრდებული პირების პირობით გათავისუფლების ან/და დანიშნული სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის მექანიზმი მხოლოდ კანონმდებლობაში არსებულ, ფორმალურ შესაძლებლობად დარჩეს.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მყოფ უვადოდ მსჯავრდებულთაგან ნაწილის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიება ჩატარებულია 15 წლის ან უფრო დიდი ხნის წინ. კრიმინალისტიკა - მტკიცებულებების შეგროვების, ფიქსაციის, გამოყენების, დანაშაულის გახსნისთვის საჭირო სამეცნიერო-ტექნიკური ხერხებისა და საშუალებების შემსწავლელი მეცნიერება - დროსთან ერთად განვითარდა, საგამოძიებო ორგანოებს მიეცათ დანაშაულის გახსნისა და ისეთი

³ იხ. < <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf> > გვ. 103-106; < <https://ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf> > საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 253-263.

⁴ იხ. *Kotälla v. Netherlands*, No. 7994/77, 1978 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება, DR 14, გვ. და *Sawoniuk v. the United Kingdom* (dec.), No 63716/00, ECHR 2001-VI.

⁵ იხ., *inter alia*, *Nivette v. France* (dec.), No. 44190/98. ECHR 2001 VII, სტენფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (dec.) No 73299/01, 12 December (dec.) 67385/01; 2003 წლის მაისი.

მტკიცებულებების (ვიდეო ჩანაწერები, დნმ⁶ და ა.შ.) მოპოვების მეტი შესაძლებლობა, რაც წლების წინ არ იყო ხელმისაწვდომი. ამასთან, წლებთან ერთად განვითარდა მტკიცების სტანდარტებიც. წლების განმავლობაში საკანონმდებლო, ტექნოლოგიური და კრიმინალისტიკური ცვლილებების პირობებში, ჯერ კიდევ წინა საუკუნეში გასამართლებული პირებიც, დღემდე იხდიან სასჯელს, რაც, სხვა მიზეზებთან ერთად, გახდა უვადოდ მსჯავრდებული პირების ბრალდების სისხლის სამართლის საქმის მასალების სრულად შესწავლით დაინტერესების მიზეზი.

ამგვარად, სახალხო დამცველმა, საკუთარი ინიციატივით საკითხის შესწავლის ფარგლებში, გამოიკვლია როგორც უვადო მსჯავრდებულების განაჩენები და სისხლის სამართლის საქმეები, ისე - მათი ისტორია პენიტენციურ სისტემაში სასჯელის მოხდის პერიოდში. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის, მართლმსაჯულებისა და სასჯელადსრულების მიმართულებით, როგორც სახალხო დამცველის აპარატს, ასევე, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელ არაერთ სუბიექტს სრულყოფილად გამოკვლეული აქვს არაერთი ასპექტი, ასახული აქვს სპეციალურ, საქმიანობისა და საპარლამენტო ანგარიშებში. თუმცა, ქართულ პენიტენციურ სისტემაში მყოფი უვადო თავისუფლებადაცვეთილი მსჯავრდებულების უფლებრივი მდგომარეობა და მომიჯნავე საკითხები დღემდე ამგვარი მოცულობით არც ერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ინსტიტუტის ან ორგანიზაციის მიერ არ შესწავლილა.

წინამდებარე სპეციალური ანგარიშის მიზანია, მკითხველს გააცნოს საერთაშორისო პრაქტიკა და ევროპული სტანდარტები უვადოდ თავისუფლებადაცვეთილი პირებისათვის სასჯელის შეფარდების, მათზე შეღავათის გავრცელებისა და ე. წ. „იმედის უფლების“ მიმართულებით; მიმოიხილოს საქართველოში არსებული გარანტიები და მექანიზმები ევროპულ სტანდარტებთან მიმართებით, მაქსიმალურად დეტალურად მიმოიხილოს უვადო მსჯავრდებულების ბრალდების სისხლის სამართლის საქმეთა გაცნობის შედეგად გამოკვეთილი როგორც ინდივიდუალური, აგრეთვე, არაერთხელ განმეორებადი ხარვეზები, და წარმოაჩინოს პენიტენციურ სისტემაში სასჯელის მოხდის პერიოდში უვადო მსჯავრდებულებთან მიმართებით გამოვლენილი ტენდენციები.

⁶ გამოძიების ფარგლებში ამოღებულ გენეტიკურ მასალაზე (თმა, სისხლი, ნერწყვი, სპერმა და ა.შ.) დნმ-ის (დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა) კვლევა ტარდება საექსპერტო დაწესებულებაში, რაც შესაძლებელს ხდის დადგინდეს გენეტიკური მასალის კონკრეტული ინდივიდისადმი კუთვნილება.

2. მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოთხოვნილი იქნა ინფორმაცია უვადოდ მსჯავრდებული 58 პირის შესახებ,⁷ სასჯელის მოხდის მთელი დროის განმავლობაში, გამოყენებული დისციპლინური სახდელების, წახალისებებისა და პენიტენციურ სისტემაში ჩადენილი დანაშაულების შესახებ,⁸ რაც აპარატს გადაეცა⁹. ანგარიშის მიზნებისთვის სრულად დამუშავდა წარმოდგენილი ინფორმაცია. გარდა ამისა, აპარატმა გამოითხოვა¹⁰ და მიიღო ყველა იმ უვადოდ მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიში, რომელსაც დასრულებული აქვს მომზადების პროგრამა, ასეთი სულ არის 37 უვადოდ თავისუფლებადკვეთილი.¹¹ სრულად იქნა შესწავლილი 37-ივე ანგარიში.

ანგარიშის მიზნებისთვის სახალხო დამცველის რწმუნებულებმა, წინასწარ შემუშავებული კითხვარის გამოყენებით, რომელიც შეეხებოდა პენიტენციურ დაწესებულებებში უვადოდ მსჯავრდებული პირებისთვის სარეაბილიტაციო პროგრამების, კურსების, მენტალური ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობას, პენიტენციურ დაწესებულებაში მოპყრობის პირობებსა და გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის მიმართ მათ დამოკიდებულებებს, გამოკითხეს 51 უვადოდ მსჯავრდებული პირი.¹²

ანგარიშის მიზნებისთვის, სახალხო დამცველის აპარატმა საერთო სასამართლოების არქივიდან,¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოდან,¹⁴ ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან,¹⁵ მცხეთის რაიონული სასამართლოდან,¹⁶ თბილისის საქალაქო

⁷ უვადოდ მსჯავრდებულს 12 წლის ფაქტობრივად მოხდის შემდეგ შეუძლია ჩაერთოს გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამაში. სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით (სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 25 აპრილის 122533/01 წერილი) ამ დროისთვის პენიტენციურ სისტემაში ასეთი 59 უვადოდ მსჯავრდებული პირი იმყოფება, რომელთაგან ერთმა უარი განაცხადა მის შესახებ არსებული ინფორმაციის აპარატისთვის გადაცემაზე.

⁸ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 16 აპრილის N2024/371 და 2024 წლის 2 მაისის N2024/940 წერილები.

⁹ სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 25 აპრილის N122533/01 და 024 წლის 12 ივნისის N169508/01 წერილები.

¹⁰ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 2 მაისის N2024/940 წერილი.

¹¹ სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 12 ივნისის N169508/01 წერილი.

¹² შვიდმა მსჯავრდებულმა გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

¹³ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 18 ივნისის N2024/2004, 2024 წლის 28 ივნისის N2024/2280, 2024 წლის 12 ივლისის N2024/2752, 2024 წლის 8 აგვისტოს N2024/3578, 2024 წლის 9 აგვისტოს N2024/3626 და 2024 წლის 26 სექტემბრის N2024/4878 წერილები.

¹⁴ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 3 ივლისის N2024/2462, 2024 წლის 26 ივლისის N2024/3194 და 2024 წლის 9 აგვისტოს N2024/3624 წერილები.

¹⁵ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 17 სექტემბრის N2024/4550 წერილი.

¹⁶ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 3 ივლისის N2024/2421 და 2024 წლის 17 სექტემბრის N2024/4552 წერილები.

სასამართლოდან¹⁷ და საქართველოს გენერალური პროკურატურიდან¹⁸ მოითხოვა 58 უვადო მსჯავრდებულის, ჯამში 47 სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების გადმოცემა ან/და საქმის მასალების ადგილზე გაცნობა.

საერთო სასამართლოების არქივმა,¹⁹ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ,²⁰ ქუთაისის საქალაქო სასამართლომ,²¹ თბილისის საქალაქო სასამართლომ,²² მცხეთის რაიონულმა სასამართლომ²³ და საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ²⁴ აპარატს მისცა მოთხოვნილი ყველა სისხლის სამართლის საქმის მასალების სრულად გაცნობის შესაძლებლობა. საბოლოოდ, სახალხო დამცველის აპარატი გაეცნო 47 სისხლის სამართლის საქმის სრულ მასალებს, საერთო ჯამში დაახლოებით 250 ტომის მოცულობით, რაზეც უვადო თავისუფლების აღკვეთა მისჯილი აქვს 58 პირს. ორმოცდათვრამეტივე პირი სხვადასხვა სახის მკვლელობისთვის იხდის სასჯელს.

გარდა ამისა, წინამდებარე ანგარიში ეყრდნობა მოწვეული ექსპერტის მიერ შემუშავებულ კვლევას, რომელიც სახალხო დამცველის აპარატის ინიციატივით ჩატარდა.²⁵ კვლევის ფარგლებში, გაანალიზდა ეროვნული კანონმდებლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო გარანტიები უვადო თავისუფლებადკვეთილი პირისათვის სასჯელის შესაძლო შემსუბუქების, შემცირების ან პატიმრობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

ანგარიშზე მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საერთო სასამართლოების არქივის, საქართველოს უზენაესი და საერთო სასამართლოების მიერ მოცულობითი ინფორმაციის/მასალების მოწოდებისა თუ ადგილზე გაცნობის

¹⁷ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 24 ივლისის N2024/3144 და 2024 წლის 17 სექტემბრის N2024/4551 წერილები.

¹⁸ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 22 ივლისის N2024/3023 და 2024 წლის 17 სექტემბრის N2024/4549 წერილები.

¹⁹ საერთო სასამართლოების არქივის 2024 წლის 2 ივლისის N07-5714, 2024 წლის 1 ივლისის N07-5664, 2024 წლის 1 ივლისის N07-5667, 2024 წლის 3 ივლისის N07-5758, 2024 წლის 5 ივლისის N07-5828, 2024 წლის 5 ივლისის N07-5843, 2024 წლის 16 ივლისის N07-6120, 2024 წლის 22 ივლისის N07-6294, 2024 წლის 3 ივლისის N07-5758, 2024 წლის 22 ივლისის N07-6291, 2024 წლის 15 აგვისტოს N07-7046, 2024 წლის 4 სექტემბრის N7598, 2024 წლის 13 აგვისტოს N07-6962, 2024 წლის 5 სექტემბრის N07-7646 წერილები.

²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 11 ივლისის N3-604-24, 2024 წლის 31 ივლისის N3-732-24, 2024 წლის 19 აგვისტოს N3-763-24, 2024 წლის 6 სექტემბრის N3-763-24 წერილები.

²¹ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 27 სექტემბრის N96341 წერილი.

²² თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 20 სექტემბრის N4869 წერილი.

²³ მცხეთის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 29 ნოემბრის N170 წერილი.

²⁴ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 20 აგვისტოს N13/53823 და 2024 წლის 27 სექტემბრის N13/62323 წერილები.

²⁵ კვლევაზე იმუშავა ადამიანის უფლებათა ექსპერტმა ბესარიონ ბოხაშვილმა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატსა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) შორის საგრანტო შეთანხმების USAID-PDO პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში.

უზრუნველყოფის გარეშე. სახალხო დამცველის აპარატი მადლობას უხდის ხსენებულ უწყებებს კარგი თანამშრომლობისათვის.

3. მიგნებები და ზოგადი მონაცემები

ძირითადი მიგნებები

- უვადო თავისუფლების აღკვეთისა და საშეღვათო მექანიზმების ირვლივ საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს;
- სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ სისხლის სამართლის საქმეთა დიდი ნაწილი პროცედურულად და შინაარსობრივად გამართულია იმ დროს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა, მტკიცებულებების მოპოვების ხარისხი და ტექნოლოგიები არ არის იმ შესაძლებლობების შესაბამისი, რითიც საგამოძიებო უწყებები დღეს სარგებლობენ;
- დაუსაბუთებლობის პრობლემა გამოიკვეთა რამდენიმე საქმეში, სადაც მტკიცებულებების ერთობლიობა არ ფანტავს გონივრულ ეჭვს პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, რაც არსებითად პრობლემურია, რადგან ამგვარი განაჩენებით პირები უვადო თავისუფლების აღკვეთით არიან მსჯავრდებულები;
- ერთ-ერთ საქმეში გამოიკვეთა სასჯელის დაუსაბუთებულობა;
- ერთ-ერთ საქმეში სამ უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს არ მიეცა საქმის სააპელაციო განხილვაში პირადად მონაწილეობის შესაძლებლობა;
- 20 საქმეში გამოიკვეთა ახლად გამოვლენილი გარემოებები, რომლის თაობაზეც მსჯავრდებულებს არ ჰქონდათ ინფორმაცია და, შესაბამისად, არ ჰქონდათ მიმართული სასამართლოსთვის განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით. აქედან, 3 მსჯავრდებულის შემთხვევაში სახალხო დამცველის აპარატს მიაჩნია, რომ არსებობს პატიმრების გათავისუფლების საფუძველი. მათგან 1 მსჯავრდებული, სახალხო დამცველის აპარატის ჩართულობით უკვე გათავისუფლდა პენიტენციური დაწესებულებიდან და 2 მსჯავრდებულთან დაკავშირებით მსგავსი პროცესი ჯერჯერობით მიმდინარეა;
- 4 უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს საქართველოს პრეზიდენტის შეწყალებით დადგენილი აქვს გათავისუფლების თარიღი;
- ერთ-ერთი მსჯავრდებულის ბრალდების საქმე, მისი მსჯავრდების შემდეგ აღარ იძებნება პროკურატურასა და სასამართლოებში. 2007-2009 წლებში, პროკურატურის ორგანოებმა მხოლოდ ნაწილობრივ ადადგინა მითითებული სისხლის სამართლის საქმე. მიუხედავად ამისა, საქმის სრული მასალების არარსებობის პირობებში, მსჯავრდებული მოკლებულია შესაძლებლობას იდავოს ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო, ასეთის გამოვლენისა და სურვილის შემთხვევაში;

- საქმის განხილვის დროისთვის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, 4 მსჯავრდებულს არ მიეცა შესაძლებლობა ესარგებლა საქმის ორი ინსტანციის მიერ განხილვის უფლებით.

მონაცემები სასჯელის მოხდასთან დაკავშირებით:

- პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული 58 უვადოდ მსჯავრდებულიდან ფაქტობრივად 12 წელზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 15 წლისა მოხდილი აქვს 13 მსჯავრდებულს;²⁶
- 33 მსჯავრდებულს ფაქტობრივად მოხდილი აქვს 15-დან 20-მდე;²⁷
- 8 მსჯავრდებულს ფაქტობრივად მოხდილი აქვს 20 წლიდან 25 წლამდე²⁸
- 4 მსჯავრდებულს ფაქტობრივად მოხდილი აქვს 25 წელზე მეტი.²⁹ ყველაზე ხანგრძლივად ვადას იხდის ორი მათგანი - 27 წელი და 6 თვე,³⁰
- უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ 4 მამაკაცს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით განსაზღვრული აქვს გათავისუფლების თარიღი. მათგან, 2024 წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით, 1 მსჯავრდებულს მოსახდელად დარჩენილი ჰქონდა 4 წელი, 9 თვე და 2 დღე,³¹ მეორე მსჯავრდებულს - 7 წელი, 6 თვე და 27 დღე,³² მესამეს - 3 წელი, 11 თვე და 25 დღე,³³ ხოლო მეოთხეს - 19 წელი, 5 თვე და 5 დღე.³⁴

მონაცემები მსჯავრდებულების სასჯელის მოხდის პერიოდთან დაკავშირებით:

- უვადოდ მსჯავრდებული 13 პირი,³⁵ უვადოდ მსჯავრდების შემდეგ, პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პერიოდში ჩადენილი სხვადასხვა ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა და მათ მიმართ გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენები;
- უვადოდ მსჯავრდებული 58 პირიდან 18-ის³⁶ მიმართ არასდროს გამოყენებულა დისციპლინური სახდელი, ხოლო 40 პირს³⁷ სხვადასხვა ქმედებისთვის დაეკისრა

²⁶ ი. ქ., ზ. ს., ი. რ., შ. ლ., ზ. ტ., გ. თ., თ. ბ., ი. ა., ჯ. ს., ლ. გ., ჯ. გ., თ. გ., მ. კ.

²⁷ გ. ვ., გ. ნ., კ. ა., ზ. გ., მ. პ., ე. ნ., გ. ს., ს. ს., ი. ა., ბ. ბ., ზ. ჯ., გ. ა., დ. ბ., რ. ა., ხ. ყ., კ. ე., ნ. ქ., ბ. ს., თ. შ., ხ. დ., მ. ჩ., ნ. ჩ., ე. გ., ა. ტ., ჯ. ფ., კ. ა., მ. ა., ს. ბ., გ. ზ., გ. ი., ზ. ს., ზ. ო., დ. პ.

²⁸ ნ. ც., ვ. ზ., ლ. დ., თ. გ., მ. ბ., მ. ფ., გ. კ., ვ. კ.

²⁹ გ. მ., პ. კ., ზ. ჩ., დ. ბ.

³⁰ პ. კ., ზ. ჩ.

³¹ გ. მ.

³² პ. კ.

³³ ზ. ჩ.

³⁴ ე. ნ.

³⁵ თ. შ., ხ. დ., მ. ა., ვ. ზ., გ. ზ., გ. ი., ვ. კ., მ. პ., ზ. ს., გ. ს., თ. გ., გ. კ. და ს. ს.

³⁶ ლ. გ., ე. გ., ა. ტ., ჯ. ფ., ნ. ჩ., კ. ა., ი. ა., თ. ბ., გ. თ., გ. ნ., მ. პ., ზ. ს., გ. ს., ზ. ტ., ი. ქ., პ. კ., ზ. ჩ. და ხ. ყ.

³⁷ მ. ჩ., ზ. ჯ., ი. ა., გ. ა., დ. ბ., თ. გ., დ. პ., ი. რ., გ. ი., შ. ლ., თ. გ., გ. ვ. ბ., მ. კ., კ. ე., ნ. ც., ზ. ს., ზ. ო., ე. ნ., ვ. კ., ვ. ზ., გ. ზ., ლ. დ., ს. ბ., დ. ბ., მ. ბ., ჯ. გ., ლ. ა., რ. ა., თ. შ., ბ. ს., ნ. ქ., გ. მ., მ. ა., გ. კ., ჯ. ს., ზ. გ., მ. ფ., ხ. დ., ს. ს.

დისციპლინური პასუხისმგებლობა, რაც ჯამურად შეადგენს 293 დისციპლინურ სახდელს;

- უვადოდ მსჯავრდებული 58 პირიდან სასჯელის მოხდის პერიოდში წახალისდა 43,³⁸ ხოლო არასდროს წახალისებულა - 15.³⁹ მათგან 1-იდან 5-ამდე წახალისება აქვს 26 მსჯავრდებულს, 10 მსჯავრდებულს 5-იდან 10-ამდე წახალისება აქვს, ხოლო 7 მსჯავრდებული 10-ზე მეტჯერ წახალისდა;
- უვადოდ მსჯავრდებული 58 პირიდან 16 პირი⁴⁰ სასჯელის მოხდის პირობებში არც დანაშაულის ჩადენისთვის გასამართლებულა და არც დისციპლინური წესით დასჯილა;
- უვადოდ მსჯავრდებულ 37 პირს დასრულებული აქვს გათავისუფლებისათვის მომზადების 2 წლიანი პროგრამა, 6 მსჯავრდებული პროგრამის სხვადასხვა ეტაპზე იმყოფება, ხოლო 15 მსჯავრდებული არ ყოფილა ჩართული პროგრამაში.⁴¹ გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელ ანგარიშში 33 მსჯავრდებულს განმეორებითი დანაშაულის რისკის დონედ დადგენილი აქვს - საშუალო, ხოლო 4 მსჯავრდებულს - მაღალი. ამგვარად, დაბალი რისკის დონე არცერთ პატიმარს აქვს განსაზღვრული, მიუხედავად, რიგ შემთხვევაში, საშუალო რისკგანსაზღვრული მსჯავრდებულებისგან რადიკალურად განსხვავებული პირადი საქმისა.

დამატებითი საყურადღებო მონაცემები:

- უვადოდ მსჯავრდებულ 9 პირს ქმედება, რამაც მისი უვადოდ მსჯავრდება გამოიწვია, ჩადენილი აქვს 21 წლის ასაკის მიღწევამდე, მათ შორის: 3 მსჯავრდებული ქმედების ჩადენისას იყო 18 წლის,⁴² 2 იყო 19 წლის⁴³ და 4 – 20 წლის.⁴⁴

4. უვადო თავისუფლება აღკვეთილ მსჯავრდებულთა უფლებები სახალხო დამცველის აპარატის გასული წლების საქმიანობაში

4.1. 2012 წლის ამნისტია და პირობით გათავისუფლება

სახალხო დამცველის აპარატს გასული წლების განმავლობაშიც აქვს განხილული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების უფლებებთან დაკავშირებული საკითხები, თუმცა აღნიშნული ეხებოდა მხოლოდ ინდივიდუალურ საქმეებს ან ეპიზოდურ

³⁸ ი. ა., ზ. ს., მ. პ., დ. პ., ზ. ჩ., ზ. ო., თ. შ., ჯ. გ., ნ. ქ., თ. ბ., მ. ბ., ი. ა., მ. ა., შ. ლ., გ. თ., გ. ზ., ვ. ზ., რ. ა., კ. ა., თ. გ., დ. ბ., გ. ა., გ. მ., ჯ. ფ., ბ. ბ., ხ. ყ., მ. ჩ., მ. კ., ი. ქ., პ. კ., ე. გ., კ. ე., გ. ნ., ე. ნ., გ. კ., ზ. ჯ., ლ. დ., ბ. ს., ხ. დ., ლ. გ., ნ. ჩ., გ. ვ., ზ. ტ.

³⁹ კ. ა., დ. ბ., ს. ბ., თ. გ., გ. ი., ვ. კ., ი. რ., ზ. ს., გ. ს., ნ. ც., მ. ფ., ს. ს., ზ. გ., ა. ტ., ჯ. ს.

⁴⁰ ლ. გ., ე. გ., ა. ტ., ჯ. ფ., ნ. ჩ., კ. ა., ი. ა., თ. ბ., გ. თ., გ. ნ., ზ. ს., ზ. ტ., ი. ქ., პ. კ., ზ. ჩ., ხ. ყ.

⁴¹ სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 25 აპრილის N122533/01 წერილი.

⁴² ე. ნ., გ. ს., მ. პ.

⁴³ პ. კ., გ. ი.

⁴⁴ მ. კ., ვ. ზ., დ. ბ., ზ. ჩ.

საკანონმდებლო ინიციატივებს, რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების უფლებებზე.

უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების უფლებებთან დაკავშირებით გამოხატული სისტემური პრობლემა სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოვლენილ იქნა 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის კანონთან“ დაკავშირებით. კერძოდ, მითითებული კანონით საქართველოს პარლამენტის მიერ გამოხატული ე.წ. საყოველთაო ამნისტია მათ მიმართ პრაქტიკულად ვერ განხორციელდა, ვინაიდან ვერ მოხდა სასჯელის 1/4-ის ვადის დადგენა და მსჯავრდებულებისთვის სასჯელის ფაქტობრივი შემცირება. აღნიშნულის შესახებ მითითებულია საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც.⁴⁵

აღნიშნულ პრობლემაზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ჯერ კიდევ 2012 წელს „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტის მიღებამდე ამახვილებდა საკანონმდებლო ორგანოს ყურადღებას და შესაბამისი წინადადებით მიმართა კიდევ საქართველოს პარლამენტს.⁴⁶ თუმცა, საქართველოს პარლამენტმა, 2012 წლის 28 დეკემბერს მიღებულ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონში არ ასახა საქართველოს სახალხო დამცველის წინადადებაში მითითებული საკითხი, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირებთან მიმართებით საშელავათო მექანიზმის სხვა პატიმრებთან მიმართებით თანასწორად გამოყენებასთან მიმართებით.

სახალხო დამცველის აპარატი მონაწილეობას იღებდა 2024 წლის 27 სექტემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საკომიტეტო განხილვებშიც, რა დროსაც საქართველოს პარლამენტს წარედგინა წინადადება, რომ კანონპროექტში ასახულიყო უვადო თავისუფლებადკვეთილი პირების მიმართაც ამნისტიის რაიმე სახით გავრცელების დებულება, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ 2012 წლის ამნისტიამ მათ მიმართ ვერანაირი ფაქტობრივი ცვლილება და შედეგი ვერ დააყენა. სამწუხაროდ, ეს ინიციატივა ამ ეტაპზე კანონმდებლმა არ გაიზიარა.

გარდა ამისა, ბოლო წლების განმავლობაში, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების მიმართ სხვადასხვა საშელავათო მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობის მიმართულებით საქართველოს კანონმდებლობაში სხვადასხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. კერძოდ, სხვადასხვა პერიოდში შემცირდა ასეთი მსჯავრდებულების მიმართ პირობით ვადამდე გათავისუფლებისთვის ან/და შეწყალებისთვის სავალდებულოდ მოსახდელი სასჯელის ვადა. არსებითი ხასიათის საკანონმდებლო ცვლილება იყო უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის პირობით ვადამდე გათავისუფლების ან/და სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხის განხილვისთვის მსჯავრდებულის მიერ „უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის“ წარმატებით დასრულების შემთხვევა. აღნიშნული პროგრამა დამტკიცებულ იქნა საქართველოს იუსტიციის

⁴⁵ იხ. < <https://drive.google.com/file/d/19AJSGIOHEQkzJ0HV-rxQ56sXgFx0E6d7/view> > გვ. 148.

⁴⁶ საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის 28 ნოემბრის N1108/02 წერილი, პუნქტ. 5.

მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის ბრძანებით, პროგრამას მსჯავრდებული გადის 2 წლის მანძილზე და მხოლოდ აღნიშნული პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში შეიძლება სასამართლოს მიერ განხილულ იქნეს უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის მიმართ აღნიშნული საშეღვათო მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობა.

ვინაიდან „უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა“ 2 წლიანია და დამტკიცებულ იქნა 2021 წლის 9 თებერვალს, მასში ჩართული მსჯავრდებულების პირველმა ნაკადმა პროგრამა 2023 წელს დაასრულა. შესაბამისად, საერთო სასამართლოები 2021 წლის შემდეგ, მხოლოდ 2023 წლიდან იყვნენ უფლებამოსილი, განეხილათ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების მიმართ პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შესახებ შუამდგომლობები.⁴⁷

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, 2024 წლის იანვარ-თებერვლის თვეებში, შეისწავლა საერთო სასამართლოების მიერ 2023 წელს უვადო მსჯავრდებულების შუამდგომლობების განხილვის მასალები (შესწავლის შედეგებისას გამოკვეთილი ხარვეზები და ტენდენციები სრულად შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშში,⁴⁸ ასევე, სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში⁴⁹).

შესწავლის პერიოდისთვის უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამაში ჩართული იყო 50 მსჯავრდებული, ხოლო საერთო სასამართლოებისთვის შუამდგომლობით მიმართული ჰქონდა 19 უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს. წარდგენილი შუამდგომლობებიდან, 2023 წელს და 2024 წლის იანვარ-თებერვლის თვეებში არც ერთი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

საერთო სასამართლოები შუამდგომლობის განხილვის დროს მხედველობაში იღებენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვადასახვა გარემოებებს, კერძოდ, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელ ანგარიშს, მომავალში დანაშაულის შესაძლო ჩადენის რისკის შეფასებას, დანაშაულის ხასიათს, მოტივს, ჩადენის ხერხს, გარემოებებსა და დაზარალებულის პიროვნებას, ჩადენილ დანაშაულთან მსჯავრდებულის დამოკიდებულებას, სასჯელის

⁴⁷ 2021 წლის 11 იანვრის საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N90-IIრს-XXმ), რომლითაც უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შესახებ შუამდგომლობის განსახილველად სავალდებულო გახდა „უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლების მომზადების პროგრამის“ წარმატებით გავლა, ძალაში შევიდა 2021 წლის 11 იანვარს.

⁴⁸ <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf> (გვ. 103-105).

⁴⁹ <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf> (გვ. 253-263).

მოხდისას გამოვლენილ ქცევას, წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტს, ნასამართლობას, ოჯახურ პირობებს, მსჯავრდებულის პიროვნებას და ოჯახის დამოკიდებულებას მსჯავრდებულთან, დაზარალებულის პოზიციას მსჯავრდებულის მიმართ შესაბამისი საშეღავათო ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით, პრეზიდენტის მიერ კონკრეტული მსჯავრდებულის შეწყალებისა და გათავისუფლების ვადის დადგენას, მსჯავრდებულის მიერ პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პერიოდს.⁵⁰ ხშირ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებებში ყურადღება არ ეთმობა დისციპლინური გადაცდომები თუ სასჯელის მოხდისას ჩადენილი ახალი დანაშაული რა ხანდაზმულობისაა და კონკრეტული კანონდარღვევის შემდეგ რამდენმა წელმა გაიარა, შეიცვალა თუ არა მსჯავრდებულის ქცევა რადიკალურად დადებითისკენ და როგორია დინამიკა.

გათავისუფლების შესაძლებლობის მექანიზმის არსებობა თავის თავში გულისხმობს იმას, რომ მიუხედავად ყველაფრისა, პატიმარს უნდა ჰქონდეს რესოციალიზაციის მოტივაცია, სწრაფვა და აქტიური მცდელობა, რამაც საბოლოოდ უნდა გამოიღოს მისი პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის შეცვლის შედეგი.

4.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იმპლემენტაციის პრობლემა

სახალხო დამცველმა 2016 წლის ანგარიშში მიმოიხილა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი სტანდარტებთან უზენაესი სასამართლოს შეუსაბამობის პრაქტიკა.

კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით⁵¹ არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმათა ნორმატიული შინაარსი, რომელიც ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისა და პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას ითვალისწინებდა.

აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე არაერთმა პირმა მოითხოვა ირიბ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ დაუშვებლად ცნო იმ პირთა საჩივრები, რომლებიც 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით

⁵⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 285¹, ნაწ. 1, 5.

⁵¹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის N1/1/548 გადაწყვეტილება.

იყვნენ გასამართლებული. დაუშვებლად ცნობილი საჩივრები უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდა.⁵²

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კასატორთა არგუმენტები საყურადღებოდ მიიჩნია, რის გამოც ყველა გასაჩივრებულ საქმეზე შეაჩერა სამართალწარმოება და კონსტიტუციური წარდგინებით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს.⁵³ აღსანიშნავია, რომ კასატორთა შორის იყვნენ ისეთი მსჯავრდებულებიც, რომელთა ნაწილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1998 წლის რედაქციით იყვნენ გასამართლებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უზენაესმა სასამართლომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა წარდგინებით, ამ კატეგორიის მსჯავრდებულების საქმის თავდაპირველი განხილვის დროს გამოყენებული, 1960 და 1998 წლების საპროცესო კოდექსების შესაბამისი ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით.

საკონსტიტუციო სასამართლომ, მიუთითა, რომ „...საერთო სასამართლო უფლებამოსილია, მოითხოვოს მხოლოდ იმ კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლის გამოყენებაც მას სჭირდება საქმის გადაწყვეტისას.“⁵⁴

ამრიგად, 2016 წლის 29 სექტემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა წარდგინებები განჩინებით არსებითად განსახილველად არ მიიღო, და თავად უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მოშველიებით, მიუთითა, რომ გამოსაყენებელ კანონს 2009 წლის საპროცესო კოდექსი წარმოადგენდა.⁵⁵

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინებით, საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიუთითა იმ სამართლებრივ გზაზე, რომელიც ახალი საპროცესო კოდექსის ფარგლებში უზრუნველყოფდა შესაბამისი განაჩენების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანას.

მიუხედავად ამისა, უზენაეს სასამართლოს პრაქტიკა არ შეუცვლია და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ავრცელებს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობებზე ისეთ საქმეებში, სადაც პირი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1998 წლის რედაქციითაა გასამართლებული.

ამგვარად, იმ პირობებში, რომ 2015 წლის გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ შინაარსით არაკონსტიტუციურად მიიჩნია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმათა ნორმატიული შინაარსი, რომელიც ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისა და პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას ითვალისწინებდა,

⁵² სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 855 იხ: <<https://drive.google.com/file/d/11H2Ywr72aNiTwurAjO3Q8fNiqCqj1JvW/view> >

⁵³ იქვე, გვ. 856.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ იქვე, გვ. 857.

საპროცესო კოდექსის 1998 წლის რედაქციით გასამართლებულ პირებს წაერთვათ არაკონსტიტუციურ ნორმებზე დაყრდნობით გამოტანილი განაჩენების გადასინჯვის უფლება და არათანასწორ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მოქმედი კოდექსით გასამართლებულ პირებთან შედარებით. სახალხო დამცველმა 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშში აღნიშნა, რომ, ამრიგად, ძალაში რჩება არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე გამოტანილი არაერთი განაჩენი და, საჭიროა, უზენაესმა სასამართლომ შეცვალოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებასთან შეუსაბამო პრაქტიკა.⁵⁶

აღსანიშნავია, რომ ხსენებული პრაქტიკა არც მას შემდგომ შეცვლილა. აღნიშნულის საფუძველზე, ერთ-ერთი უვადო თავისუფლებათკვეთილმა მსჯავრდებულმა კვლავ მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით. საკონსტიტუციო სასამართლომ კი სარჩელი, მანამდე არსებული გადაწყვეტილებების მიუხედავად, 2021 წლის 23 აპრილის განჩინებით წარმოებაში მიიღო და განსახილველად გადასცა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს. სწორედ ამ გადაწყვეტილებაშივე საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ სხვადასხვა დროს მოსარჩელეთა ახლად გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე განაჩენის გადასინჯვის თაობაზე შუამდგომლობების განხილვისას უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილებით ირიბ ჩვენებებთან დაკავშირებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი მხოლოდ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები, ხოლო მოსარჩელეთა მიმართ საქმე წარიმართა 1998 წლის 20 თებერვლის საპროცესო კოდექსით, შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ვერ გახდებოდა გადასინჯვის საფუძველი.

გასათვალისწინებელია, სახალხო დამცველი ჯერ კიდევ 2016 წელს მიუთითებდა, რომ საპროცესო ნორმის არაკონსტიტუციურობას განაპირობებს მისი შინაარსი და არა ის გარემოება, თუ რომელ აქტში არის იგი გამოცემული. „საკონსტიტუციო სასამართლო თავისი გადაწყვეტილებებით არაკონსტიტუციურად ცნობს არა მხოლოდ კონკრეტულ სიტყვებს, ფრაზებსა და წინადადებებს, არამედ ნორმაში ასახულ პრინციპს და მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელ ნორმატიულ აქტში არსებობს პრინციპით ნაგულისხმევი რეგულაცია“.⁵⁷

სახალხო დამცველის აპარატი რჩება იმ პოზიციაზე, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ პრაქტიკა შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილ სტანდარტთან. ამასთან, სახალხო დამცველის აპარატი იმედოვნებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო შემჭიდროებულ ვადებში გამოიტანს გადაწყვეტილებას უვადო თავისუფლებათკვეთილი მსჯავრდებულის ბ. ბ-ს საკონსტიტუციო სარჩელზე.⁵⁸

⁵⁶ სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 860.

⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის განჩინება საქართველოს უზენაესი სასამართლოს N3/1/708,709,710 კონსტიტუციურ წარდგინებებზე, II-5.

⁵⁸ იბ. < <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10420> >

5. უვადო თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული საკანონმდებლო გარანტიები საქართველოში და არსებული მექანიზმების შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა იძლევა უვადო პატიმრობის გადახედვის შესაძლებლობას მისი შეცვლის, შემსუბუქების, შეწყვეტის ან პატიმრობიდან პირობით გათავისუფლების მიზნით, ეს საკმარისი იქნება მე-3 მუხლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. რიგ საქმეებში სასამართლომ დაადგინა, რომ, როდესაც უვადო პატიმრობა ექვემდებარებოდა გადასინჯვას უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდის მინიმალური ვადის გასვლის შემდეგ (რაც სხვადასხვაა რიგ სახელმწიფოებში), არ შეიძლება იმის თქმა, რომ უვადო პატიმრობამისჯილ პირს არ გააჩნდა გათავისუფლების რაიმე იმედი.⁵⁹ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სახელმწიფოში არ მოქმედებს სამუდამო პატიმრობის⁶⁰ გადასინჯვის მინიმალური ვადა, არ შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ ხსენებული შეუსაბამო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 ან რომელიმე სხვა მუხლით დაცულ უფლებასთან. უვადო პატიმრობამისჯილმა პირმა, შესაძლოა, სრულად მოიხადოს სასჯელი და ეს წინააღმდეგობაში არ მოვიდეს ევროპული კონვენციის რომელიმე მუხლით დაცულ უფლებასთან. მთავარია, რომ კონკრეტულ სახელმწიფოში კონკრეტული კანონმდებლობა ითვალისწინებდეს *de jure* რომ შესაძლებელია სამუდამო პატიმრობის შემცირება, შემსუბუქება, გაუქმება და *de facto* ხსენებულის განხორციელება შესაძლებელი იყოს რაიმე პროცედურით.

იმის განსაზღვრისას, თუ რამდენად არის უვადო პატიმრობა შესაბამისი კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებთან, სასამართლო იხილავს, შესაძლებელია თუ არა, თეორიულად, სამუდამო პატიმრობის შემცირება/შემსუბუქება/გაუქმება და ამ კუთხით კონკრეტულ სახელმწიფოში არსებობს თუ არა საკანონმდებლო/არსებული პრაქტიკით ნათლად დადგენილი რაიმე პერსპექტივა. მაგალითად, ხომ არ უშვებს ეროვნული კანონმდებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვას შეწყალების, სასჯელის შემცირების, სასჯელისაგან გათავისუფლებისა თუ პირობითად ვადამდე გათავისუფლებით. თუკი მოცემულ კითხვაზე პასუხი დადებითია, მაშინ მე-3 მუხლით დადგენილი ვალდებულებები დაკმაყოფილებულად მიიჩნევა ევროპული სასამართლოს მიერ.⁶¹

ევროპული სასამართლო ყოველთვის ხაზს უსვამს ხელშემკვრელი სახელმწიფოების შეფასების ზღვარს/მიხედულებას, რომელიც მათ გააჩნიათ სისხლისსამართლებრივი

⁵⁹ Hill v. the United Kingdom (dec.), No. 19365/02, 18 მარტი 2003.

⁶⁰ ინგლისური ტერმინის, life sentence-ის შესატყვისად, ქართულ ენაში გამოიყენება როგორც სამუდამო, ისე - უვადო პატიმრობა. ანგარიშში საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვისას და მსჯავრდებულებზე მსჯელობისას შერჩეულია ტერმინი „უვადო“ თავისუფლებააღკვეთილი პირი, ვინაიდან სამუდამო პატიმრობის ანალოგი საქართველოს კანონმდებლობაში „უვადო“ თავისუფლების აღკვეთად არის მოხსენიებული.

⁶¹ იხ. Kafkaris, ციტირებული ზემოთ, § 98.

მართლმსაჯულებისა და სასჯელის შეფარდების საკითხებში, და რომ სახელმწიფოები თავისუფალი არიან, თავად გააკეთონ არჩევანი თუ რა ფორმით და რა პროცედურით უნდა იქნეს უვადო პატიმრობა შეფარდებული პირის საქმის/ვითარების გადასინჯვა/განხილვა შესაძლებელი. ანალოგიური მიდგომა აქვს სასამართლოს გადასინჯვის, ანუ უვადო პატიმრობაზე შეფარდებული პირის მიერ პატიმრობის მინიმალური ვადის მოხდის (სახელმწიფოთა უმეტეს შემთხვევაში ეს ვადა განსაზღვრულია მაქსიმუმ 25 წლით) და შემდგომი გადასინჯვის პროცედურების პერიოდულობასთან დაკავშირებით.

საქართველოს კანონმდებლობა სრულად შეესაბამება ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ სტანდარტებს.

პირველი, საქართველოს კანონმდებლობა და კერძოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სპეციალურ წესს/დებულებებს, რომელიც ეხება უვადო პატიმრობამისჯილი პირების სასჯელის გადასინჯვის შესაძლებლობას (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 285¹ მუხლი). ხსენებული მუხლი სისხლის სამართლის კოდექსში დამატებულ იქნა 2017 წელს და ითვალისწინებს სასამართლოს მიერ (და არა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს მიერ) მსჯავრდებულისთვის უვადო თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეცვლის, მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების საკითხის განხილვას ზეპირი მოსმენით. სამართალწარმოების ამ პროცესში კანონმდებლობა სავალდებულოდ მიიჩნევს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონაწილეობას (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 285¹ მუხლის მე-7 პუნქტი).

მეორე, გადასინჯვის წესი ითვალისწინებს უვადო პატიმრობის შეცვლის და სასჯელის შემსუბუქების შესაძლებლობას უვადო პატიმრობამისჯილი პირის მიერ 15 წლიანი მინიმალური ვადის მოხდის შემდგომ და ამავე დროს აყალიბებს კონკრეტულ კრიტერიუმებს, რომელიც უნდა იქნეს გათვალისწინებული საკითხის განმხილველი სასამართლოს მიერ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 285¹ მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება შეეცვალოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით, თუ

- მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის თხუთმეტი წელი,
- წარმატებით გაიარა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა და
- თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულის მიერ ამ სასჯელის მოხდის გაგრძელება.

ამავე დროს მსჯავრდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა შინაპატიმრობით შეიძლება შეეცვალოს **არანაკლებ ხუთი და არაუმეტეს ათი წლის ვადით**, ხოლო საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით – იმავე ვადით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გაანგარიშების შესაბამისად (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 285¹ მუხლის მე-2 პუნქტი).

მესამე, უვადო პატიმრობის სასჯელის შემსუბუქების შესაძლებლობასთან ერთად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი გადასინჯვის წესი, ასევე, ითვალისწინებს მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან პირობით გათავისუფლების შესაძლებლობას არანაკლებ ორი და არაუმეტეს შვიდი წლის გამოსაცდელი ვადით (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 285¹ მუხლის მე-3 პუნქტი). ხსენებული დასაშვებია შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას:

- როდესაც უვადო პატიმრობამისჯილ მსჯავრდებულს ფაქტობრივად **მოხდილი აქვს თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი;**
- წარმატებით გაიარა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა.

მეოთხე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დეტალურად აყალიბებს კონკრეტულ მოთხოვნებს/კრიტერიუმებს, რომელიც ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, უვადო პატიმრობამისჯილი პირისათვის სასჯელის შემსუბუქება/შემცირება/გაუქმების განხილვის დროს (285¹-ე მუხლის მე-5 პუნქტი). ხსენებულ საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისას ეროვნული სასამართლოები:

- გადაწყვეტილებას იღებენ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიშის საფუძველზე;
- მხედველობაში იღებენ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც პირი იქნა მსჯავრდებული;
- მხედველობაში იღებენ მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილ ქცევას;
- მხედველობაში იღებენ მსჯავრდებული პირის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტსა და ნასამართლობას;
- მხედველობაში იღებენ დანაშაულის განმეორებით ჩადენის საფრთხეს;
- ითვალისწინებენ მსჯავრდებულის ოჯახურ პირობებს;
- ითვალისწინებენ მსჯავრდებულის პიროვნებას.

მეხუთე, ეროვნული კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს გონივრულ ვადებს, თუ რა შუალედებში შეუძლია უვადო პატიმრობამისჯილ პირს განმეორებით შუამდგომლობის წარდგენა სასჯელის შემსუბუქება/შემცირება/გაუქმებასთან დაკავშირებით, თუ სასამართლო უარს იტყვის ადრე წარდგენილი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე და იმავე საკითხზე შუამდგომლობის წარდგენის ხელახლა განხილვის ვადად განსაზღვრავს მინიმუმ ერთ წელს.⁶²

⁶² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 285¹, პუნქ. 6.

მეექვსე, გარდა ზემოხსენებული გადასინჯვის წესისა და პროცედურებისა (რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და ახორციელებს მართლმსაჯულების ორგანო, სასამართლო), საქართველოს კანონმდებლობით ასევე შესაძლებელია უვადო პატიმრობამისჯილი პირის გათავისუფლება პატიმრობიდან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლის თანახმად: 1) სასამართლო უფლებამოსილია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს მსჯავრდებული, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეუსაბამოა სასჯელის მოხდასთან და, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მსჯავრდებულის გამოჯანმრთელება ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის; 2) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია უფლებამოსილია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული, თუ მას აქვს დაავადება ან დაავადებათა ერთობლიობა და მკურნალობის ფონზე მისი ძირითადი სასიცოცხლო მაჩვენებლების შენარჩუნება გართულებულია, ამასთანავე, ექიმთა კონსილიუმის მიერ კონსენსუსის საფუძველზე განსაზღვრული ლეტალურობის პროგნოზი მაღალია.⁶³

ხსენებული საკითხების განხილვისას სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები ითვალისწინებენ:

- თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის აღსრულების მიზანშეწონილობას;
- მსჯავრდებულის პიროვნულ თვისებებს;
- მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტს;
- დანაშაულის ხასიათს, მოტივსა და მიზანს;
- დამდგარ შედეგს;
- დანაშაულის განმეორებით ჩადენის საფრთხეს;
- მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილ ქცევასა და სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

მეშვიდე, ეროვნული ხელისუფლების მართლმსაჯულების ორგანოებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების საფუძველზე, პირის უვადო პატიმრობიდან გათავისუფლების შესაძლებლობის პარალელურად, ასევე უნდა

⁶³ სახალხო დამცველის აპარატს, ამასთან, მომზადებული და გამოქვეყნებული აქვს სპეციალური ანგარიში „ავადმყოფობის, ხანდაზმულობის ან ორსულობის გამო განაჩენის აღსრულების გადავადებისა და სასჯელის შემდგომი მოხდისგან გათავისუფლების მექანიზმები საქართველოში“ იხ: <https://www.ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi/sakhalkho-damtsvelis-spetsialuri-angarishi-avadmqofobis-khandazmulobis-an-orsulobis-gamo-ganachenis-aghsrulebis-gadavadebisa-da-sasjelis-shemdgomi-mokhdisgan-gatavisuflebis-mekanizmebi-sakartveloshi> >

გავითვალისწინოთ ის ექსკლუზიური მანდატი და კომპეტენცია, რომელიც გააჩნია საქართველოს პრეზიდენტს ნებისმიერი მსჯავრდებულის (მათ შორის უვადო პატიმრობამისჯილი პირის) შეწყალების სახით. საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლი პრეზიდენტს ანიჭებს შეუზღუდავ დისკრეციას შეიწყალოს ნებისმიერი მსჯავრდებული, მიუხედავად დანაშაულის თუ შეფარდებული სასჯელის სიმძიმისა. 2019 წელს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანებულების თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეწყალების უფლებამოსილების გამოყენება ეფუძნება ჰუმანიზმის პრინციპს, ასევე სახელმწიფო ინტერესს.

შეწყალების უფლების გამოყენებისას მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი გარემოებები:

ა) დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი, მსჯავრდებულის წარსული ცხოვრება, ოჯახური და ეკონომიკური პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი, სასჯელის მოხდის ვადა, ნასამართლობა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის; წარსულში მის მიმართ შეწყალების აქტის გამოცემა; ქცევა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, განსაკუთრებით – მისი მისწრაფება, აანაზღაუროს ზიანი ან შეურიგდეს დაზარალებულს, დაზარალებულის მოსაზრება, მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის გაცნობიერება და მონანიება;

ბ) მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაული, რომელიც განსაკუთრებული საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება; მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი წამება, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა; ოჯახური დანაშაული, ოჯახში ძალადობა, აგრეთვე, დანაშაული ჩადენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, ბავშვის ან სხვა მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლის მიმართ;

გ) მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაული პოლიციელის, გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის ან სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილის მიმართ, დაკავშირებული მათ მიერ სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან;

დ) დანაშაული ჩადენილი სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მიერ, რომელიც სასჯელს იხდის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 ან მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის გამო.

უვადო პატიმრობა შეფარდებული პირისათვის სასჯელის შესაძლო შემსუბუქების, შემცირების, ისევე როგორც უვადო პატიმრობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო გარანტიები და არსებული მექანიზმები სრულ შესაბამისობაშია გაეროს საზედამხედველო ორგანოების, ევროპის საბჭოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან. კერძოდ იმისათვის, რათა ქვეყნის კანონმდებლობა და პრაქტიკა შესაბამისობაში იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან აუცილებელია:

1. ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდეს უვადო პატიმრობა შეფარდებული პირისათვის სასჯელის შესაძლო შემსუბუქების, შემცირების, ისევე როგორც უვადო

პატიმრობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო გარანტიებსა და პროცედურებს;

2. ხსენებულ პროცედურებზე ხელმისაწვდომობა არ უნდა იყოს ვირტუალური. გადასინჯვის პროცედურაზე ხელმისაწვდომობა უვადო პატიმრობამისჯილ პირს პირველად უნდა შეეძლოს მაქსიმუმ 25 წლიანი პატიმრობის შემდგომ, ხოლო შემსუბუქება/გათავისუფლებაზე უარის შემთხვევაში განმეორებითი მიმართვა დასაშვებია უნდა იყოს გონივრულ ინტერვალებში;
3. მოქმედი კანონმდებლობა ნათლად უნდა განსაზღვრავდეს კონკრეტულ კრიტერიუმებს, რომელიც უნდა იქნეს დაკმაყოფილებული პირის მიერ იმისათვის, რათა ხელისუფლების ეროვნულმა ორგანოებმა განიხილონ/დააკმაყოფილონ სასჯელის შემსუბუქება/გაუქმების მოთხოვნა. პატიმარს ეფექტიანად უნდა შეეძლოს განჭვრიტოს ეს კრიტერიუმები და სამართლიანი და შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული პროცედურის საფუძველზე მოითხოვოს მისი უვადო პატიმრობის შემსუბუქება/გაუქმება.

ხსენებული სტანდარტების საპასუხოდ:

1. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს უვადო პატიმრებისათვის სასჯელის გადასინჯვის შესაძლებლობას. სხვა განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, ხსენებული საკითხის განხილვას ახორციელებს არა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, არამედ სასამართლო, რაც კიდევ უფრო მეტ გარანტიას იძლევა უვადო პატიმრისათვის, რათა ამტკიცოს შეფარდებული სასჯელის შემსუბუქების/გაუქმების სასარგებლოდ;
2. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, უვადო პატიმრობის შეცვლა და სასჯელის შემსუბუქება შესაძლებელია უვადო პატიმრობამისჯილი პირის მიერ 15 წლიანი მინიმალური ვადის მოხდის შემდგომ, ხოლო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან პირობით გათავისუფლება შესაძლებელია პატიმრობის 20 წლიანი ვადის მოხდის შემდგომ;
3. მოქმედი კანონმდებლობა ნათლად აყალიბებს კრიტერიუმებს, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ სასამართლო ხელისუფლების ორგანოებმა უვადო პატიმრობის შემსუბუქება/გაუქმების საკითხზე მსჯელობისას. ხსენებული კრიტერიუმებია: დანაშაულის ხასიათი, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევა, დანაშაულის განმეორებით ჩადენის საფრთხე, მსჯავრდებულის ოჯახური პირობები, მსჯავრდებულის პიროვნება.

6. ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი საერთაშორისო/ევროპული სტანდარტები

6.1. მიმოხილვა

სიკვდილით დასჯის გაუქმების შემდგომ, მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში სამუდამო პატიმრობა წარმოადგენს სასჯელის ყველაზე მკაცრ ფორმას. უმეტესწილად, სახელმწიფოები და შესაბამისი სასამართლო ორგანოები მას უფარდებენ პირებს, რომლებიც მსჯავრდებული არიან ისეთი მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენაში, როგორებიცაა: განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, სამშობლოს ღალატი, წამება, გაუპატიურება დამამძიმებელ გარემოებებში და სხვ. დღეისათვის სამუდამო პატიმრობა, როგორც სასჯელი, 183 ქვეყანაში არსებობს, რომელთაგან 65 ქვეყანაში სამუდამო პატიმრობის შეფარდება ხდება მსჯავრდებული პირის ბიოლოგიური სიცოცხლის განმავლობაში, გათავისუფლების პერსპექტივის გარეშე, ხოლო 144 ქვეყანაში არსებობს გარკვეული შესაძლებლობა/პერსპექტივა, სასჯელის გარკვეული ვადის მოხდის შემდგომ, შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, პირისათვის სასჯელის შემსუბუქების/შემცირების ან მის გათავისუფლებასთან დაკავშირებით.⁶⁴

ეროვნული სასამართლოების მიერ სრულწლოვანი დამნაშავისათვის სასჯელის სახით უვადო პატიმრობის შეფარდება **თავისთავად არ არის აკრძალული** ან შეუთავსებელი ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი აქტებით, ისევე, როგორც ევროპული კონვენციის მე-3 ან კონვენციის რომელიმე სხვა მუხლით დაცული უფლებით.⁶⁵ თუმცა, ამავე დროს, ადამიანის უფლებათა საზედამხებდველო ორგანოები და, მათ შორის, ევროპული სასამართლო, მიღებულ გადაწყვეტილებებში მუდმივად ავითარებს სტანდარტს, რომ სრულწლოვანი პირისათვის **სამუდამო პატიმრობის შეფარდება, რომლის შემცირების ან გაუქმების თეორიული და პრაქტიკული შესაძლებლობაც არ არსებობს, შესაძლოა გამოიწვიოს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.**⁶⁶

ამოსავალ წერტილად, ხსენებული სტანდარტების განვითარებისას, ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი საერთაშორისო საზედამხებდველო ორგანოები მოიაზრებენ ადამიანის ღირსების ხელშეუვალობას. ხსენებული უფლება გააჩნიათ და უზრუნველყოფილია არამხოლოდ კანონმორჩილი ადამიანებისათვის, არამედ, ასევე - იმ პირებისათვის, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული, მათ შორის, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული და უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან, რომელიც ითვალისწინებს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვას, სამუდამო პატიმრობის შესაბამისობის კუთხით, ევროპულ სასამართლოს მრავალი საქმე განუხილავს და შეუფასებია კონკრეტულ სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობა და პრაქტიკა. 2008

⁶⁴ < <https://www.penalreform.org/issues/life-imprisonment/key-facts/> >

⁶⁵ ob. Kotalla v. Netherlands, No. 7994/77, 1978 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება, DR 14, გვ. და Sawoniuk v. the United Kingdom (dec.), No 63716/00, ECHR 2001-VI.

⁶⁶ ob., inter alia, Nivette v. France (dec.), No. 44190/98. ECHR 2001 VII, სტენფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (dec.) No 73299/01, 12 December (dec.) 67385/01; 2003 წლის მაისი.

წლიდან მოყოლებული, ევროპული სასამართლო მუდმივად ავითარებს სტანდარტებს და ნათელს ხდის სახელმწიფოებისათვის, თუ რა სახის ვალდებულებები აკისრიათ მათ სამუდამო პატიმრობამისჯილ პირებთან მიმართებით. სასამართლოს გადაწყვეტილებებს მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოუხდენიათ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობებზე, რომლებიც მუდმივად იხვეწება იმისათვის, რათა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი სასამართლოს სწრაფად განვითარებად პრეცედენტულ სამართალთან, სამუდამო პატიმრობამისჯილ პირებთან მიმართებით.

6.2. ევროპის საბჭოს დოკუმენტებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა სამუდამო პატიმრობაშეფარდებულ პირებთან მიმართებით

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, კონვენცია, ზოგადად, არ უზრუნველყოფს პირობითი გათავისუფლების უფლებას ან სასჯელის გადასინჯვის ვალდებულებას ხელისუფლების ეროვნული ორგანოების, სასამართლო თუ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, სასჯელის შემსუბუქების ან გაუქმების კუთხით,⁶⁷ თუმცა, როგორც აღინიშნა, იმავე პრეცედენტული სამართლის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც პირს მისჯილი აქვს სამუდამო პატიმრობა, კონკრეტულ სახელმწიფოში შესაძლო გათავისუფლების პროცედურის რეალური არსებობა/არარსებობა, შეიძლება, იყოს ის ფაქტორი, რომელსაც სასამართლო შეაფასებს უვადო თავისუფლების აღკვეთის მე-3 მუხლთან თავსებადობის/შესაბამისობის განხილვისას. ამავე დროს, ევროპულმა სასამართლომ ნათლად განმარტა, რომ სახელმწიფოს მიერ კონკრეტული სისხლისსამართლებრივი სისტემის ან პროცედურების დადგენა, მათ შორის სასჯელის გადასინჯვის და სასჯელისაგან გათავისუფლების ღონისძიებების ჩათვლით, პრინციპში სცილდება ევროპულ დონეზე სასამართლოს მიერ განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებს, იმ პირობით, რომ შესაბამისი სისტემა წინააღმდეგობაში არ მოდის კონვენციით დადგენილ პრინციპებთან.⁶⁸

ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-3 მუხლით დაცული უფლების დარღვევის საკითხის განხილვა დღის წესრიგში არ დადგება თუკი, მაგალითად, უვადოდ თავისუფლებადკვეთილ პირს ეროვნული კანონმდებლობით მიეცა შესაძლებლობა/უფლება, განხილული ყოფილიყო სამუდამო პატიმრობიდან მისი ვადამდელი გათავისუფლების საკითხი და **განხილვის შედეგად უარი ეთქვა სამუდამო პატიმრობის შემცირება/შემსუბუქება/გაუქმებაზე** იმის გამო, რომ იგი **ჯერ კიდევ წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებისათვის**.

ხსენებულ მიდგომას ევროპული სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში ხსნის იმით, რომ სახელმწიფოებს გააჩნიათ ვალდებულება, კონვენციის მიხედვით მიიღონ ზომები საზოგადოების ძალადობრივი დანაშაულისაგან დასაცავად და, შესაბამისად, კონვენცია არ უკრძალავს სახელმწიფოებს, სერიოზული დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირს

⁶⁷ see, *inter alia*, *Kotälla*, and *Bamber*, both cited above; and *Treholt v. Norway*, no. 14610/89, Commission decision of 9 July 1991, DR 71, p. 168.

⁶⁸ *ob. mutatis mutandis*, *Achour v. France*. [GC], არა. 67335/01, § 51, ECHR 2006 IV.

შეუფარდონ უვადო თავისუფლების აღკვეთა, რითიც უზრუნველყოფილი იქნება დამნაშავის პატიმრობის გაგრძელება, რადგან ეს უკანასკნელი აუცილებელია საზოგადოების დასაცავად და პრევენციული ეფექტის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებთან მიმართებით.⁶⁹ ევროპული სასამართლოს აზრით, დამნაშავის მიერ მძიმე/ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ხელახლა ჩადენის პრევენცია წარმოადგენს საპატიმრო სასჯელის ერთ-ერთ „უმთავრეს ფუნქციას“.⁷⁰ მხოლოდ ის ფაქტი, რომ პატიმარმა, შესაძლოა, ხანგრძლივი პერიოდი გაატაროს პატიმრობაში, ვერანაირ ზეგავლენას ვერ ახდენს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე, დაიცვას საზოგადოება მძიმე დანაშაულისგან. სახელმწიფოებმა, შესაძლოა, შეასრულონ მოცემული ვალდებულება და პატიმარი განგრძობად პატიმრობაში ამყოფონ მანამდე, სანამ ისინი სახიფათოდ არიან მიჩნეულნი საზოგადოებისათვის.⁷¹

იმის განსაზღვრისას, შეიძლება თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში ჩაითვალოს, შეფარდებული სამუდამო პატიმრობა ექვემდებარება თუ არა შემცირებას/ შემსუბუქებას/ გაუქმებას, ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უვადო პატიმრობამისჯილი პირის პატიმრობიდან გათავისუფლების პერსპექტივის არსებობა/არარსებობის როგორც საკანონმდებლო დონეზე არსებულ, ასევე რეალურ, პრაქტიკულ შესაძლებლობას.

ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზი ცხადყოფს, რომ როდესაც ეროვნული კანონმდებლობა იძლევა უვადო პატიმრობის გადახედვის შესაძლებლობას მისი შეცვლის, შემსუბუქების, შეწყვეტის ან პატიმრობიდან პირობით გათავისუფლების მიზნით, ეს საკმარისი იქნება მე-3 მუხლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ, არაერთ საქმეში დაადგინა, რომ, როდესაც სამუდამო პატიმრობა ექვემდებარებოდა გადასინჯვას უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდის მინიმალური ვადის გასვლის შემდეგ (რაც განსხვავდება სახელმწიფოების მიხედვით), არ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ სამუდამო პატიმრობამისჯილ პირს არ გააჩნდა გათავისუფლების რაიმე იმედი.⁷² იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სახელმწიფოში არ მოქმედებს სამუდამო პატიმრობის გადასინჯვის მინიმალური ვადა, არ შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ ხსენებული შეუსაბამო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 ან რომელიმე სხვა მუხლით დაცულ უფლებასთან. როგორც აღინიშნა, სამუდამო პატიმრობამისჯილმა პირმა, შესაძლოა, სრულად მოიხადოს სასჯელი და ეს წინააღმდეგობაში არ მოვიდეს ევროპული კონვენციის რომელიმე მუხლით დაცულ უფლებასთან. მთავარია, რომ კონკრეტულ სახელმწიფოში კონკრეტული კანონმდებლობა ითვალისწინებდეს *de jure* სამუდამო პატიმრობის შემცირებას, შემსუბუქებას ან გაუქმებას და *de facto* ხსენებულის განხორციელება შესაძლებელი იყოს რაიმე პროცედურით.

სასამართლოს განმარტებით, არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზი და წინაპირობა, თუ რატომ უნდა იყოს სამუდამო პატიმრობამისჯილი პირისათვის ხელმისაწვდომი პატიმრობიდან თეორიული გათავისუფლების შესაძლებლობა და შესაბამისი პროცედურები

⁶⁹ იხ. *mutatis mutandis*, *T. v. the United Kingdom*, § 97, და *V. v. the United Kingdom*, § 98, ორივე ციტირებული ზემოთ.

⁷⁰ იხ. *Mastromatteo v. Italy* [GC], no. [37703/97](#), § 72, ECHR 2002-VIII; *Maiorano and Others v. Italy*, no. [28634/06](#), § 108, 15 დეკემბერი 2009; და, *mutatis mutandis*, *Choreftakis and Choreftaki v. Greece*, no. 46846/08, § 45, 17 იანვარი 2012.

⁷¹ იხ. მაგალითად, *Maiorano and Others*, ციტირებული ზემოთ.

⁷² *Hill v. the United Kingdom* (dec.), No. 19365/02, 18 მარტი 2003.

იმისათვის, რომ თავად სამუდამო პატიმრობა შესაბამისობაში იყოს მე-3 მუხლის მოთხოვნებთან.

პირველი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ კონვენციის დებულებებთან, და, კერძოდ, მე-3 მუხლთან, სამუდამო პატიმრობის შესაბამისობის განხილვისას ევროპული სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პატიმრობის კანონიერებისა და სისხლისსამართლებრივი ლოგიკური საფუძვლების გამორკვევას. სასამართლოს აზრით, პატიმრობის მიზანს უნდა წარმოადგენდეს პირის დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, დანაშაულის პრევენცია, საზოგადოების დაცვა დანაშაულისაგან და დამნაშავის რეაბილიტაცია.⁷³ ხსენებული მიზნების უმეტესობის მიღწევა რელევანტურია, ასევე, როდესაც შეხება გვაქვს სამუდამო პატიმრობასთან და უვადო პატიმრობა მისჯილ პატიმრებთან. როგორც ევროპულმა სასამართლომ განმარტა საქმეში *Vinter and others v. The United Kingdom*⁷⁴ - პატიმრობის ამ გამამართლებელი მიზნების/საფუძვლების ბალანსი არ არის ყოველთვის სტატიკური და, შესაძლოა, შეიცვალოს სასჯელის მოხდის განმავლობაში. იმ მიზანმა/ საფუძველმა, რომელიც პატიმრობას (მათ შორის სამუდამო პატიმრობას) ამართლებდა საწყის ეტაპზე და იყო მთავარი არგუმენტი, შესაძლოა, განიცადოს ცვლილება ხანგრძლივი პატიმრობის განმავლობაში. ამიტომ, სასამართლოს განმარტებით, ხანგრძლივი პატიმრობის შემთხვევაში, შესაბამის მომენტში, მხოლოდ განგრძობადი პატიმრობის გადახედვით არის შესაძლებელი ამ გარემოებებისა თუ ცვლილებების ჯეროვნად შეფასება.

გაერთიანებული სამეფოს უმაღლესმა სასამართლომ (High Court) საქმეში *R (Wellington) v. Secretary of State for the Home Department* განაცხადა, რომ თუკი ადგილი აქვს პირის პატიმრობას გათავისუფლების იმედისა და სამუდამო პატიმრობის გადასინჯვის შესაძლებლობის გარეშე, **არსებობს საფრთხე, რომ იგი არასდროს მოინანიებს ჩადენილ დანაშაულს**. რაც არ უნდა გააკეთოს პატიმარმა ციხეში, რაოდენ განსაკუთრებულიც არ უნდა იყოს მისი პროგრესი და სწრაფვა რეაბილიტაციისაკენ, მისი სასჯელი უცვლელი რჩება. სასჯელის მოხდა კი უფრო და უფრო მძიმდება დროის გასვლასთან ერთად – რაც უფრო დიდხანს ცოცხლობს პატიმარი, მით უფრო გრძელია სასჯელიც. შესაბამისად, მაშინ როდესაც განაჩენის გამოტანისა და სასჯელის შეფარდებისას უვადო თავისუფლების აღკვეთა არის ჯეროვანი სასჯელი, დროის დინებასთან ერთად იგი შესაძლოა ვეღარ პასუხობდეს სამართლიანი და პროპორციული სასჯელის მოთხოვნებს.⁷⁵

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ უვადო თავისუფლების აღკვეთის საქმეში⁷⁶ მიიჩნია, რომ საბაზისო კანონით (კონსტიტუციით) განსაზღვრული ადამიანური ღირსების დაცვასთან შეუსაბამო იქნებოდა სახელმწიფოს მიერ პირისათვის თავისუფლების იძულებით აღკვეთა ოდესმე თავისუფლების ხელახლა მოპოვების შანსის გარეშე. სწორედ ამ დასკვნის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ციხის ადმინისტრაციას ეკისრებოდა ვალდებულება, ეზრუნა უვადოდ თავისუფლება

⁷³ *Bieber* საქმეში.

⁷⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატა, 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება, განაცხადი No. 66069/09 130/10 3896/10, პუნქტი 111.

⁷⁵ ხსენებული შეფასება გააკეთა ლორდ ლო-მ საქმეში *R (Wellington) v. Secretary of State for the Home Department* [2008] UKHL 72.

⁷⁶ 16 January 2010, BVerfG, 2 BvR [2299/09](#), the Federal Constitutional Court considered an extradition case where the offender faced “aggravated life imprisonment until death” (*erschwerte lebenslängliche Freiheitsstrafe bis zum Tod*) in Turkey.

აღკვეთილი პატიმრის რეაბილიტაციაზე, ხოლო ხსენებული რეაბილიტაცია კი კონსტიტუციურად იყო მოთხოვნილი ნებისმიერ საზოგადოებაში, რომელიც ეფუძნებოდა ისეთ ფასეულობას, როგორიცაა ადამიანის ღირსება. მართლაც, საკონსტიტუციო სასამართლომ მკაფიოდ დაადგინა, რომ ხსენებული პრინციპი ვრცელდებოდა უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებზეც, მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებისა და რომ მხოლოდ იმ პატიმართა გათავისუფლება ან თეორიული გათავისუფლების შანსი, რომლებიც გარდაცვალების პირას იყვნენ, არ იყო საკმარისი.

იგივე პრინციპები ვრცელდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სისტემაზეც, რომელიც ეფუძნება, ადამიანის ღირსების პატივისცემას⁷⁷ და ევროპულმა სასამართლომ ხსენებული დაადასტურა გაერთიანებული სამეფოს, უნგრეთის, ბულგარეთის, საფრანგეთის, იტალიის, სლოვაკეთის, ნიდერლანდების, ბულგარეთის წინააღმდეგ განხილულ საქმეებში.

მართლაც, ევროპულ და საერთაშორისო სამართალში ნათლად შეიმჩნევა იმ პრინციპის მხარდაჭერა, რომ ყველა პატიმარს, მათ შორის უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებსაც, უნდა მიეცეთ **რეაბილიტაციის შესაძლებლობა და გათავისუფლების პერსპექტივა რეაბილიტაციის გავლის შემდეგ**. ევროპული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა უკვე აქცენტს აკეთებს პატიმრობის სარეაბილიტაციო მიზანზე, როგორც გრძელვადიანი სასჯელის სასურველ საბოლოო შედეგზე.⁷⁸ ევროპის საბჭოს სამართლებრივი დოკუმენტებიდან იგი ყველაზე ნათლად არის ასახული ევროპული ციხის წესების მე-6 წესში, რომელიც აღნიშნავს, რომ ყოველი პატიმრობა იმგვარად უნდა იყოს მართული, რომ ხელი შეუწყოს თავისუფლებააღკვეთილი პირების რეინტეგრაციას თავისუფალ საზოგადოებაში.

გაეროს, ევროპის საბჭოს და მისი ორგანოების, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, ევროკავშირის დოკუმენტები ასევე ნათლად ადასტურებენ, რომ პირველი - რეაბილიტაციის ვალდებულება თანაბრად ვრცელდება უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პირებზეც; და მეორე - მათი რეაბილიტაციის შემთხვევაში, უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პირებსაც უნდა ჰქონდეთ პირობით გათავისუფლების იმედი.⁷⁹

ევროპული ციხის წესების 103-ე წესი აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულების რეჟიმის იმპლემენტაციისას უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური სასჯელის გეგმები, რომელიც *inter alia* უნდა მოიცავდეს **გათავისუფლებისათვის მომზადებას**. ამგვარი სასჯელის გეგმები ვრცელდება უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პირებზეც 103.8 წესის საფუძველზე.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 76(2) რეზოლუცია რეკომენდაციას იძლევა, რომ ყველა პატიმრის საქმე, მათ შორის, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილისაც - განხილულ უნდა იქნას რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე, რათა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება, თუ რამდენად უნდა შეეხოს მას პირობითი გათავისუფლება. ხსენებული რეზოლუცია ასევე რეკომენდაციას

⁷⁷ იხ. *inter alia*, *Pretty v. the United Kingdom*, no. [2346/02](#), § 65, ECHR 2002-III; and *V.C. v. Slovakia*, no. [18968/07](#), § 105, ECHR 2011 (extracts).

⁷⁸ იხ. მაგალითად, *Dickson v. the United Kingdom* [GC], no. [44362/04](#), § 75, ECHR 2007-V; და *Boulois v. Luxembourg* [GC], no. [37575/04](#), § 83, ECHR 2012, არსებული შემდგომი მითითებებით.

⁷⁹ CPT-ს მოხსენება/ანგარიში შვეიცარიასთან დაკავშირებით 2012 წლის 10-20 ოქტომბერი.

იმლევად, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელი გადახედულ იქნას პატიმრობის 8–14 წლის შემდეგ და განხორციელდეს შემდგომი გადახედვა რეგულარული ინტერვალებით.

ანალოგიურ სტანდარტებზე მიუთითებს რეკომენდაცია 2003(23) (ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადოდ და გრძელვადიანად თავისუფლება აღკვეთილი პატიმრების მართვის შესახებ),⁸⁰ აგრეთვე, 2003(22) რეკომენდაცია პირობითი ვადამდელი გათავისუფლების შესახებ⁸¹ და გაეროს პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები, ასევე, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი.⁸² იგივეა ხაზგასმული ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგად კომენტარში მე-10 მუხლთან დაკავშირებით, რომელიც მიუთითებს, რომ არცერთი პენიტენციური სისტემა არ უნდა იყოს მხოლოდ სადამსჯელო.⁸³

სისხლის სამართლის საერთაშორისო სამართლისა და რომის სტატუტის 110(3) მუხლის მიხედვით, უვადო თავისუფლების აღკვეთა გადასინჯულ უნდა იქნეს ოცდახუთი წლის პატიმრობის შემდეგ, რასაც უნდა მოყვეს შემდგომი რეგულარული გადასინჯვები. სასჯელის შემცირების კრიტერიუმები მოიცავს *inter alia* ანალიზს, თუ რამდენად გაემიჯნა პატიმარი მისი ქცევით ჩადენილ დანაშაულს და თუ რამდენად შესაძლებელია მისი რესოციალიზაცია.⁸⁴

ხსენებული სტანდარტებისა და მიდგომების განვითარების შედეგად ევროპის საბჭოს ხელშემკვრელ სახელმწიფოთა უდიდესი უმრავლესობა ან საერთოდ არ იყენებს თავისუფლების უვადოდ აღკვეთის სასჯელს, ან, თუკი იყენებს, გვთავაზობს სპეციალურ მექანიზმს, რომელიც ინტეგრირებულია სასჯელის განმსაზღვრელ კანონმდებლობაში (პატიმრობის კოდექსებში) და ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელის გადასინჯვის უზრუნველყოფას გარკვეული დროის შემდეგ. სამუდამო პატიმრობის შეფარდების, სასჯელის მოხდის, სასჯელის გადასინჯვის და შესაბამისი პროცედურების კუთხით, ევროპის საბჭოს სახელმწიფოები შეიძლება **სამ პირობით ჯგუფად დავყოთ:**

1. **პირველ ჯგუფში** შეგვიძლია მოვიყაროთ ცხრა სახელმწიფო,⁸⁵ სადაც საერთოდ არ არსებობს სამუდამო პატიმრობა:

ამ ქვეყნებში თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა განისაზღვრება ოცდაერთი წლიდან (ნორვეგია) ორმოცდახუთ წლამდე (ბოსნია და ჰერცეგოვინა). ხორვატიაში, დანაშაულებთა შეკრების შემთხვევაში, შესაძლოა ორმოცდაათწლიანი სასჯელის შეფარდება.

⁸⁰ იხ. კერძოდ რეკომენდაციის მე-2, მე-8 და 34-ე პარაგრაფები და რეკომენდაციაზე თანდართული ანგარიშის 131-ე პუნქტი.

⁸¹ იხ. რეკომენდაციის პუნქტი 4(ა) და განმარტებითი მემორანდუმის პუნქტი 131.

⁸² 10.3 მუხლი.

⁸³

https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=INT%2FCCPR%2FGE%2F4731&Lang=en

⁸⁴ 110(3) მუხლის მნიშვნელობა კიდევ უფრო ძლიერდება იმ ფაქტით, რომ სტატუტის 110(4) და (5) პარაგრაფები და საერთაშორისო სისხლის სასამართლოს პროცედურისა და მტკიცებულებათა წესების 223-ე და 224-ე წესები დეტალურ პროცედურასა და მნიშვნელოვან გარანტიებს გვთავაზობს გადასინჯვის შესახებ.

⁸⁵ ანდორა, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ხორვატია, მონტენეგრო, ნორვეგია, პორტუგალია, სან მარინო, სერბეთი, ესპანეთი.

2. **მეორე ჯგუფში** შეგვიძლია მოვიაზროთ სახელმწიფოები, რომელთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა ითვალისწინებს სამუდამო პატიმრობას, თუმცა ამ სახელმწიფოებს გააჩნიათ სასჯელის გადასინჯვის მექანიზმი, რომელიც მოქმედებაში მოდის სასჯელის კანონით განსაზღვრული მინიმალური ნაწილის/პერიოდის მოხდის/გასვლის შემდეგ. ამგვარი მექანიზმი, რომელიც ინტეგრირებულია სასჯელის შეფარდების განმსაზღვრელ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, გათვალისწინებულია 32 სახელმწიფოს⁸⁶ მიერ. მათ შორის, მაგალითად, არიან: ალბანეთი, ბელგია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საქართველო, გერმანია და ა.შ.
3. **მესამე ჯგუფში** შეიძლება მოვიაზროთ ხუთი სახელმწიფო, რომლებიც არ ადგენს უვადო თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში სამუდამო პატიმრობის გადასინჯვის ან პატიმრობიდან გათავისუფლების შესაძლებლობას. ეს ქვეყნებია: ისლანდია, ლიეტუვა, მალტა, ნიდერლანდები, უკრაინა.

თუმცა, ეს სახელმწიფოები აძლევენ უვადო პატიმრებს უფლებას, მოითხოვონ სამუდამო პატიმრობის შეცვლა მინისტრის, პრეზიდენტისა თუ სამეფო შეწყალების ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ სასჯელის ეს ფორმა გათვალისწინებულია ისლანდიაში, უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება არასდროს მომხდარა.

6.3. ზოგადი დასკვნა უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელის შესახებ

უვადო თავისუფლების აღკვეთის კონტექსტში, ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის განმარტება იმგვარად უნდა მოხდეს, რომ მოიცავდეს სასჯელის შემცირების თეორიულ და პრაქტიკულ შესაძლებლობას, რომლის ფარგლებშიც ხელისუფლების ეროვნული ორგანოები სულ მცირე განიხილავენ სამუდამო პატიმრობის განმავლობაში თუ რამდენად ჰქონდა პატიმრის ცხოვრებაში ადგილი მნიშვნელოვან ცვლილებებს და აღინიშნებოდა თუ არა პროგრესი რეაბილიტაციისაკენ, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება ხელისუფლების ორგანოებმა დაადგინონ, რომ პირის განგრძობადი პატიმრობა აღარ არის გამართლებული კანონიერი პენოლოგიურ-ლოგიკური საფუძვლით.

ამავე დროს, ევროპული სასამართლო ყოველთვის ხაზს უსვამს ხელშემკვრელი სახელმწიფოების შეფასების ზღვარს/ მიხედულების ფარგლებს, რომლის შესაბამისადაც სახელმწიფოები თავისუფალი არიან, თავად გააკეთონ არჩევანი, თუ რა ფორმით და რა

⁸⁶ ალბანეთი (25 წელი), სომხეთი (20), ავსტრია (15), აზერბაიჯანი (25), ბელგია (15, 19-დან 23-მდე გაგრძელებით რეციდივის შემთხვევაში), ბულგარეთი (20), კვიპროსი (12), ჩეხეთი (20), დანია (12), ესტონეთი (30), ფინეთი (12), საფრანგეთი (ზოგადად 19, მაგრამ 30 წელი დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის შემთხვევაში), საქართველო (25), გერმანია (15), საბერძნეთი (20), უნგრეთი (20 თუკი სასამართლო რამე სხვას არ დაადგენს), ირლანდია (პირველადი განხილვა შეწყალების საბჭოს მიერ 7 წლის შემდეგ, გარდა გარკვეული ტიპის მკვლელობებისათვის), იტალია (26), ლატვია (25), ლიხტენშტეინი (15), ლუქსემბურგი (15), მოლდოვა (30), მონაკო (15), პოლონეთი (25), რუმინეთი (20), რუსეთი (25), სლოვაკეთი (25), სლოვენია (25), შვედეთი (10), შვეიცარია (15 წელი, შესაძლოა შემცირდეს 10-მდე), ჩრდილო მაკედონია (15), თურქეთი (24 წელი, 30 დამამძიმებელი სამუდამო პატიმრობისათვის და 36 უვადო თავისუფლების აღკვეთისას სასჯელთა ერთობლიობის შემთხვევაში).

პროცედურით უნდა იქნეს სამუდამო პატიმრობა შეფარდებული პირის საქმის/ვითარების გადასინჯვა/განხილვა შესაძლებელი. ანალოგიური მიდგომა აქვს სასამართლოს გადასინჯვის, ანუ სამუდამო თავისუფლებათა დაცვითი პირის მიერ პატიმრობის მინიმალური ვადის მოხდის (სახელმწიფოთა უმეტეს შემთხვევაში ეს ვადა განსაზღვრულია 25 წლით) და შემდგომი გადასინჯვის პროცედურების პერიოდულობასთან დაკავშირებით.

6.4. ცალკეული ქვეყნების მაგალითები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები

6.4.1. კვიპროსი

კვიპროსის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, განზრახ მკვლელობა ისჯება სავალდებულო სამუდამო პატიმრობით.⁸⁷ გარდა ისეთი დანაშაულებისა, როგორიც არის განზრახ მკვლელობა და სახელმწიფო ღალატი, მოქმედი კანონმდებლობა (კოდექსის 36-37 მუხლი) უფლებას უტოვებდა მოსამართლეს, შეეფარდებინა მსჯავრდებულისათვის უფრო მსუბუქი სასჯელი, მიუხედავად იმისა რომ ცალკეული დანაშაულებისათვის (მაგალითად, როგორიც არის გაუფრთხილებელი მკვლელობა) გათვალისწინებული იყო სამუდამო პატიმრობა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე *Kafkaris v. Cyprus* (დიდი პალატა, 2008) განზრახ მკვლელობაში მსჯავრდებული მომჩივანი, რომელსაც შეეფარდა სამუდამო პატიმრობა, ჩიოდა, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა, მათ შორის, კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) და კონვენციის მე-7 მუხლის (სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის უკუქცევითი ძალის აკრძალვა) დარღვევას, რადგან იმ მომენტში როდესაც მას სამუდამო პატიმრობა შეეფარდა, მართალია, სისხლის სამართლის კოდექსი ჩადენილი დანაშაულისათვის ითვალისწინებდა სამუდამო პატიმრობას, მაგრამ ციხის წესებით სამუდამო პატიმრობა ნიშნავდა 20 წელს, ხოლო ციხის წესებიდან ამ დებულების ამოღებამ 1996 წელს მას სასჯელი უკუძალით დაუშობია.

საჩივრის განხილვისას ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კვიპროსში განზრახ მკვლელობის დანაშაული ითვალისწინებდა სავალდებულო სამუდამო პატიმრობას მსჯავრდებულის დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში. ხსენებული მომენტისათვის კვიპროსის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სასჯელის მოხდის მინიმალურ ვადას სამუდამო პატიმრობის შემთხვევაში ან ამ სასჯელის შემსუბუქების შესაძლებლობას კარგი ქცევის საფუძველზე.

თუმცა, ასეთი სასჯელის შეცვლა შესაძლებელი იყო ნებისმიერ ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რა ვადა ჰქონდა პირს პატიმრობაში მოხდილი. კერძოდ, კონსტიტუციის 53-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, რესპუბლიკის პრეზიდენტს, გენერალური პროკურორის თანხმობა/წარდგინებით, შეუძლია შეაჩეროს, გადაავადოს ან შეცვალოს სასამართლოს მიერ გამოტანილი ნებისმიერი სასჯელი. ამდენად, პრეზიდენტს შეუძლია, ნებისმიერ დროს შეუცვალოს უვადო თავისუფლების აღკვეთა სხვა უფრო მსუბუქი სასჯელით და შემდეგ

⁸⁷ 203-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გააუქმოს სასჯელი, რაც შესაძლებლობას მისცემს პირს, დაუყოვნებლივ იყოს გათავისუფლებული. პრეზიდენტს, გენერალურ პროკურორთან შეთანხმებით, ნებისმიერ დროს შეუძლია, ასევე, განკარგულებით ბრძანოს პატიმრის პირობით გათავისუფლება.

სასამართლოს განმარტებით, მართალია, კვიპროსში უვადო თავისუფლების აღკვეთის მქონე პატიმრების გათავისუფლების პერსპექტივა შეზღუდული და დამოკიდებული იყო მხოლოდ პრეზიდენტის ნებაზე, მიუხედავად ამისა, სასამართლომ არ დაადგინა, რომ კვიპროსში სამუდამო პატიმრობის შეცვლა, შემცირება, შემსუბუქება, გაუქმება არ არის შესაძლებელი როგორც *de jure*, ასევე *de facto*. სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებული პროცედურის საფუძველზე, უვადო პატიმრები გაათავისუფლეს 1993 წელს (9 პირი) და კიდევ ორი 1997 და 2005 წლებში. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ კვიპროსში, რეალურად, არსებობდა სამუდამო პატიმრობამისჯილი პირებისათვის გათავისუფლების როგორც საკანონმდებლო, ასევე - რეალური პრაქტიკული გარანტიები.

ამავე საქმეში სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევა, რადგან ციხის წესები ბუნდოვანი იყო, წინააღმდეგობაში მოდიოდა ზემდგომ კანონმდებლობასთან და არ იყო განჭვრეტადი, შესაბამისად ფუჭ იმედებს აღუძრავდა სამუდამო პატიმრობამისჯილ მომჩივანს.

ხსენებულ საქმეს განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნდა არამხოლოდ კვიპროსისათვის, არამედ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლისათვის. სწორედ ამ საქმეში დაადგინა სასამართლომ, რომ სამუდამო პატიმრობამ, შესაძლოა, დაარღვიოს კონვენციის მე-3 მუხლი, თუკი სახელმწიფოში არ იარსებებს პატიმრობის შემსუბუქების ან გაუქმების თეორიული საკანონმდებლო და პრაქტიკული შესაძლებლობები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება უვადო პატიმრებისათვის. 2008 წელს სასამართლომ ჩათვალა, რომ პრეზიდენტის მიერ შეწყალების შესაძლებლობა მე-3 მუხლით დადგენილ სტანდარტებს აკმაყოფილებდა. თუმცა ამ საქმეში მიღებული სტანდარტები, სტრასბურგის სასამართლომ მნიშვნელოვნად დახვეწა და აამაღლა ამ თემასთან დაკავშირებით მიღებულ მომდევნო გადაწყვეტილებებში, მაგალითად, უნგრეთთან მიმართებით (2014 წელს გამოტანილი გადაწყვეტილება), რომელიც დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული.

6.4.2. გერმანია

გერმანიის კანონმდებლობა უშვებს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისათვის სამუდამო პატიმრობის შეფარდების შესაძლებლობას. ამავე დროს, მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს სამუდამო პატიმრობა შეფარდებული პირის სასჯელის შემსუბუქების, გადასინჯვის ან ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობას სასჯელის შეფარდებიდან არანაკლებ 15 წლის გასვლის შემდგომ.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 57-ე (ა) პუნქტი (1), ითვალისწინებს პატიმრობის არანაკლებ 15 წლიანი ვადის გასვლის შემდგომ სასამართლო წესით პირის დარჩენილი სასჯელის შემსუბუქების, გადასინჯვის და ვადამდე გათავისუფლების საკითხს, რა დროსაც სასამართლო აჩერებს უვადო პატიმრობის დარჩენილი ნაწილის მოხდას და პირობით გათავისუფლებს პირს, თუ, *inter alia*, სამუდამო პატიმრობა შეფარდებულ პირს მოხდილი აქვს სასჯელის თხუთმეტი წელი, მსჯავრდებულის ბრალეულობის ხარისხი არ საჭიროებს

პატიმრობის გაგრძელებას, და თუ ეს შეიძლება იყოს გამართლებული, ზოგადად, საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით.

გადაწყვეტილების მიღებისას, გერმანიის სასამართლოები მხედველობაში იღებენ შემდეგ ფაქტორებს:

- მსჯავრდებულის პიროვნებას;
- მის წარსულს;
- დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებულ გარემოებებს;
- რამდენად დიდია დანაშაულის რეციდივის საფრთხე;
- როგორ იქცეოდა მსჯავრდებული სასჯელის მოხდის დროს;
- მისი ცხოვრების პირობები და რა ზეგავლენას მოახდენს სასჯელის შეჩერება ამ კონკრეტულ პირთან მიმართებით.

„განზრახ მკვლელობისათვის, რომელიც ჩადენილია სისასტიკით“ უვადო თავისუფლების აღკვეთის სავალდებულო სასჯელის შესაბამისობა მოცემულ დებულებებთან განხილულ იქნა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ *უვადო თავისუფლების აღკვეთის საქმეში (lebenslange Freiheitsstrafe)* 1977 წლის 21 ივნისს.⁸⁸

სასამართლომ დაადგინა, რომ **სოციალური კეთილდღეობისათვის სახელმწიფო ვერ გადააქცევდა დამნაშავეს დანაშაულის პრევენციის ობიექტად კონსტიტუციით დაცული მისი უფლების დარღვევის გზით**. ადამიანის ღირსებისა და კანონის უზენაესობის პატივისცემა გულისხმობს უვადო თავისუფლების აღკვეთის ადამიანურ აღსრულებას, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც პატიმარს მიეცემა **„კონკრეტული და რეალიზებადი შესაძლებლობა“**, ხელახლა მოიპოვოს თავისუფლება გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ. **სახელმწიფო ხელყოფს ადამიანის ღირსებას, თუკი პატიმარს ართმევს ყველანაირ იმედს, იყოს ოდესმე ისევ თავისუფალი**.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ **რეაბილიტაცია კონსტიტუციურად სავალდებულო იყო ნებისმიერ საზოგადოებაში, რომელიც მის საფუძვლად ადამიანის ღირსებას მიიჩნევდა**. დამნაშავეს უნდა მიეცეს შანსი, დანაშაულის გამოსყიდვის შემდეგ, ხელახლა შეიქნას საზოგადოების ნაწილი. სასამართლოს განმარტებით, პენიტენციურ სამსახურებს გააჩნდათ ვალდებულება, შეემცირებინათ პატიმრობის ნეგატიური გავლენა და მინიმუმამდე დაეყვანათ ის გამანადგურებელი ცვლილებები ადამიანის ხასიათში, რომელსაც პატიმრობა იწვევდა.

ამავე დროს სასამართლომ აღიარა, რომ იმ პატიმრის შემთხვევაში, რომელიც რჩებოდა საზოგადოებისათვის საფრთხის მომცველად, რეაბილიტაციის მიზანი შეიძლება ვერასდროს ყოფილიყო მიღწეული. ასეთ შემთხვევაში, დამნაშავეს ცალკეული პირადი გარემოებანი

⁸⁸ BVerfGE 187.

გამორიცხავდა წარმატებულ რეაბილიტაციას და არა - თავად უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელი.

სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემული დასკვნების გათვალისწინებით, უვადო თავისუფლების აღკვეთა მკვლელობისათვის არ იყო არაგონივრული და არაპროპორციული სასჯელი. ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, უვადოდ თავისუფლება აღკვეთილ პირებს ჰქონდათ შესაძლებლობა, გარკვეული ვადის მოხდის შემდეგ გათავისუფლებულიყვნენ, გულისხმობდა, რომ კოდექსის შესაბამისი დებულებები შესაძლოა განმარტებული და გამოყენებული ყოფილიყო საბაზისო კანონის დარღვევის გარეშე.

2010 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებაში⁸⁹ ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა ექსტრადირების საქმე, რომელშიც დამნაშავეს თურქეთში შეფარდებული ჰქონდა უვადო თავისუფლების აღკვეთა გარდაცვალებამდე (*erschwerter lebenslängliche Freiheitsstrafe bis zum Tod*). გერმანიის მთავრობამ მოითხოვა გარანტიები მასზედ, რომ მსჯავრდებულს მიეცემოდა გათავისუფლების მოთხოვნის უფლება და პასუხად ეცნობა, რომ თურქეთის პრეზიდენტს ჰქონდა შეწყალების უფლება ქრონიკული ავადმყოფობის, შეზღუდული შესაძლებლობებისა თუ სიბერის გამო. დაადგინა რა, რომ ხსენებული უფლება იძლეოდა გათავისუფლების მხოლოდ ბუნდოვან იმედს და არასაკმარისი იყო, სასამართლომ არ დაუშვა ექსტრადირება. მიუხედავად იმისა, რომ აუცილებელია სხვა სახელმწიფოთა სამართლებრივი წყობის პატივისცემა, თუკი პირს არ გააჩნდა გათავისუფლების პრაქტიკული პერსპექტივა, მაშინ სასჯელი სასტიკი და დამამცირებელი (*grausam und erniedrigend*) ხდებოდა და შესაბამისად, დაარღვევდა კონსტიტუციის პირველ მუხლში მოცემული ადამიანური ღირსების დაცვის ვალდებულებას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2009 წელს შეაფასა გერმანიაში მოქმედი კანონმდებლობა და პრაქტიკა განხილულ საქმეებში *Streicher v. Germany* და *Meixner v. Germany*. სამუდამო პატიმრობამისჯილი ორივე განმცხადებელი ჩიოდა კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევას იმის გამო, რომ გერმანიის სასამართლოებმა, უვადო სასჯელი თხუთმეტი წლის შემდეგ არ შეცვალეს პირობითი პატიმრობით, არამედ დაადგინეს, რომ განმცხადებლები პატიმრობაში უნდა დარჩენილიყვნენ სულ მცირე ოცდახუთი წლის განმავლობაში. ევროპულმა სასამართლომ ორივე განაცხადი დაუსაბუთებლობის მოტივით დაუშვებლად სცნო არსებით განხილვაზე და განაცხადა, რომ გერმანიაში არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა აძლევდა შესაძლებლობას, ხელმისაწვდომობა ჰქონოდათ პროცედურაზე, რომლის შედეგადაც შესაძლებელი იყო მათი უვადო პატიმრობის გადასინჯვა და სასჯელის შეცვლა/გაუქმება. ხსენებულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კავკარიის საქმეში დადგენილი მინიმალური სტანდარტები დაკმაყოფილებული იყო და განმცხადებლებს ხელი მიუწვდებოდათ შესაბამის პროცედურაზე, რომლის შედეგადაც, შესაძლებელი იყო, გადასინჯულიყო მათი სამუდამო პატიმრობა.

⁸⁹ BVerfG, 2 BvR [2299/09](#).

6.4.3. საფრანგეთი

საფრანგეთში სიკვდილით დასჯა გაუქმდა 1981 წლის 9 ოქტომბერს და შეიცვალა სამუდამო პატიმრობით. თავის მხრივ, სამუდამო პატიმრობა, რომელიც თავდაპირველ ეტაპზე მართლაც სამუდამო იყო და მისი შემცირება ან შემსუბუქება არ დაიშვებოდა, 1978 წლის 22 ნოემბრის კანონით, შესაძლებელი გახდა, რომ შემცირებულიყო განსაზღვრული მინიმალური ვადის მოხდის შემდგომ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე საქმე განიხილა საფრანგეთის წინააღმდეგ. საქმეში *Leger v. France* (2006) განმცხადებელს მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა 1966 წელს, და სასჯელის გამოტანის მომენტისათვის მინიმალური ვადა არ იყო დადგენილი. იგი ამტკიცებდა, რომ პრაქტიკაში მისი პატიმრობა 41 წელზე მეტი ხნის განმავლობაში გაგრძელდა, რაც უთანაბრდებოდა უვადო პატიმრობას, რომლის შემცირება ან გადასინჯვაც შეუძლებელი იყო და, ამიტომ, წარმოადგენდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. 2005 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის ოქტომბრამდე განმცხადებელი პირობით გაათავისუფლეს. განმცხადებელი გარდაიცვალა 2008 წლის ივლისში. 2006 წლის 11 აპრილის პალატის გადაწყვეტილებაში სასამართლომ ხუთი ხმით ორის წინააღმდეგ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ 15 წლიანი პატიმრობის შემდგომ, განმცხადებელს შეეძლო მოეთხოვა მისი პირობით გათავისუფლება რეგულარული ინტერვალებით, ხოლო გათავისუფლების მოთხოვნებთან დაკავშირებული სამართალწარმოების განხორციელებისას, იგი უზრუნველყოფილი იყო პროცესუალური გარანტიებით. შესაბამისად, პალატამ ვერ დაადგინა, რომ განმცხადებელს ყოველგვარი იმედი ჰქონდა წართმეული, რათა მისი სასჯელი გადასინჯულიყო და, ამ გადასინჯვის შედეგად, შემსუბუქებული ან შემცირებულიყო.

საქმეში *Bodein v. France*⁹⁰ სასამართლომ იმსჯელა განმცხადებლის საჩივართან დაკავშირებით, რომელსაც 2008 წლის 2 ოქტომბერს მიესაჯა სამუდამო პატიმრობა სამი მკვლელობისთვის, მათ შორის, ორი ჩადენილი თხუთმეტ წლამდე არასრულწლოვანთან მიმართ, რასაც წინ უძღოდა ან თან ახლდა გაუპატიურება. ვინაიდან განმცხადებელი იყო რეციდივისტი, იგი ნასამართლევი იყო 1996 წელს, ეროვნულმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სასჯელის გადასინჯვა დაუშვებელი იყო 30 წლიანი მინიმალური ვადის გასვლამდე, რაც განპირობებული იყო მომჩივნის პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროებით. თუმცა ასეთ შემთხვევაშიც კი რჩებოდა იმის პოტენციური შანსი, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შესაბამის სასამართლოს განეხილა პროკურატურის ან პატიმრის შუამდგომლობა იმასთან დაკავშირებით, ხომ არ წარმოიშვა პატიმრობის განმავლობაში სამართლებრივი საფუძვლები მსჯავრდებულის ხანგრძლივი პატიმრობის გადასინჯვისათვის. ევროპულმა სასამართლომ ისევ მიუთითა 2004 წლის კანონზე, რომელმაც შესაბამისი კომპეტენცია მიანიჭა მსჯავრდების შემდგომ საქმეზე მანდატის მქონე სასამართლოებს (*post sentencing courts*) გამოეცა სპეციალური გადაწყვეტილება „იმის გათვალისწინებით, თუ როგორ იქცეოდა მსჯავრდებული პირი ციხეში და რა ცვლილებები განიცადა მისმა პიროვნებამ“.

⁹⁰ 2014 წელს დიდი პალატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება.

ამავე გადაწყვეტილებაში, სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ რამდენად იყო შესაბამისობაში კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებთან 30 წლიანი მინიმალური ვადა, რომელიც გამონაკლისის სახით შეიძლება დანიშნოდა სამუდამო პატიმრობამისჯილ პირს მოსახდელად იმ მომენტამდე, სანამ მიეცემოდა შესაძლებლობა, მოეთხოვა სამუდამო პატიმრობის გადასინჯვა/ შემსუბუქება, შემცირება ან გაუქმება. სასამართლომ მიუთითა, რომ ევროპულ სახელმწიფოებსა და ევროპულ სამართალში ჩამოყალიბებული კონსენსუსის შედეგად, მაქსიმალური ვადა, რომლის შემდგომაც სამუდამო პატიმრობა შეფარდებულ პირს ხელი უნდა მიუწვდებოდეს პროცედურაზე, რომელიც განიხილავს მის სამუდამო პატიმრობაზე შეღავათის გავრცელების საკითხს, განსაზღვრული იყო 25 წლით. რადგანაც, ფრანგული კანონმდებლობის თანახმად, პატიმრობის მინიმალური ვადიდან უნდა გამოქვითულიყო წინასწარი პატიმრობის პერიოდი (რაც 4 წელს შეადგენდა), განმცხადებელს შესაძლებლობა ჰქონდა მიემართა სასამართლოსათვის სასჯელის გადასინჯვის მოთხოვნით 2034 წელს, რაც სასჯელის შეფარდებიდან მოხდებოდა 26 წლის შემდგომ. გამომდინარე სახელმწიფოებისათვის მიკუთვნებული შეფასების ზღვრისა და მიხედვლების ფარგლებიდან, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და განსაკუთრებული სისასტიკისა, ასევე, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საფრანგეთის კანონმდებლობა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში უშვებს 30 წლიანი მინიმალური მოსახდელი ვადის შეფარდებას პირისათვის, რომელიც მსჯავრდებულ იქნა განზრახ მკვლელობაში, რასაც წინ უძღოდა გაუპატიურება და სასტიკი მოპყრობა, იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ სასჯელის შეფარდებიდან პირს შესაძლებლობა ექნება 26 წლის შემდგომ მიმართოს სასამართლოს სასჯელის გადასინჯვის მოთხოვნით (რაც სულ 1 წლით აღემატება ევროპულ სახელმწიფოებს შორის მიღწეულ კონსენსუსს და 25 წლიან ვადას), ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

6.4.4. გაერთიანებული სამეფო

ინგლისსა და უელსში სიკვდილით დასჯის გაუქმების შემდეგ, კანონმდებელმა განზრახ მკვლელობისათვის, სავალდებულო სასჯელის სახით განსაზღვრა სამუდამო პატიმრობა. შესაბამისი საქმის განმხილველი და სამუდამო პატიმრობის, როგორც სასჯელის შემფარდებელი მოსამართლე ვალდებულია, დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით, დაადგინოს პატიმრობის მინიმალური ვადა, რომელიც სრულად უნდა მოიხადოს მსჯავრდებულმა დასჯისა და სამართლიანობის აღდგენის მიზნით. ის პრინციპები, რომელთა საფუძველზეც განმხილველმა მოსამართლემ უნდა შეაფასოს შესაბამისი მინიმალური ვადა მოცემულია სისხლის სამართლის შესახებ 2003 წლის კანონის ("2003 წლის აქტი") 21-ე დანართში. მინიმალური ვადის მოხდის შემდეგ, პატიმარს ენიჭება უფლება მიმართოს ვადაზე ადრე პირობით გათავისუფლების საბჭოს.

ხსენებული კანონმდებლობის კონვენციის მე-3 მუხლთან შესაბამისობის საკითხზე იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ 2 მნიშვნელოვან საქმეში.

2013 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში საქმეზე *Vinter and others v. The United Kingdom* (2013) გაერთიანებული სამეფოს მთავრობა ამტკიცებდა, რომ 2003 წელს მიღებულ კანონმდებლობაში, რომელმაც გააუქმა მანამდე არსებული 25 წლიანი მინიმალური ვადა, მნიშვნელოვანი ტვირთი სამუდამო პატიმრობის შეფარდებასა და მოხდასთან დაკავშირებით (მათ შორის, პატიმრობის მინიმალური დროის), დააკისრეს ეროვნულ სასამართლოებს

(ზემდგომ სასამართლოს, High Court). თუმცა, ევროპული სასამართლოს აზრით, იმის საჭიროება, რომ დამოუკიდებელმა მოსამართლეებმა განსაზღვრონ უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება, განსხვავდება იმ პროცედურისგან, რომელიც ითვალისწინებს სამუდამო პატიმრობის მოგვიანებით გადახედვის საჭიროებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამუდამო პატიმრობის გაგრძელება და მისი ლეგიტიმურობა ჯეროვან პენოლოგიურ საფუძვლებზე. ამასთანავე, ევროპული სასამართლოს აზრით, იმის გათვალისწინებით, რომ ხსენებული საკანონმდებლო ცვლილება მიზნად ისახავდა აღმასრულებელი ორგანოს სრულიად ჩამოშორებას სამუდამო პატიმრობა შეფარდებული პირებისათვის მინიმალური ვადის განსაზღვრასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისაგან, უფრო თანმიმდევრული იქნებოდა, ოცდახუთი წლის პატიმრობის შემდეგ ავტომატური გადახედვის სრულიად გაუქმების ნაცვლად, ამ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადაცემა მომხდარიყო სრულად მართლმსაჯულების სისტემისათვის.

ევროპული სასამართლოს აზრით, სამუდამო პატიმრების გათავისუფლების პერსპექტივებთან დაკავშირებული მოქმედი კანონი არასაკმარისად ნათელი იყო. 1997 წლის აქტის 30-ე მუხლით, სახელმწიფო მდივანს ენიჭებოდა უფლებამოსილება გაეთავისუფლებინა ნებისმიერი პატიმარი, მათ შორის უვადოდ თავისუფლება აღკვეთილიც. თუმცა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ხსენებულ სახელმწიფო მდივანს შეუძლია, განახორციელოს მხოლოდ თანაგრძნობის მოტივით იმ სამუდამო პატიმრობამისჯილ პირებთან მიმართებით, რომლებსაც უკურნებელი სენი სჭირთ და მომეტებული დამაჯერებლობით მალე გარდაიცვლებიან. მთავრობამ, სასამართლოს წინაშე წარმოდგენილ არგუმენტებში აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო 30-ე მუხლის იმგვარად წაკითხვა/განმარტება, რომ იგი არა მხოლოდ ანიჭებდეს გათავისუფლების უფლებას სახელმწიფო მდივანს თანაგრძნობის მოტივით (პატიმრის უკურნებელი სენით დაავადების ან მნიშვნელოვანი შეზღუდული შესაძლებლობების დროს), არამედ აკისრებდეს კიდევაც მას მოცემული ქმედების განხორციელების ვალდებულებას და ავალდებულებდეს იმ პატიმრის შესაძლო გათავისუფლების საკითხზე მსჯელობასაც, რომელსაც არ ჰქონდა უკურნებელი სენი და რომელთან მიმართებაშიც დადასტურდებოდა, რომ მისი განგრძობადი პატიმრობა შეუსაბამო შეიქმნა მე-3 მუხლთან, მაგალითად, როდესაც პატიმრობა აღარ იქნებოდა გამართლებული ჯეროვანი პენოლოგიური საფუძვლებით.

ევროპული სასამართლოს პოზიციით, მოქმედი კანონის 30-ე მუხლის ამგვარი წაკითხვა უზრუნველყოფდა გარკვეული შესაძლებლობების არსებობას კანონმდებლობის საფუძველზე მომხდარიყო უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი პატიმრების თეორიული გათავისუფლება, რაც, პრინციპში, შესაბამისობაშია სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ზემოთ ციტირებულ *Kafkaris* საქმესთან. თუკი დადგინდებოდა, რომ მომჩივნების შემთხვევებში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა საკმარისად ცხადად დაარეგულირებდა მოცემულ საკითხს, მაშინ რთული იქნებოდა იმ დასკვნის გამოტანა, რომ სასჯელები შეუმცირებელი იყო და შესაბამისად, არც მე-3 მუხლის დარღვევა დადგინდებოდა.

თუმცა, ევროპულმა სასამართლომ წუხილი გამოთქვა, რომ 2013 წლისათვის მოქმედი კანონის განმარტება და პრაქტიკაში გამოყენება შეუსაბამო იყო ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან. ფაქტია, რომ მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა, საქმეზე R. V. Bieber (2009) სახელმწიფო მდივანმა არ შეცვალა მის მიერ აშკარად გაცხადებული და ამომწურავი პოლიტიკის პირობები მასზედ თუ როდის

იმოქმედებს 30-ე მუხლით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლები (რაც გულისხმობდა სახელმწიფო მდივნის მიერ უფლებამოსილების გამოყენების შესაძლებლობას მხოლოდ თანაგრძნობის მოტივით იმ შემთხვევებში, როდესაც პატიმარი უკურნებელი სენით იყო დაავადებული). მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს მიერ შემოთავაზებული განმარტებისა 30-ე მუხლთან დაკავშირებით, 2013 წლისათვის ძალაში რჩებოდა პატიმრობის მოხდის ბრძანება, რომელიც აღნიშნავდა, რომ გათავისუფლება შესაძლებელი იყო მხოლოდ გარკვეულ, ამომწურავად ჩამოთვლილ გარემოებებში, კერძოდ, თუკი პატიმარი იყო უკურნებელი სენით დაავადებული ან ფიზიკურად შეეზღუდა შრომისუნარიანობა და დაკმაყოფილებული იყო სხვა დამატებითი კრიტერიუმები (კერძოდ, ხელახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის მინიმალური შესაძლებლობა, პირის განგრძობადი პატიმრობა შეამცირებს მის სიცოცხლისუნარიანობას, ციხის მიღმა არსებობს პატიმრის მოვლისა და მასზე ზრუნვის ადექვატური პირობები, და მისი ნაადრევად გათავისუფლება პატიმარს ან მის ოჯახს მოუტანს სარგებელს).

ევროპული სასამართლოს განმარტებით, ჩამოთვლილი პირობები უკიდურესად შეზღუდული ხასიათის იყო. იმის დაშვების შემთხვევაშიც კი, რომ ხსენებული პირობები შესაძლოა დაკმაყოფილებულ იქნას უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი პატიმრის მიერ, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პალატამ მართებულად შეიტანა ეჭვი, თუ რამდენად წარმოადგენდა სასიკვდილოდ დაავადებული თუ ფიზიკურშესაძლებლობაშეზღუდული პატიმრის თანაგრძნობის საფუძველზე გათავისუფლება ჯეროვან გათავისუფლებას, თუკი ეს უკანასკნელი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ პატიმარი გარდაიცვლება სახლში ყოფნისას ან საავადმყოფოში და არა ციხეში. ევროპული სასამართლოს განცხადებით, მხოლოდ ამგვარი თანაგრძნობის საფუძველზე გათავისუფლების შესაძლებლობა არ იყო მოსაზრებული „გათავისუფლების შესაძლებლობაში“, როგორც ეს იქნა მოთხოვნილი ზემოთ ციტირებულ *Kafkaris* საქმეში. თავად მინისტრის ბრძანების პირობები, არ შეესაბამება *Kafkaris* საქმეს და შესაბამისად, არ არის საკმარისი მე-3 მუხლის მიზნებისათვის. კერძოდ, ბრძანება არ ასახავს შესაძლებლობას, რომ ლეგიტიმურ პენოლოგიურ-ლოგიკურ საფუძვლებზე მითითებითა და დაყრდნობით, სამუდამო პატიმარს შეეძლოს გათავისუფლების მოთხოვნა სასჯელის მოხდის გარკვეულ ეტაპზე. შედეგად, უვადო თავისუფლებადკვეთილი პატიმრების მიმართ გამოყენებადი ეროვნული კანონმდებლობის ბუნდოვანების გათვალისწინებით, სასამართლომ არ გაიზიარა მთავრობის არგუმენტი, რომ 1997 წლის აქტი მომჩივნებს სთავაზობს სათანადო და ადექვატურ მისაგებელს იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ოდესმე მოისურვებენ იმის დამტკიცებას, რომ მათი განგრძობადი პატიმრობა აღარ იყო გამართლებული ლეგიტიმური პენოლოგიურ-ლოგიკური საფუძვლებით და შესაბამისად, წინააღმდეგობაში მოდიოდა კონვენციის მე-3 მუხლთან. შესაბამისად, 30-ე მუხლის ფართო განმარტებასა (მოცემული სააპელაციო სასამართლოს მიერ კონვენციის შესაბამისად, რადგან ადამიანის უფლებათა აქტის მიხედვით სავალდებულოა გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობის შესაბამისობა კონვენციასთან) და საპატიმრო სასჯელის ბრძანებაში მოცემულ ამომწურავ პირობებს შორის არსებული განსხვავების გამო, და უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელის გადახედვის მექანიზმის არარსებობის გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო ვერ დარწმუნდა რომ დროის ამ პერიოდში მომჩივნების უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელი შესაძლოა მიჩნეულ ყოფილიყო სასჯელად, რომელიც შესაძლოა შემსუბუქებულიყო ან შემცირებულიყო. შესაბამისად,

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მე-3 მუხლის მოთხოვნები ამ კუთხით დარღვეული იყო.

საქმეში *Hutchinson v. The United Kingdom* (2015) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ იმსჯელა იგივე კანონმდებლობასთან მიმართებით, თუმცა იმ მნიშვნელოვანი განმარტების ჭრილში, რომელიც მოქმედ კანონმდებლობასთან მიმართებით გააკეთეს გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებმა საქმეებში *R v. Newell*; *R v. McLoughlin* 2014 წელს და კიდევ უფრო ნათელი მოჰფინეს იმ პრინციპებს, რომლებიც იქნა დადგენილი *R v. Bieber* and *R v. Oakes* ადრე მიღებულ გადაწყვეტილებაში.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ უვადო პატიმრობასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო არ იყო გადასინჯული, ეროვნული კანონმდებლობით ნათლად იყო დადგენილი, რომ სახელმწიფო მდივანი ვალდებული იყო განეხორციელებინა 1997 წლის კანონის 30-ე მუხლით მინიჭებული თავისი უფლებამოსილებები კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად. თუკი სამუდამო პატიმრობამისჯილი პირი დაადასტურებდა, რომ სასჯელის გამოტანის შემდეგ წარმოიშვა „გამონაკლისი გარემოებები“, სახელმწიფო მდივანს უნდა განეხილა, ამართლებდა თუ არა ასეთი განსაკუთრებული გარემოებები თანაგრძნობის საფუძველზე გათავისუფლებას. მიუხედავად უვადო პატიმრობის სახელმძღვანელოში მითითებული პოლიტიკისა, სახელმწიფო მდივანი ვალდებული იყო განეხილა ყველა შესაბამისი გარემოება იმგვარად, რომ პროცედურა შესაბამისობაში ყოფილიყო კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებთან. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით სახელმწიფო მდივნის ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო დასაბუთებული ინდივიდუალური გარემოებებზე მითითებით და უნდა დაქვემდებარებოდა სასამართლო გადასინჯვას, რომლის შედეგადაც ნათელი მოეფინებოდა თუ როგორ იქნა განმარტებული კანონში მოცემული ტერმინები „გამონაკლისი გარემოებები“ და „თანაგრძნობის საფუძველები“, რომელზე მითითებითაც შესაძლებელი იყო სამუდამო პატიმრობამისჯილ პირთან მიმართებით განხილულიყო მისი სასჯელის შემსუბუქების საკითხი. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდა იმის შესაძლებლობას, რომ პირს, რომელსაც მიესაჯა სამუდამო პატიმრობა (მინიმალური პატიმრობის დროის გარეშე) გათავისუფლებულიყო განსაკუთრებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, როდესაც სასჯელის შემდგომი მოხდა აღარ იყო გამართლებული.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, გაერთიანებული სამეფო იყო ის სახელმწიფო, რომელშიც არსებული სამართლებრივი ტრადიციების თანახმად, კანონმდებლობის მნიშვნელოვანი განმარტება პროგრესულად ხდებოდა სწორედ ეროვნული სასამართლოების მიერ და ეს წარმოადგენდა ბრიტანეთის სამართლებრივ ტრადიციას.⁹¹

შესაბამისად, ევროპული სასამართლოს განმარტებით, მას შემდგომ რაც გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ *Vinter and others* ის საქმეზე, სადაც დიდმა პალატამ ბუნდოვნად მიიჩნია ეროვნული კანონმდებლობა, ინგლისის საპელაციო სასამართლომ *R. v. Newell*-ში; *R v. McLoughlin* საქმეებში კონკრეტულად განიხილა ამ ბუნდოვნებასთან დაკავშირებული საკითხები, განმარტა და სამართლებრივი ინტერპრეტაცია მისცა ევროპული

⁹¹ *C.R. v. the United Kingdom*, 22 November 1995, § 34, Series A no. 335-C.

სასამართლოს მიერ 2013 წელს ბუნდოვნად მიჩნეულ დებულებებს. სააპელაციო სასამართლოს განმარტების თანახმად:

1. სახელმწიფო მინისტრის ნებისმიერი უარი სამუდამო პატიმრობამისჯილი პირის სასჯელის შემსუბუქება, შემცირება, გადავადება, გაუქმებასთან დაკავშირებით ექვემდებარება ზემდგომი სასამართლოს მიერ გადასინჯვას და შესაძლოა, ასეთი სამართალწარმოების შედეგად სამართლებრივი პოზიცია დაზუსტდეს, მაგალითად, სახელმწიფო მდივნის მიერ ციხის სამსახურის ბრძანების გაუქმებით ან ამ უკანასკნელის გადაწყვეტილების გაუქმებით ზემდგომი სასამართლოს მიერ;
2. როგორც ეს ადრე მიღებულ გადაწყვეტილებაში იქნა დადასტურებული R. v Bieber სახელმწიფო მდივანი ვალდებულია 1997 წლის კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კონვენციის მე-3 მუხლის განმარტების შესაბამისად. ნაკლებად მნიშვნელოვანია თუ რა წერია სამუდამო პატიმრობამისჯილი პირებთან დაკავშირებული მოპყრობის სახელმძღვანელოში. მთავარია რას ამბობს და რა ვალდებულებებს აკისრებს სახელმწიფო მინისტრს ზემდგომი კანონმდებლობა და სასამართლო განმარტებები;
3. 30-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო მინისტრი ვალდებულია გადასინჯოს სამუდამო პატიმრობამისჯილი პირის საქმე თუკი დადგება „გამონაკლისი გარემოებები“. შესაბამისად, სამუდამო პატიმრობამისჯილ პირს აკისრია ტვირთი დაამტკიცოს, რომ იმ მომენტის შემდგომ, როდესაც ეროვნული სასამართლოს მიერ მას მიესაჯა სამუდამო პატიმრობა, წარმოიშვა „გამონაკლისი გარემოებები“. „გამონაკლისი გარემოებები“ არ უნდა იქნეს განმარტებული მხოლოდ იმ ვიწრო ჩამონათვალის ჭრილში, რომელიც მოცემულია სამუდამო პატიმრობამისჯილი პირების სახელმძღვანელოში (მხოლოდ თანაგრძნობის მოტივით, როდესაც პირი სასიკვდილო სენით არის დაავადებული ან მძიმე შეზღუდული შესაძლებლობები აღენიშნება). სახელმძღვანელომ არ და ვერ უნდა შეუზღუდოს სახელმწიფო მინისტრს თავისუფლება გასცდეს სახელმძღვანელოში მოცემულ საფუძვლებს და „გამონაკლისი გარემოებებში“ იგულისხმოს ასევე სხვა საფუძვლები, რომლებიც შესაძლოა წარმოჩინდეს ინდივიდუალურ საქმეებში, მაგალითად, პენოლოგიური საფუძვლები ან სხვა საფუძვლები, რაც შეიძლება ჯეროვნად იქნეს მიჩნეული ეროვნული პრეცედენტული სამართლის განვითარების შედეგად;
4. გადაწყვეტილების გამოტანისას, სახელმწიფო მინისტრმა უნდა იხელმძღვანელოს იმ სტანდარტებით, რომელიც დადგენილია კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებით (რაც გულისხმობს ამ შემთხვევაში სამუდამო პატიმრობამისჯილი პირის განგრძობადი პატიმრობის გონივრულობის ეფექტიანი გადასინჯვის შესაძლებლობას);
5. სახელმწიფო მდივნის გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს თითოეული ინდივიდუალური საქმის გარემოებებზე მითითებით და მისი გადაწყვეტილება ექვემდებარება ზემდგომი სასამართლოს მიერ გადასინჯვას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჯეროვნად მიიჩნია ეროვნული სასამართლოების განმარტებები და დაადგინა, რომ ხსენებული განმარტებების ჭრილში, გაერთიანებული სამეფოს ეროვნული კანონმდებლობა აძლევდა ეფექტიან შესაძლებლობას

სამუდამო პატიმრობამისჯილ პირს (რომელსაც პატიმრობის მინიმალური ვადა არ ჰქონდა განსაზღვრული) ჰქონდა იმედი, რომ შესაბამისი გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მისი საქმე ეფექტიანად იქნებოდა გადასინჯული სახელმწიფო მინისტრის მიერ, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაექვემდებარებოდა ზემდგომი სასამართლოს მიერ გადასინჯვას.

6.4.5. ბულგარეთი

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რადიკალურად განსხვავებული გადაწყვეტილება მიღო საქმეზე *Harachiev and Tolumov v. Bulgaria* (2014). ხსენებულ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დაეყრდნო გადახალისებულ სტანდარტებს, რომლებიც სასამართლომ დაამკვიდრა 2014 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში *Vinter and others v. The United Kingdom*, რომელთა თანახმადაც:

1. უვადო პატიმრობის კონტექსტში კონვენციის მე-3 მუხლი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ იგი მოითხოვს სახელმწიფოებისაგან შექმნას და ხელმისაწვდომი გახადოს სამუდამო პატიმრობამისჯილი პირებისათვის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ისინი შეძლებენ შესაბამის მომენტში იშუამდგომლონ სასჯელის შემცირება/შემსუბუქება/გაუქმებასთან დაკავშირებით, რაც ეროვნულ სახელმწიფო ორგანოებს საშუალებას მისცემს იმსჯელონ, უვადო პატიმრის პიროვნებასა და ცხოვრებაში არის თუ არა რაიმე იმდენად მნიშვნელოვანი ცვლილება, სასჯელის მოხდის პროცესში იმგვარი პროგრესი რეაბილიტაციის კუთხით, რაც შეუსაბამოს/გაუმართლებელს ხდის განგრძობად პატიმრობას ლეგიტიმური პენოლოგიური საფუძვლებით;⁹²

2. სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისა და სასჯელის შეფარდების საკითხებზე ხელშემკვრელი სახელმწიფოების თავისუფალი შეფასების ფარგლების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ამოცანა არ არის, განსაზღვროს, რა ფორმით მოხდება გადასინჯვა, აღმასრულებელი ხელისუფლების თუ სასამართლოს გზით, ან დაადგინოს, როდის უნდა მოხდეს გადასინჯვა. თუმცა, შედარებითი და საერთაშორისო სამართლის წყაროები მიუთითებს უვადო პატიმრობის შეფარდების შემდეგ არაუგვიანეს ოცდახუთი წლის ვადაზე, ხოლო ხსენებული ვადის შემდგომ - სასჯელის პერიოდულ გადასინჯვაზე, გონივრულ ინტერვალებში;⁹³

3. თუკი ეროვნული კანონმდებლობა ამგვარი გადასინჯვის შესაძლებლობას არ იძლევა, სამუდამო პატიმრობა ვერ აკმაყოფილებს კონვენციის მე-3 მუხლის სტანდარტებს;⁹⁴

4. სამუდამო პატიმრობამისჯილი პირი არ უნდა იყოს ვალდებული, სასჯელის მიმდინარეობისას მოიხადოს განუსაზღვრელი რაოდენობის წლები, სანამ ის შეძლებს შუამდგომლობა წარადგინოს იმის თაობაზე, რომ მისი განგრძობადი პატიმრობა აღარ აკმაყოფილებს კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს. ეს წინააღმდეგობაში მოვიდოდა

⁹² გადაწყვეტილების § 119.

⁹³ *ibid.*, § 120.

⁹⁴ *ibid.*, § 121.

როგორც სამართლებრივ მდგრადობასთან, ისე დაზარალებულის სტატუსთან დაკავშირებულ პრინციპებთან ამ ტერმინის კონვენციის 34-ე მუხლის მნიშვნელობით. უფრო მეტიც, საქმეებზე, სადაც სასჯელი, შეფარდების შემდეგ, შემცირებას არ ექვემდებარება ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, არაგონივრული იქნებოდა იმის მოლოდინი, რომ პატიმარი იზრუნებს საკუთარი თავის რეაბილიტაციაზე იმის ცოდნის გარეშე, რომ გაურკვეველ მომავალში შემოღებული იქნება მექანიზმი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მას, რეაბილიტაციის საფუძველზე, განხილულ იქნას მისი გათავისუფლება. მთელი სიცოცხლის მანძილზე პატიმრობა შეფარდებული პირი უფლებამოსილია, იცოდეს სასჯელის მოხდის პროცესში რა უნდა გააკეთოს, რათა განხილული იყოს მისი გათავისუფლება და რა პირობებით, მათ შორის, როდის მოხდება მისი სასჯელის შესაძლო გადასინჯვა.

წინამდებარე საქმეზე სამუდამო პატიმრობა შეფარდებული პირისათვის, როგორც იყო ბატონი ჰარაკჩევი, სასჯელის გადასინჯვის არსებული მექანიზმის მე-3 მუხლთან შესაბამისობის განსაზღვრასთან ერთად სასამართლოს უნდა დაეზუსტებინა, ბულგარეთის კანონმდებლობა ითვალისწინებდა თუ არა ბატონი ჰარაკჩევის სასჯელის გადასინჯვის ადეკვატურ მექანიზმს.

სასამართლოს განმარტებით, 2006 წლის 13 ოქტომბრამდე არსებული რედაქციით, 74-ე მუხლი მართალია პირდაპირ არ გამორიცხავდა ამ შესაძლებლობას, მაგრამ ნათლად არ განმარტავდა, რომ პრეზიდენტის შეწყალების უფლებამოსილება, ასევე, ვრცელდებოდა მთელი სიცოცხლის მანძილზე სამუდამო პატიმრობამისჯილ პირებზე. ვინაიდან 2006 წლის ოქტომბრამდე არ არსებობდა პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის მიერ მთელი სიცოცხლის მანძილზე პატიმრობაშეფარდებულ პირთან მიმართებით შეწყალების უფლებამოსილების გამოყენების პრეცედენტი და ვინაიდან არ არსებობდა პარალელურად პრეზიდენტის შეწყალების მარეგულირებელი კანონმდებლობის ავტორიტეტული განმარტება, ევროპული სასამართლოსათვის რთული იყო იმის დადგენა, ეს სასჯელი ექცეოდა პრეზიდენტის მიერ შეწყალების უფლებამოსილების ფარგლებში თუ არა, რადგან ეს ნათლად არ იყო მითითებული. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ შედეგად კანონმდებელმა აუცილებლად მიიჩნია საკითხის დაზუსტება საკანონმდებლო ცვლილებებით და, ამავე დროს, 2012 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ გააკეთა განმარტება კონსტიტუციის 98.11 მუხლთან მიმართებით (კერძოდ კი იმის შესახებ პრეზიდენტის უფლებამოსილება შეწყალებაზე ვრცელდებოდა თუ არა ყველა სახის სამუდამო პატიმრობაზე, მათ შორის სამუდამო პატიმრობაზე, რომელსაც არ ჰქონდა სასჯელის მოხდის მინიმალური ვადა, სადაც საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტურა, რომ ვრცელდება), ევროპული სასამართლოს განმარტებით, ბატონი ჰარაკჩევის სასჯელის საბოლოო ძალაში შესვლის დროს ნათელი იყო, რომ ის *de jure* არ იყო შემცირებადი.

მოქმედი სისტემის საფუძველზე, რომელიც ეფუძნება 2012 წლის იანვრიდან არჩეული პრეზიდენტის გადაწყვეტილებებსა და ამ დროიდან მის მიერ შექმნილი შეწყალების კომისიის პრაქტიკას, მეტნაკლებად ნათელი გახდა, რომ პრეზიდენტის მიერ შეწყალების უფლებამოსილება ვრცელდება ყველა სამუდამო პატიმარზე (მათ შორის მათზეც, ვისაც არ ჰქონდა განსაზღვრული მინიმალური ვადა). ამასთან, ვიცე-პრეზიდენტთან არსებული შეწყალების კომისიის მუშაობის მარეგულირებელი წესები ადგენს, რომ კომისიამ მუშაობისას უნდა გაითვალისწინოს *inter alia* საერთაშორისო სასამართლოებისა და სხვა ორგანოების

პრეცედენტული სამართალი ბულგარეთთან მიმართებით ძალაში არსებული საერთაშორისო ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტების განმარტებასთან და შეფარდებასთან დაკავშირებით.

ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად იკვეთება, რომ თუკი მომავალი პრეზიდენტები და ვიცე-პრეზიდენტები განაგრძობენ შეწყალების უფლებამოსილების განხორციელებას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2012 წელს განსაზღვრული დებულებებისა და იმავე წელს მიღებული პრაქტიკის შესაბამისად, ბატონი ჰარაკევის მთელი სიცოცხლის მანძილზე პატიმრობა შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც *de facto* შემცირებადი და რომ ამ დროის შემდეგ ის შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც იმის მცოდნე, რომ არსებობს მექანიზმი, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს, წარადგინოს შუამდგომლობა სასჯელის გადასინჯვასთან დაკავშირებით.

თუმცა ევროპული სასამართლოს აზრით, იგივე არ შეიძლება ითქვას სასჯელის საბოლოო ძალაში შესვლიდან, 2004 წლის ნოემბრიდან მინიმუმ 2012 წლამდე პერიოდზე. წინა პრეზიდენტის ადმინისტრაციის პირობებში, რომელიც ორი ვადით იყო არჩეული, პირველად 2002 წლის 22 იანვრიდან 2007 წლის 22 იანვრამდე და მეორედ - 2007 წლის 22 იანვრიდან 2012 წლის 22 იანვრამდე, პრეზიდენტის მიერ შეწყალების უფლებამოსილების განხორციელება მეტად ბუნდოვანი იყო საჯაროდ გაკეთებული რაიმე პოლიტიკის განაცხადის გარეშე და ცალკეული შეწყალების აქტების რაიმე სახის დასაბუთების გარეშე. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ის გვერდს ვერ აუვლის იმ ფაქტს, რომ 1998 წელს გამართული საპარლამენტო დებატებისას პარლამენტის წევრები ითხოვდნენ გარანტიებს, რომ პრეზიდენტის დისკრეცია არ განხორციელდებოდა პირების მიმართ, რომელთაც შეფარდებული ჰქონდათ მთელი სიცოცხლის განმავლობაში პატიმრობა და რომ 2012 წელს პარლამენტმა აუცილებლად მიიჩნია *ad hoc* კომიტეტის შექმნა ამ საკითხის შესასწავლად. არც კონკრეტული მაგალითები არსებობდა იმისა, რომ ბატონი ჰარაკევის მდგომარეობაში მყოფ პირებს შეიძლება ჰქონოდათ იმედი, რომ ამ უფლებამოსილების განხორციელებით სარგებელს მიიღებდნენ (სწორედ ამით განსხვავდება ეს საქმე *Kafkaris v. Cyprus* § 103 საქმისგან). თუმცა, პრეზიდენტის მიერ შეწყალების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით, ფორმალური ან თუნდაც არაფორმალური გარანტიების არ არსებობის კომბინაცია, ერთობლიობაში იმგვარი მაგალითების არ არსებობასთან, რომლებიც გვთავაზობს, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე პატიმრობაზე შეფარდებულისთვის შესაძლებელი იქნებოდა სასჯელის შემცირება 2004 წლის ნოემბრიდან 2012 წლის დასაწყისამდე, ბატონი ჰარაკევის სასჯელი ვერ მიიჩნევა როგორც *დე ფაქტო* შემცირებადი. საქმეზე *Vinter and Others* 122-ე პუნქტში მოცემული განმარტების შესაბამისად დიდმა პალატამ განმარტა, რომ სამუდამო პატიმრობამისჯილ პირთან დაკავშირებულ შემთხვევებში, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა გამოიხატება იმ პირთან მიმართებაში, რომლისთვისაც **დროის რაიმე მონაკვეთში არ არსებობს გათავისუფლების იმედი**, რაც არ უნდა სუსტი იყოს ეს იმედი, და არ არსებობს ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც სასჯელის შემსუბუქებასთან დაკავშირებულ შუამდგომლობას განიხილავს.

Iorgov-ის საქმისგან განსხვავებით, ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეში ბრძანა, რომ ბულგარეთში მსჯავრდებულმა და სამუდამო პატიმრობა შეფარდებულმა პირმა 2012 წლის შემდგომ „იცის რა უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ განხილულ იქნას მისი გათავისუფლება და რა პირობებით“. თუმცა, სასამართლოს არ შეეძლო იმავეს თქმა 2004 წლიდან 2012 წლამდე

პერიოდებში. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

6.4.6. უნგრეთი

1978 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად (რომელიც ძალაში იყო 2013 წლის 30 ივნისამდე, როდესაც იგი შეიცვალა 2012 წლის სისხლის სამართლის კოდექსით):

"თავისუფლების აღკვეთა შეიძლება იყოს უვადო ან განსაზღვრული ვადის."

იმავე კანონის 47/ა მუხლის თანახმად:

„(1) სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში სასამართლო განაჩენში განსაზღვრავს პირობით ვადამდე გათავისუფლების ვადას ან გამორიცხავს პირობით გათავისუფლების უფლებას.

(2) თუ პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება არ არის გამორიცხული, მინიმალურ მოსახდელ ვადად განისაზღვრება 20 წელი. თუ უვადო თავისუფლების აღკვეთა არის შეფარდებული დანაშაულისთვის, რომელიც ისჯება ხანდაზმულობის გარეშე, ზემოაღნიშნული ვადა განისაზღვროს არა უადრეს 30 წლისა.“

კონსტიტუციის მე-9 მუხლი (მოქმედი 2012 წლის 1 იანვრიდან) ადგენს შემდეგს:

რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია:

„...გამოსცეს ინდივიდუალური შეწყალების აქტი.

...რესპუბლიკის პრეზიდენტის ხსენებული უფლება და გადაწყვეტილება ექვემდებარება მთავრობის წევრის კონტრასიგნაციას....“.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გამოიტანა და შეაფასა უნგრეთის კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან საქმეში *László Magyar v. Hungary* 2014 (judgment). ევროპული სასამართლოს განმარტების თანახმად, უნგრეთის ეროვნული კანონმდებლობა არ ავალდებულებს ხელისუფლებას ან რესპუბლიკის პრეზიდენტს, შეაფასონ, როდესაც სამუდამო პატიმრობამისჯილი პირი ითხოვს შეწყალებას ან სასჯელის შემცირებას, გამართლებულია თუ არა მისი პატიმრობის გაგრძელება ლეგიტიმური პენოლოგიური საფუძველით. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებას აკისრია ზოგადი მოვალეობა, შეაგროვოს ინფორმაცია პატიმრის შესახებ და დაურთოს იგი შეწყალების მოთხოვნას (ხსენებული ვალდებულება გააჩნიათ სასამართლო და სასჯელაღსრულების ორგანოებს), კანონი არ ითვალისწინებს რაიმე კონკრეტულ მითითებებს, თუ რა სახის კრიტერიუმები ან პირობებია აუცილებლად გასათვალისწინებელი პატიმრის შეწყალება/სასჯელის შემსუბუქებისათვის. არც იუსტიციის მინისტრი და არც რესპუბლიკის

პრეზიდენტი არ არიან ვალდებული, დაასაბუთონ მსგავს მოთხოვნებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები.

ხსენებულიდან გამომდინარე, ევროპული სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ პრეზიდენტის შეწყალების ინსტიტუტი, საშუალებას მისცემს ნებისმიერ პატიმარს იცოდეს, რა უნდა გააკეთოს მან იმისათვის, რათა დადებითი გადაწყვეტილება იქნეს მიღებული მის შეწყალებასთან დაკავშირებით. სასამართლოს აზრით, რეგულაცია არ იძლევა პატიმრის პიროვნებასა და მის საქციელში განხორციელებული ცვლილებებისა და რეაბილიტაციის კუთხით მიღწეული პროგრესის სათანადოდ განხილვის გარანტიებს. ამიტომ ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმის განხილვის მომენტისათვის განმცხადებლის უვადო პატიმრობა შეიძლება ჩათვლილიყო, როგორც შემცირებადი, კონვენციის მე-3 მუხლის მიზნებისათვის. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

6.4.7. იტალია

საქმეში *Marcello Viola v. Italy* (2019) სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა და განაცხადა, რომ მომჩივნის მიმართ გამოყენებული სასჯელი, სამუდამო პატიმრობა, გადაჭარბებულად ზღუდავდა მის კონვენციურ უფლებას, რომლის მიხედვითაც მას უნდა ჰქონოდა უვადო პატიმრობის გადასინჯვის შესაძლებლობა, გათავისუფლების პერსპექტივით. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ მიზეზებს, რომლებმაც კანონმდებელი აიძულა პატიმრებისთვის (როგორც იყო მომჩივანი) დაეკისრებინა ხელისუფლებისთვის იმის დამტკიცების ვალდებულება, რომ მაფიასთან მას აღარ ჰქონდათ კავშირი, რადგან სწორედ ამ კავშირის გამო იგი მიიჩნეოდა საშიშად და სასჯელის გადახედვისთვის შეუფერებლად. მთავრობის განცხადებით, მაფიის წევრობის ბუნება ამართლებდა იმ მოთხოვნის დაწესებას, რომ პატიმარმა უნდა ითანამშრომლოს ხელისუფლების ორგანოებთან მაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რათა დაადასტუროს მისი რეაბილიტაცია. ამასთან დაკავშირებით პატიმარს ჰქონდა არჩევანის საშუალება.

თუმცა, სტრასბურგის სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ არჩევანი თანამშრომლობასა და თანამშრომლობაზე უარის თქმას შორის, შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო ნებაყოფლობითად. ხელისუფლებისთვის დახმარების გაწევის შემთხვევაში, მომჩივანი შიშობდა მისი და მისი ოჯახის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ პატიმრის გადაწყვეტილება თანამშრომლობის შესახებ სინამდვილეში სხვა არაფერი იყო თუ არა ნაბიჯი, რომელიც მისი მხრიდან გადადგმული იქნებოდა სასჯელის გადახედვის მოპოვების მიზნით; და ეს ნაბიჯი არ ასახავდა მაფიასთან კავშირის გაწყვეტის თაობაზე მომჩივნის რეალურ სურვილს. სასამართლო განსაკუთრებით შეაშფოთა იმ ფაქტმა, რომ კანონი, მომჩივნის მსგავს პატიმრებს, არ აძლევდა საშუალებას სხვა ფორმით დაემტკიცებინა მაფიასთან კავშირის გაწყვეტა. მან აღნიშნა, რომ მომჩივანი წარმატებით მიჰყვებოდა საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროგრამას, რომელსაც მას ციხეში სთავაზობდნენ და იგი რომ ჩვეულებრივი უვადო პატიმარი ყოფილიყო, მას მიენიჭებოდა ხუთი წლით სასჯელის შემსუბუქების უფლება. თუმცა, ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობაზე უარის თქმის შემდეგ, გათვალისწინებული არ იქნა ციხეში ყოფნის პერიოდში მისი პროგრესი და შედეგად მას არ მიეცა იმის დამტკიცების შესაძლებლობა, რომ

მისი პატიმრობის გაგრძელება აღარ იყო გამართლებული ლეგიტიმური პენოლოგიური საფუძვლებით.

ხსენებული გადაწყვეტილების შემდგომ, 2022 წლის ოქტომბერში, ციხისა და სასჯელის მართვის კანონის მე-4 მუხლში შევიდა ცვლილება, რომელმაც უფლება მისცა სამუდამო პატიმრობამისჯილ პირებს, რომლებმაც არ ითანამშრომლეს მართლმსაჯულების სისტემასთან, 30 წლიანი პატიმრობის შემდეგ, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება მოეთხოვათ ხელისუფლების ორგანოებისაგან. ეროვნული სასამართლოები უფლებამოსილნი არიან განახორციელონ პატიმრის პიროვნებასთან და ციხეში ქცევასთან დაკავშირებით სიტუაციის ყოვლისმომცველი შეფასება და პატიმრების, პიროვნული პროგრესი. გარდა ამისა, ეროვნულმა სასამართლომ უნდა გამოსცეს დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელშიც მითითებულია განაცხადის დაკმაყოფილების ან უარყოფის კონკრეტული საფუძველი.

7. უვადო მსჯავრდებულები საქართველოს პენიტენციურ სისტემაში

სპეციალურ ანგარიშზე მუშაობის პერიოდში, როგორც უკვე აღინიშნა, სახალხო დამცველის აპარატი კონცენტრირებული იყო იმ უვადო თავისუფლებადკვეთილი პირების საქმეთა შესწავლაზე, რომლებსაც, დანიშნული სასჯელის მინიმუმ 12 წელი უკვე მოხდილი ჰქონდათ (58 მსჯავრდებული), ვინაიდან სწორედ ამ ვადის შემდეგ შეუძლია უვადო თავისუფლებადკვეთილ მსჯავრდებულს ჩაერთოს გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამაში და დაიწყოს გათავისუფლებისთვის/სასჯელის შეცვლის პერსპექტივისთვის აქტიური ზრუნვა.

სახალხო დამცველის აპარატმა, შესწავლის ფარგლებში, გამოითხოვა ინფორმაცია მათ მიერ მიღებული წახალისებების, დისციპლინური სახდელების, გავლილი სარეაბილიტაციო, რეინტეგრაციის, საგანმანათლებლო და სხვა სახის კურსების თაობაზე. სახალხო დამცველის აპარატი, აგრეთვე, გაეცნო უვადო მსჯავრდებულებისათვის განკუთვნილი გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის დასრულების ინდივიდუალურ ანგარიშებს, სადაც მოცემულია ინფორმაცია მათ მიერ სასჯელის მოხდის პერიოდში გამოვლენილ ქცევით ტენდენციებზე, ჩადენილი დანაშაულის მიმართ დამოკიდებულებაზე, დაზარალებულთან/დაზარალებულის უფლებამონაცვლესთან კომუნიკაციის სურვილზე და სხვა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია ზემოხსენებული მსჯავრდებულების სასჯელის მოხდის პერიოდში დამატებითი შესაძლო მსჯავრდების თაობაზე.

ამასთან, სახალხო დამცველის რწმუნებულები, წინასწარ შემუშავებული კითხვარების შესაბამისად, გაესაუბრნენ 51 უვადო მსჯავრდებულს⁹⁵, 7 სხვადასხვა პენიტენციურ დაწესებულებაში და მოისმინეს მათი პოზიცია სასჯელის მოხდის პერიოდში მათ მიმართ მოპყრობაზე, სოციალური, სამედიცინო და სხვა სერვისების ხელმისაწვდომობაზე, უვადო პატიმრობასთან დაკავშირებული შესაძლო სტიგმის არსებობის საკითხზე, მათ რეკომენდაციებზე სპეციალური პროგრამის დახვეწა-გაუმჯობესებასთან დაკავშირებით და სხვა.

მოცემულ საკითხებზე დეტალური ინფორმაცია ქვემოთ დეტალურად იქნება წარმოდგენილი.

7.1. სასჯელის მოხდის პირობებში ჩადენილი დანაშაული

უვადოდ მსჯავრდებული 58 პირის საქმეთა შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ 13 მათგანი⁹⁶ პენიტენციურ დაწესებულებაში ჩადენილი სხვადასხვა ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა და მათ მიმართ გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენები.

ქმედებები, რომლებისთვისაც უვადოდ მსჯავრდებული პირები დამნაშავედ დამატებით იქნენ ცნობილნი, შემდეგია:

- უვადოდ მსჯავრდებულმა ხ. დ.-მ, 2016 წლის 23 თებერვალს, პენიტენციურ დაწესებულებაში ექიმს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა.⁹⁷ იმავე მსჯავრდებულმა 2016 წლის 29 მაისს აგრესია გამოხატა პენიტენციური დაწესებულების ინსპექტორ-კონტროლიორის მიმართ და საკნის სარკმლიდან ხელი დაარტყა სახის არეში.⁹⁸
- 2014 წლის 10 აგვისტოს, უვადოდ მსჯავრდებული მ. ა. პენიტენციური დაწესებულებაში, საცხოვრებელ საკანში ინახავდა აკრძალულ საგანს - კუსტარულად დამზადებულ ე. წ. „შტირს“, რაც აღმოჩენილი იქნა გეგმიური შემოწმების დროს.⁹⁹

⁹⁵ 7-მა უვადოდ თავისუფლებადკვეთილმა მსჯავრდებულმა სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრაზე უარი განაცხადა.

⁹⁶ თ. შ., ხ. დ., მ. ა., ვ. ზ., გ. ზ., გ. ი., ვ. კ., მ. პ., ზ. ს., გ. ს., თ. გ., გ. კ. და ს. ს.

⁹⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის განაჩენით ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილებით (პენიტენციური დაწესებულების საქმიანობისათვის ხელის შეშლა ან/და ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია, სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებით და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ).

⁹⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 30 ივნისის განაჩენით 378-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-5 ნაწილით (პენიტენციური დაწესებულების საქმიანობისათვის ხელის შეშლა ან/და ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია, სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებით, ჩადენილი არაერთგზის და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ).

⁹⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 25 აპრილის განაჩენით ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნის შეძენა, შენახვა, ტარება, მოხმარება ან/და ამ საგნით სარგებლობა).

- 2011 წლის 18 ოქტომბერს, ერთ-ერთ მსჯავრდებულს გრძელვადიან პაემანზე მეუღლემ მიუტანა მობილური ტელეფონი, რასაც იგი ფლობდა პენიტენციურ დაწესებულებაში. 2011 წლის 24 ოქტომბერს მობილური ტელეფონი აღმოჩენილი იქნა საცხოვრებელი საკნის გეგმიური შემოწმებისას. ამ დროის განმავლობაში უვადოდ მსჯავრდებულებმა ვ. ზ.-მ, გ. ა.-მ, გ. ს.-მ და მ. პ.-მ რამდენჯერმე ისარგებლეს მობილური ტელეფონით და კავშირი დაამყარეს ახლო ნათესავებთან.¹⁰⁰
- 2015 წლის 19 აპრილს უვადოდ მსჯავრდებული თ. გ., პენიტენციურ დაწესებულებაში, საცხოვრებელ საკანში, რადიომიმღების დასამუხტ ადაპტერში, ინახავდა ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველ 20 აბს.¹⁰¹
- 2023 წლის 1 მაისს, უვადოდ მსჯავრდებულ გ. ზ.-ს საცხოვრებელ საკანში ჩატარებული შემოწმების შედეგად აღმოჩენილი იქნა კუსტარულად დამზადებული ალკოჰოლური სასმელი.¹⁰²
- 2007 წლის 2 აპრილს უვადოდ მსჯავრდებულ ზ. ს.-ს საცხოვრებელ საკანში ჩატარდა გეგმიური შემოწმება, რა დროსაც აღმოჩენილი იქნა მობილური ტელეფონის აპარატი.¹⁰³
- 2014 წლის 26 იანვარს პენიტენციურ დაწესებულებაში უვადოდ მსჯავრდებულმა ს. ს.-მ განზრახ დააზიანა მის საცხოვრებელ საკანში მოთავსებული ვიდეო სამეთვალყურეო კამერა, რითაც პენიტენციურ სამსახურს მიაყენა 500 ლარის ზიანი.¹⁰⁴
- 2001 წლის 16 ოქტომბერს რამდენიმე მსჯავრდებულმა გადაწყვიტა ერთ-ერთი პატიმრის მკვლელობა. ისინი ფიზიკურად გაუსწორდნენ რეჟიმის ოფიცერს და აიძულეს არ შეესრულებინა საკუთარი მოვალეობა, აგრეთვე, ჯანმრთელობა დაუზიანეს კორპუსის უფროსს. მათ ძალის გამოყენებით გახსნეს საკნის კარი, გამოიყვანეს პატიმარი, დანებით მიაყენეს ჭრილობები სხეულზე, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. აღნიშნულ ქმედებებში უვადოდ მსჯავრდებულები - გ. კ. და ვ. კ. მონაწილეობას იღებდნენ.¹⁰⁵

¹⁰⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 4 მარტის განაჩენით ოთხივე მსჯავრდებული ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378²-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნის შეძენა, შენახვა, ტარება, მოხმარება ან/და ამ საგნით სარგებლობა).

¹⁰¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის განაჩენით ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378²-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნის შეძენა, შენახვა, ტარება, მოხმარება ან/და ამ საგნით სარგებლობა).

¹⁰² თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 24 აგვისტოს განაჩენით ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ის 378² მუხლის 1-ელი ნაწილით (პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნის შეძენა, შენახვა, ტარება, მოხმარება ან/და ამ საგნით სარგებლობა).

¹⁰³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 7 ნოემბერის განაჩენით ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378²-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნის შეძენა, შენახვა, ტარება, მოხმარება ან/და ამ საგნით სარგებლობა).

¹⁰⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 3 თებერვლის განაჩენით ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია).

¹⁰⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 17 დეკემბრის განაჩენით დამნაშავედ იქნენ ცნობილნი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2

- 2013 წლის 31 იანვარს უვადოდ მსჯავრდებული გ. კ. პენიტენციურ დაწესებულებაში ინახავდა დანას. იგი არ დაემორჩილა ინსპექტორ-კონტროლიორის მოთხოვნას, რომ ჯიბიდან ამოეღო დანა და დაემუქრა მას, რის შემდეგაც პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო ნაწილის პალატის ხის კარი მოგლიჯა.¹⁰⁶
- 2020 წლის 1 ოქტომბერს უვადოდ მსჯავრდებული თ. შ. მოთავსების ადგილიდან გაქცევის მიზნით პალატიდან გავიდა. მან გადალახა დერეფანი, ჩამტვრია სათადარიგო კიბეზე გასასვლელი კარი, თუმცა პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებმა კიბეზე შეაჩერეს.¹⁰⁷

7.2. დისციპლინური სახდელები და წახალისებები

საქართველოს კანონმდებლობით, დისციპლინური დარღვევის ჩადენის შემთხვევაში მსჯავრდებულს დისციპლინური სახდელი ეკისრება, რაც შესაბამისი ქმედების პროპორციული უნდა იყოს.¹⁰⁸ მსჯავრდებულის პირად საქმეში მოცემულია მონაცემები მისი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.¹⁰⁹

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 58 უვადოდ მსჯავრდებული პირის პირადი საქმეებიდან მიღებული ინფორმაცია მათ მიმართ გამოყენებული წახალისებებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.¹¹⁰

ნაწილით (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით), 378-ე მუხლის 1-ელი, მე-3 და მე-4 ნაწილებით (სასჯელალსრულების დაწესებულების საქმიანობისთვის ხელის შეშლა ან ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია, ჩადენილი სასჯელალსრულების დაწესებულების ადმინისტრაციაზე თავდასხმით და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ), 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, ჩადენილი იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა 109-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობა) და 109-ე მუხლის „ვ“, „თ“ და „ო“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, განსაკუთრებული სისასტიკით, ჯგუფურად, არაერთგზის).

¹⁰⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 28 ივნისის განაჩენით ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378²-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნის შეძენა, შენახვა, ტარება, მოხმარება ან/და ამ საგნით სარგებლობა, ჩადენილი ჯგუფურად) და 378-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (პენიტენციური დაწესებულების საქმიანობისათვის ხელის შეშლა ან/და ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია).

¹⁰⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 30 მარტის განაჩენით ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 379-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (მოთავსების ადგილიდან მსჯავრდებულის გაქცევის მცდელობა).

¹⁰⁸ პენიტენციური კოდექსი, მუხ. 71, ნაწ. 1.

¹⁰⁹ პენიტენციური კოდექსი, მუხ. 44, ნაწ. 2.

¹¹⁰ სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 25 აპრილის N122533/01 და 2024 წლის 12 ივნისის N169508/01 წერილები.

მიღებული ინფორმაციის თანახმად, 18 უვადოდ მსჯავრდებული პირის მიმართ არასდროს გამოყენებულა დისციპლინური სახდელი,¹¹¹ ხოლო 40 პირს სხვადასხვა ქმედებისთვის დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა.

უვადოდ მსჯავრდებულ 12 პირს სახდელი დაეკისრა მხოლოდ ერთხელ¹¹² და მათგან 7 პირი დისციპლინურად დასჯილია 2009-2012 წლის ჩათვლის პერიოდში, 3 პირი - 2015 წელს, 1 - 2020 წელსა და 1 - 2022 წელს. 20 პირს 2-დან 6-მდე დისციპლინური სახდელი აქვს დაკისრებული,¹¹³ მათგან 5 დასჯილია 2009-2016 წლებში, 7 - 2017-2019 წლებში, ხოლო 2 - 2020-2022 წლებში. 2 უვადოდ მსჯავრდებული დასჯილია 9-ჯერ,¹¹⁴ ამასთან, მათ სახდელი მიღებული აქვთ 2023-2024 წლებშიც. გარდა ამისა, 1 უვადოდ მსჯავრდებული დასჯილია 18-ჯერ, ბოლო სახდელი კი მის მიმართ გამოყენებული იქნა 2023 წელს,¹¹⁵ ორი დასჯილია 20-20-ჯერ და ბოლო სახდელი ერთის მიმართ გამოყენებული იქნა 2019 წელს,¹¹⁶ ხოლო მეორის მიმართ - 2024 წელს.¹¹⁷ გარდა ამისა, ერთ უვადოდ მსჯავრდებულს დისციპლინური სახდელი 27-ჯერ დაეკისრა და ბოლოს მის მიმართ სახდელი გამოიყენეს 2024 წელს,¹¹⁸ ერთი უვადოდ მსჯავრდებული პირი კი დასჯილია 38-ჯერ და ბოლოს სახდელი 2024 წელს დაეკისრა.¹¹⁹

უვადოდ მსჯავრდებული 58 პირის მიმართ, სასჯელის მოხდის განმავლობაში, ჯამურად გამოყენებულია 293 დისციპლინური სახდელი სხვადასხვა გადაცდომისთვის. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დისციპლინური სახდელების დიდი ნაწილის გამოყენების საფუძველი მსჯავრდებულის მიერ საცხოვრებელ საკანში ხმაური ან სხვა საკნებში გადამახილი გახდა. არცთუ იშვიათად, მსჯავრდებულები პენიტენციური სამსახურის თანამშრომლისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების გამო დაისაჯნენ დისციპლინურად. რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა უვადოდ მსჯავრდებულის მიერ სავალდებულო შემოწმებაზე გამოუცხადებლობის ან სასაქონლო სივრცის დროულად დაუტოვებლობის გამო. ერთეულ შემთხვევებში უვადოდ მსჯავრდებულმა პირმა დააზიანა პენიტენციური დაწესებულების ინვენტარი ან სცადა მისი დაზიანება, რაზეც მიიღო დისციპლინური სახდელი.

¹¹¹ ლ. გ., ე. გ., ა. ტ., ჯ. ფ., ნ. ჩ., კ. ა., ი. ა., თ. ბ., გ. თ., გ. ნ., მ. პ., ზ. ს., გ. ს., ზ. ტ., ი. ქ., პ. კ., ზ. ჩ. და ხ. ყ.

¹¹² მ. ჩ., ზ. ჯ., ი. ა., გ. ა., დ. ბ., თ. გ., დ. პ., ი. რ., გ. ი., შ. ლ., თ. გ., გ. ვ.

¹¹³ ბ. ბ., მ. კ., კ. ე., ნ. ც., ზ. ს., ზ. ო., ე. ნ., ვ. კ., ვ. ზ., გ. ზ., ლ. დ., ს. ბ., დ. ბ., მ. ბ., ჯ. გ., ლ. ა., რ. ა., თ. შ., ბ. ს., ნ. ქ., გ. მ.

¹¹⁴ მ. ა., გ. კ.

¹¹⁵ ჯ. ს.

¹¹⁶ ზ. გ.

¹¹⁷ მ. ფ.

¹¹⁸ ხ. დ.

¹¹⁹ ს. ს.

უვადოდ მსჯავრდებული 58 პირიდან სასჯელის მოხდის პერიოდში წახალისდა 43¹²⁰, ხოლო არასდროს წახალისებულა - 15¹²¹. წახალისებულ მსჯავრდებულთაგან 1-იდან 5-ამდე წახალისება აქვს 26 პირს,¹²² 10 მსჯავრდებულს 5-იდან 10-ამდე წახალისება აქვს,¹²³ ხოლო 7 მსჯავრდებული - 10-ზე მეტჯერ წახალისდა.¹²⁴ აღსანიშნავია, რომ ბოლო 5 წელია აღარ წახალისებულა 23 მსჯავრდებული,¹²⁵ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წახალისებები აქვს 20 მსჯავრდებულს,¹²⁶ მათ შორის, 16 პირი წახალისებულია 2023-2024 წლებშიც.¹²⁷

უვადოდ მსჯავრდებული პირების პირადი საქმეებიდან მიღებული ინფორმაციით, 58 უვადოდ მსჯავრდებული პირიდან 16 პირი¹²⁸ სასჯელის მოხდის პირობებში არც დანაშაულის ჩადენისთვის გასამართლებულა და არც დისციპლინური წესით დასჯილა, ამასთან, 15 მათგანი წახალისებულია სხვადასხვა ფორმით.¹²⁹

7.3. გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიშები

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, როგორც უკვე აღინიშნა, ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის პირობით ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობას სასამართლოს მიერ, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი და წარმატებით გაიარა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა.¹³⁰ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის მიერ თავისუფლების აღკვეთის 15 წლის ფაქტობრივად მოხდისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის გავლის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია უვადო თავისუფლების აღკვეთით დანიშნული

¹²⁰ ი. ა., ზ. ს., მ. პ., დ. პ., ზ. ჩ., ზ. ო., თ. შ., ჯ. გ., ნ. ქ., თ. ბ., მ. ბ., ი. ა., მ. ა., შ. ლ., გ. თ., გ. ზ., ვ. ზ., რ. ა., კ. ა., თ. გ., დ. ბ., გ. ა., გ. მ., ჯ. ფ., ბ. ბ., ხ. ყ., მ. ჩ., მ. კ., ი. ქ., პ. კ., ე. გ., კ. ე., გ. ნ., ე. ნ., გ. კ., ზ. ჯ., ლ. დ., ბ. ს., ხ. დ., ლ. გ., ნ. ჩ., გ. ვ., ზ. ტ.

¹²¹ კ. ა., დ. ბ., ს. ბ., თ. გ., გ. ი., ვ. კ., ი. რ., ზ. ს., გ. ს., ნ. ც., მ. ფ., ს. ს., ზ. გ., ა. ტ., ჯ. ს.

¹²² ი. ა., ზ. ს., მ. პ., დ. პ., ზ. ჩ., ზ. ო., თ. შ., ჯ. გ., ნ. ქ., თ. ბ., მ. ბ., ი. ა., მ. ა., შ. ლ., გ. თ., გ. ზ., ვ. ზ., რ. ა., კ. ა., თ. გ., დ. ბ., გ. ა., გ. მ., ჯ. ფ., ბ. ბ., ხ. ყ.

¹²³ მ. ჩ., მ. კ., ი. ქ., პ. კ., ე. გ., კ. ე., გ. ნ., ე. ნ., გ. კ., ზ. ჯ.

¹²⁴ ლ. დ., ბ. ს., ხ. დ., ლ. გ., ნ. ჩ., გ. ვ., ზ. ტ.

¹²⁵ მ. პ., დ. პ., ზ. ო., შ. ლ., გ. თ., გ. ზ., ზ. ს., ზ. ჩ., ბ. ბ., ზ. ჯ., დ. ბ., თ. გ., კ. ე., ხ. ყ., ი. ა., გ. კ., გ. მ., კ. ა., რ. ა., თ. შ., ნ. ქ., ბ. ს., ე. გ.

¹²⁶ მ. ა., გ. ა., თ. კ., ხ. დ., პ. კ., ჯ. გ., ლ. გ., ჯ. ფ., მ. ჩ., ნ. ჩ., ი. ქ., ზ. ტ., ე. ნ., გ. ნ., გ. ზ., გ. ვ., ლ. დ., თ. ბ., ი. ა., დ. ბ.

¹²⁷ თ. კ., ხ. დ., პ. კ., ლ. გ., ჯ. ფ., მ. ჩ., ნ. ჩ., ი. ქ., ზ. ტ., ე. ნ., გ. ნ., გ. ვ., ლ. დ., თ. ბ., ი. ა., დ. ბ.

¹²⁸ ლ. გ., ე. გ., ა. ტ., ჯ. ფ., ნ. ჩ., კ. ა., ი. ა., თ. ბ., გ. თ., გ. ნ., ზ. ს., ზ. ტ., ი. ქ., პ. კ., ზ. ჩ., ხ. ყ.

¹²⁹ ლ. გ., ე. გ., ა. ტ., ჯ. ფ., ნ. ჩ., ი. ა., თ. ბ., გ. თ., გ. ნ., ზ. ს., ზ. ტ., ი. ქ., პ. კ., ზ. ჩ., ხ. ყ.

¹³⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 72¹, ნაწ. 1; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 285¹, ნაწ. 3.

სასჯელი მსჯავრდებულს შეუცვალოს შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით.¹³¹

2021 წლის 9 თებერვალს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცდა „უვალო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა“, რომლის ხანგრძლივობა არის 2 წელი და სავალდებულოა უვალო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისთვის, რომელსაც სურს სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება ან დარჩენილი სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა.¹³²

გადაწყვეტილების მიღებისას, გარდა ზემოაღნიშნული კრიტერიუმებისა (დადგენილი ვადის თავისუფლების აღკვეთის ფაქტობრივად მოხდა და უვალო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის წარმატებით გავლა) სასამართლომ, ასევე, უნდა განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს კიდევ რამდენიმე გარემოების, მათ შორის, უვალო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიშის გათვალისწინებით.¹³³

პროგრამის მიზანია, უვალო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების სასჯელის შემდგომი მოხდისაგან პირობით გათავისუფლების, აგრეთვე, უვალო თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეცვლისთვის, შემთხვევის მართვის ფარგლებში, მსჯავრდებულთა ჩართულობა ისეთ ღონისძიებებში (ინტერვენციებში), რომლებიც ხელს შეუწყობს მათ რეაბილიტაციას და რესოციალიზაცია-რეინტეგრაციისთვის მზადებას.¹³⁴ პროგრამას ახორციელებს სპეციალური პენიტენციური სამსახური, სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან და მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრთან კოორდინაციით.¹³⁵ პროგრამაში ჩართვა შეუძლია უვალო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, რომელმაც ფაქტობრივად მოიხადა 12 წელი.¹³⁶ პროგრამა ხორციელდება სახელმწიფო (ქართულ) ენაზე, თუმცა ის მსჯავრდებულები, რომლებმაც არ იციან სახელმწიფო ენა (ქართული), პროგრამაში დაწყებისთანავე ერთვებიან ქართული ენის შემსწავლელ კურსებში.¹³⁷

¹³¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 73, ნაწ. 7; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 285¹, ნაწ. 1, 2.

¹³² საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის N682 ბრძანებით დამტკიცებული „უვალო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა“.

¹³³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 285¹, ნაწ. 5.

¹³⁴ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის N682 ბრძანებით დამტკიცებული „უვალო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა“, მუხ. 2.

¹³⁵ იქვე, მუხ. 6, პუნქტ. 1.

¹³⁶ იქვე, მუხ. 4.

¹³⁷ იქვე, მუხ. 5.

პროგრამა არის 2 წლიანი და შედგება 8 ეტაპისგან. საჭიროების შემთხვევაში პროგრამა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 წლის ვადით. პროგრამა შესაძლებლობას აძლევს მსჯავრდებულს, თუ ვერ გაივლის რომელიმე ეტაპს, გაიაროს ხელმეორედ შესაბამისი ეტაპი.¹³⁸

პროგრამის პირველი ეტაპი მოიცავს მსჯავრდებულის შეფასებას, ინდივიდუალური პროგრამის შედგენასა და დაზარალებულთან ან მის უფლებამონაცვლესთან დაკავშირებული ინფორმაციის ამსახველი ანგარიშის მომზადებას, რომლის დაძლევის კრიტერიუმია მსჯავრდებულის ხელმოწერით დადასტურებული „მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების ინდივიდუალური პროგრამა“ და დაზარალებულ მხარესთან დაკავშირებული ინფორმაციის ამსახველი ანგარიში. მეორე ეტაპი არის კონსტრუქციული ურთიერთობების აგება, რომლის დაძლევის კრიტერიუმებია ინფორმაცია მედიაციის პროცესის ინიცირებისა და მიმდინარეობის შესახებ, აგრეთვე, ოჯახის და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასება. პროგრამის მესამე ეტაპია ჯანსაღი ცხოვრება და პროფესია, რაც დაიძლევა სპორტულ აქტივობებში მონაწილეობითა და პროფესიული აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტის აღებით. პროგრამის მეოთხე ეტაპია ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა, მეხუთე - სამოქალაქო განათლება (საგანმანათლებლო მოდული), მეექვსე - მაკრო სისტემები (საგანმანათლებლო მოდული), მეშვიდე - ადაპტაციის უნარების გაუმჯობესება (საგანმანათლებლო/უნარების განვითარების მოდული). პროგრამის მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ეტაპების დაძლევის კრიტერიუმებია დასწრება და თემატური ტესტის დაძლევა. პროგრამის მერვე ეტაპია მომავლის კონსტრუქციული დაგეგმვა, რაც დაიძლევა გათავისუფლების შემდგომი გეგმის შემუშავებითა და მსჯავრდებულის თვითშეფასების ფორმის შევსებით.¹³⁹

პროგრამის ყველა ეტაპის წარმატებით გავლის შემდეგ, დგება გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიში, რაც იწახება მსჯავრდებულის პირად საქმეში და, სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის შემთხვევაში, ეგზავნება სასამართლოს.¹⁴⁰ სასამართლოს მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, გუნდის მიერ ხდება მსჯავრდებულის გადაფასება და მის საჭიროებებზე მორგებული განახლებული 6 თვიანი ინდივიდუალური პროგრამის შედგენა.¹⁴¹

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის წარმოდგენილი ინფორმაციით, 2024 წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული იყო სულ 89 უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირი (3 ქალი და 86 მამაკაცი. აქედან, 4 მამაკაცს განსაზღვრული აქვს

¹³⁸ იქვე, მუხ. 7.

¹³⁹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის N682 ბრძანებით დამტკიცებული „უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა“, მუხ. 8.

¹⁴⁰ იქვე, მუხ. 7, პუნქტ. 6.

¹⁴¹ იქვე, მუხ. 7, პუნქტ. 7.

გათავისუფლების თარიღი). იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამაში ჩართვისთვის სავალდებულო 12 წელი მოხდილი აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ 59 პირს.¹⁴² 58 მათგანიდან¹⁴³ 37 მსჯავრდებულს დასრულებული აქვს პროგრამა, 6 მსჯავრდებული პროგრამის სხვადასხვა ეტაპზე იმყოფება, ხოლო 15 მსჯავრდებული არ ყოფილა ჩართული პროგრამაში.¹⁴⁴ ამასთან, სახალხო დამცველის აპარატმა მიიღო 37 მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიში, რაც შედგა მათ მიერ პროგრამის ყველა ეტაპის დამლევის შემდეგ.¹⁴⁵

გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელ ანგარიშებში მოცემულია სოციალური მუშაკის ანგარიში მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროებების შეფასების შესახებ, რაც ითვალისწინებს მსჯავრდებულის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის დაბალი, საშუალო ან მაღალი დონის მითითების შესაძლებლობას. უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის პირობით ვადამდე გათავისუფლების ან მისთვის დანიშნული სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ერთ-ერთ გარემოებად დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკს განიხილავს.¹⁴⁶ **37 უვადოდ მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიშის თანახმად, 33 მათგანს განმეორებითი დანაშაულის რისკის დონედ მითითებული აქვს - საშუალო, ხოლო 4 მსჯავრდებულს - მაღალი.** იქვე, სოციალური მუშაკის მიერ მითითებულია ის ფაქტორები, რამაც მსჯავრდებულის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკი განსაზღვრა. რიგ შემთხვევებში, საშუალო რისკის დასაბუთებისას სოციალური მუშაკი იყენებს შემდეგ ჩანაწერს: „ბენეფიციარის რისკისა და საჭიროების ფორმის შეფასების მიხედვით, სტატისტიკური ფაქტორები განისაზღვრა მაღალი დონით, ხოლო დინამიკური ფაქტორები საშუალო დონით. აღნიშნული მოცემულობით დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობა არის საშუალო“. რიგ შემთხვევებში კი სოციალური მუშაკი ვრცლად ასაბუთებს, თუ რატომ განისაზღვრა კონკრეტული მსჯავრდებულის მიმართ საშუალო რისკი და იშველიებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: ოჯახისა და ძლიერი მხარდამჭერი ქსელის არსებობა, მსჯავრდებულის დასაქმება პენიტენციურ დაწესებულებაში, მსჯავრდებულის მიერ გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამაში გამოვლენილი აქტიურობა, ჯანსაღი კომუნიკაციების უნარები, კეთილგანწყობა სხვა მსჯავრდებულებისა და საზოგადოების წევრების მიმართ, მკაფიოდ განსაზღვრული სამომავლო გეგმები, დანაშაულის აღიარება,

¹⁴² სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 28 ნოემბრის N356507/01 წერილი.

¹⁴³ ერთმა მსჯავრდებულმა, რომელსაც ფაქტობრივად მოხდილი აქვს 12 წელი, უარი განაცხადა მის შესახებ არსებული ინფორმაციის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის მიწოდებაზე.

¹⁴⁴ სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 25 აპრილის N122533/01 წერილი.

¹⁴⁵ სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 12 ივნისის N169508/01 წერილი.

¹⁴⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 285¹, ნაწ. 5.

სინანულის განცდა, ემპათია დაზარალებულის მიმართ, ცვლილებებისადმი მზაობა, თავაზიანობა, მის ქცევებზე პასუხისმგებლობის აღების უნარი და სხვა.

გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიშების თანახმად, 4 მსჯავრდებულის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკი მაღალია. სოციალური მუშაკის დასაბუთება ძირითადად უკავშირდება მსჯავრდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრამდე არსებულ გამოწვევებსა და გამოცდილებას, რის შესახებაც სოციალურ მუშაკს ინფორმაციას აწვდის თავად მსჯავრდებული. განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაღალი დონე დასაბუთებულია მსჯავრდებულის აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებით, ალკოჰოლისა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავადმოხმარებით, ანტისოციალური ურთიერთობებით, კრიმინალური ქცევის ჯგუფების მხრიდან მასზე ნეგატიური გავლენის ქონით, მის მიერ ცხოვრების დიდი ნაწილის პენიტენციურ დაწესებულებებში გატარებით, მისი მხრიდან კრიმინალური მენტალიტეტის მიმდებლობით და პატივისცემით, დასაქმების პერსპექტივის არქონით. ამასთან, მითითებულია, რომ ხსენებულ მსჯავრდებულებს აქვთ ემპათია დაზარალებულის მიმართ, დღეის მდგომარეობით ახერხებენ ემოციებისა და ქცევის კონტროლს, არ აქვთ სირთულეები კომუნიკაციასთან დაკავშირებით, აქვთ სამომავლო გეგმები, რაც არ არის დაკავშირებული კრიმინალურ ქმედებებთან.

გასათვლისწინებელია, რომ არც ერთი მსჯავრდებულის ანგარიშში არ არის მითითებული განმეორებითი დანაშაულის ჩადენის დაბალი რისკი, მიუხედავად იმისა, რომ უვადო თავისუფლებადკვეთილი მსჯავრდებულების ისტორია, პირადი საქმეების, წახალისებების, დისციპლინური სახდელების, გავლილი სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო კურსების, ახალი მსჯავრდების და სხვა ნიშნებით, ხშირ შემთხვევაში, რადიკალურადაც განსხვავდება.

მაგალითად, ერთ-ერთი მსჯავრდებული¹⁴⁷ სასჯელს 2002 წლიდან იხდის. გარდა ამისა, 2008 წლის 8 ნოემბერს მის მიმართ გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი პენიტენციურ დაწესებულებაში აკრძალული საგნის (ტელეფონის აპარატი) შენახვის გამო. ამასთან, პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პირობებში დისციპლინური სახდელი მის მიმართ გამოყენებულია 3-ჯერ, კერძოდ: საკანში ხმაურის (2011 წელს), საკნიდან გადამახილისა (2011 წელს) და საკანში ყვირილის (2014 წელს) გამო. ამადროულად, არასდროს წახალისებულა პენიტენციურ დაწესებულებაში. მას დასრულებული აქვს გათავისუფლებისათვის მომზადების 2 წლიანი პროგრამა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის დონედ განსაზღვრული აქვს - საშუალო.

მეორე მსჯავრდებული¹⁴⁸ სასჯელს იხდის 2007 წლიდან. პენიტენციურ დაწესებულებაში დამატებით დანაშაული არ ჩაუდენია. დისციპლინური სახდელი მის მიმართ გამოყენებული

¹⁴⁷ ფ. ს.

¹⁴⁸ გ. ვ.

იქნა მხოლოდ ერთხელ, 2012 წელს, სასეირნო ეზოში სხვა პატიმართან გადაძახილის გამო. ამასთან, პენიტენციურ დაწესებულებაში 19-ჯერ წახალისდა, მათ შორის 2023-2024 წლებშიც. დასაქმებულია პენიტენციური დაწესებულების ჟოლოს ბაღში. პენიტენციურ სისტემაში 24 სხვადასხვა ტრენინგსა თუ სპორტულ და სხვა აქტივობაში აქვს მიღებული მონაწილეობა. გარდა ამისა, დასრულებული აქვს გათავისუფლებისათვის მომზადების 2 წლიანი პროგრამა და განმეორებითი დანაშაულის რისკის დონედ განსაზღვრული აქვს - საშუალო.

აღნიშნულ ფონზე, თითქმის ყველა მსჯავრდებულის მიმართ საშუალო რისკის შეფარდება ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ **ხსენებული მახასიათებლის განსაზღვრა, შესაძლოა, ხდებოდეს შაბლონურად და ბლანკეტურად, ინდივიდუალური მახასიათებლების ჯეროვანი შეფასებების გარეშე. ცხადია, აღნიშნული საკითხი დელიკატურად შესაფასებელი და ყურადღებაგასამახვილებელია, თუმცა პატიმრების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობის მიმართ, მათი განსხვავებული მონაცემების პირობებში, ერთი და იმავე რისკის სახის გამოყენება ტოვებს განცდას, რომ შეფასების პროცესში არ არის გამოყენებული სრულად ინდივიდუალური მიდგომა.**

2023 წელს სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა და შეისწავლა პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოსა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებები.¹⁴⁹ სასამართლო შუამდგომლობის განხილვის დროს მხედველობაში იღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვადასხვა გარემოებებს, მათ შორის, დაზარალებულის პოზიციას მსჯავრდებულის მიმართ შესაბამისი საშეღავათო ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.¹⁵⁰

გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელ ანგარიშში მოცემულია დაზარალებულ მხარესთან დაკავშირებული ინფორმაციის ამსახველი ანგარიში, რასაც ამზადებს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელი (დაზარალებულთან კომუნიკაციის სპეციალისტი) დაზარალებულთან/დაზარალებულის უფლებამონაცვლესთან კომუნიკაციის შემდეგ. ანგარიშში ასახულია დაზარალებულის მიერ მიწოდებული ინფორმაცია დანაშაულისა და მიყენებული ზიანის შესახებ, მისი დამოკიდებულება განაჩენით განსაზღვრულ სასჯელთან და მსჯავრდებულის პიროვნებასთან, მისი პოზიცია მსჯავრდებულისთვის დანიშნული სასჯელის შეცვლასთან დაკავშირებით.

¹⁴⁹ ვინაიდან პროგრამა 2 წლიანია და დამტკიცებულ იქნა 2021 წლის 9 თებერვალს, მხოლოდ 2023 წელს დაასრულებდა პროგრამას მასში ჩართული მსჯავრდებული. შესაბამისად, საერთო სასამართლოები 2021 წლის შემდეგ, მხოლოდ 2023 წლიდან იყვნენ უფლებამოსილი, განეხილათ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების მიმართ პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შესახებ შუამდგომლობები.

¹⁵⁰ სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, < <https://ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf> > გვ. 257-258.

წარმოდგენილი გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელ ანგარიშების თანახმად, დაზარალებულის 7 უფლებამონაცვლესთან შედგა მხოლოდ სატელეფონო კომუნიკაცია და მათ დაზარალებულთან კომუნიკაციის სპეციალისტთან პირისპირ შეხვედრაზე უარი განაცხადეს მას შემდეგ, რაც შეიტყვეს, რომ საუბარი შეეხებოდა მსჯავრდებულის შესაძლო გათავისუფლების საკითხს. რამდენიმე მათგანმა კი სატელეფონო კომუნიკაციისას დააფიქსირა თავისი მკაცრად უარყოფითი დამოკიდებულება მსჯავრდებულისთვის სასჯელის შემსუბუქებასთან დაკავშირებით, ხოლო დამატებით კითხვებზე პასუხისგან კი თავი შეიკავა. დაზარალებულის 17 უფლებამონაცვლეს სპეციალისტი პირისპირ შეხვდა. მათ ისაუბრეს წარსულის ტრავმაზე, რაც მათ ცხოვრებაზე განსაკუთრებით უარყოფითად აისახა. 16 მათგანი აცხადებს, რომ კმაყოფილები დარჩნენ, როდესაც კონკრეტული მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული იქნა უვადო თავისუფლების აღკვეთა და არასდროს არ უნდა შეუმსუბუქდეს მას დანიშნული სასჯელი. დაზარალებულის 1-მა უფლებამონაცვლემ კი განაცხადა, რომ თუ სასამართლო საჭიროდ ჩათვლის მსჯავრდებულისთვის სასჯელის შეცვლას, იგი არ იქნება წინააღმდეგი. დაზარალებულების 12 უფლებამონაცვლის საკონტაქტო მონაცემების მოძიება და მათთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. დაზარალებულის ერთმა უფლებამონაცვლემ ისურვა მსჯავრდებულთან შეხვედრა, ჩაერთო მედიაციის პროცესში და ერთ-ერთი ონლაინ პლატფორმის მეშვეობით გაესაუბრა მსჯავრდებულს. დაზარალებულის უფლებამონაცვლემ მედიაციის პროცესის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ მსჯავრდებული მასთან საუბრისას გულწრფელი არ იყო, რის გამოც იგი არ იმსახურებს დანიშნული სასჯელის შეცვლას. აღსანიშნავია, რომ მედიაციაში ჩართული პირი არ ყოფილა იმ დანაშაულზე დაზარალებულის უფლებამონაცვლე, რაზეც კონკრეტული მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებულია უვადო თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მეორე დანაშაულზე დაზარალებულის უფლებამონაცვლის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება ანგარიშში.

სახალხო დამცველის რწმუნებულთან გასაუბრებისას არაერთმა უვადოდ მსჯავრდებულმა აღნიშნა, რომ სასამართლო დაზარალებულის უარყოფით პოზიციას ხშირად იყენებს მათთვის დანიშნული სასჯელის შეცვლაზე უარის დასასაბუთებლად. მათი თქმით, დაზარალებულის უფლებამონაცვლის პოზიცია არ არის გაუგებარი და მიუღებელი, ვინაიდან დანაშაულის შედეგად მათ ოჯახის წევრი დაკარგეს. თუმცა, დაზარალებულის უფლებამონაცვლის პოზიცია, დიდი ალბათობით, არასდროს შეიცვლება და თუ ეს ფაქტორი ყოველთვის გააბათილებს მათ მხარეს არსებულ დადებით ფაქტორებს, მათ გათავისუფლების შესაძლებლობა მოესპობათ.

აღსანიშნავია, რომ გათავისუფლებისათვის მომზადების 2 წლიან პროგრამაში მონაწილეობის გარდა, 22 უვადოდ მსჯავრდებულს, სასჯელის მოხდის პირობებში, მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სპორტულ და პროფესიულ აქტივობაში, ამასთან, გავლილი აქვს სხვადასხვა შინაარსის ტრენინგ-კურსი.

სახალხო დამცველის რწმუნებულთან გასაუბრებისას, გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამას მსჯავრდებულები დადებითად აფასებენ, აღნიშნავენ, რომ პროგრამის ფარგლებში მიიღეს ცოდნა, რამაც ბევრ საკითხზე წარმოადგენა და შეხედულება შეუცვალათ. მხოლოდ ერთი მსჯავრდებული მიიჩნევს პროგრამას გამოუსადეგარად, თუმცა გაიარა, მისი თქმით, მხოლოდ იმის გამო, რომ სასამართლოსთვის პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის მისამართად აუცილებელ პირობას წარმოადგენს. მსჯავრდებულთა გადმოცემით, პროგრამის ფარგლებში იყო ძირითადად ჯგუფური, თუმცა რამდენიმე ინდივიდუალური კურსიც.

უვადოდ მსჯავრდებულთა ნაწილს არ ჰქონია კონკრეტული ხედვები გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შეცვლის ან მასში სხვა კომპონენტებისა თუ კურსების დამატებასთან დაკავშირებით. მსჯავრდებულთა ნაწილი კი მიიჩნევს, რომ პროგრამა მეტად უნდა იყოს მორგებული მათ ინდივიდუალურ საჭიროებებსა და მიზნებზე. რამდენიმე მსჯავრდებული მიუთითებდა პროგრამის ფარგლებში ხელობის ან რაიმე პროფესიის დაუფლების სურვილზე, რაც გათავისუფლების შემთხვევაში ხელს შეუწყობს დასაქმებაში. ორი მსჯავრდებული პროგრამის ფარგლებში მათი პენიტენციური დაწესებულების გარეთ გაყვანისა და სხვადასხვა საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობას აუცილებლად მიიჩნევს.

7.4. მსჯავრდებულებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა, წინასწარ შემუშავებული კითხვარის გამოყენებით, 2024 წლის ივლისის, აგვისტოსა და ოქტომბრის თვეებში, გამოჰკითხეს 51 უვადოდ მსჯავრდებული პირი, ხოლო შვიდმა მსჯავრდებულმა გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

სახალხო დამცველის აპარატმა მათგან მიიღო ინფორმაცია, სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში უვადოდ მსჯავრდებული პირებისთვის სარეაბილიტაციო პროგრამების, კურსების, მენტალური ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობასთან და პენიტენციურ დაწესებულებაში მოპყრობის პირობებთან დაკავშირებით. აგრეთვე, გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის მიმართ მათი დამოკიდებულების შესახებ.

უვადოდ მსჯავრდებულების დიდი ნაწილი პენიტენციურ დაწესებულებებში საგანმანათლებლო ან სხვა სახის სარეაბილიტაციო პროგრამების¹⁵¹ როგორც შინაარსობრივი მხარით, ისე მათი ჩატარების ინტენსივობითა და ხელმისაწვდომობით კმაყოფილია. რამდენიმე მსჯავრდებული კი თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკული გამოცდილების მიღების საჭიროებაზე მიუთითებს. მათი შეფასებით, სარეაბილიტაციო პროგრამები უშუალოდ უვადოდ მსჯავრდებულებზე მორგებულია, თუმცა, თუ მათი სასჯელისაგან გათავისუფლება იქნება ძალიან შორეული პერსპექტივა, მიღებულმა ცოდნამ, შესაძლოა,

¹⁵¹ იგულისხმება პროგრამები, რაც არ არის დაკავშირებული გათავისუფლების მომზადების 2 წლიან პროგრამასთან.

დაკარგოს აქტუალობა სამყაროს განვითარებასთან ერთად და 10 ან 20 წლის შემდეგ, სრულად გამოუსადეგარი აღმოჩნდეს.

რაც შეეხება გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამასა და მსჯავრდებულების დამოკიდებულებას, ძირითადად, პროგრამის მიმართ პატიმრები დადებითად არიან განწყობილი. უფრო ვრცლად მოცემულ საკითხზე შესაბამის ქვეთავში იქნება საუბარი.

გამოკითხულ უვადოდ მსჯავრდებულთა უმრავლესობა პენიტენციურ დაწესებულებაში დასაქმებული არ არის. მხოლოდ 3 მათგანი მუშაობს კენკრის მოყვანაზე, რაც მათი შემოსავლის წყაროა. ორმა მსჯავრდებულმა კი განმარტა, რომ დასაქმების სურვილი აქვს, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დაწესებულების ადმინისტრაცია დასაქმებაზე უარს ეუბნება.

უვადოდ მსჯავრდებულთა მცირე ნაწილი პენიტენციური დაწესებულების საცხოვრებელ საკანში განთავსებულია სხვა პატიმართან ერთად, დიდი ნაწილი კი საკანში მარტო იმყოფება. პრობლემებს სოციალიზაციასთან დაკავშირებით ისინი არ უჩივიან. აღნიშნავენ, რომ ერთმანეთთან კომუნიკაცია აქვთ. ხოლო, მარტო განთავსებული მსჯავრდებულები მიუთითებენ, რომ სასჯელის მოხდის სხვადასხვა ეტაპზე ყოფილან საკანში სხვა პატიმართან ერთად, თუმცა ამჟამად მათი სურვილი მარტო ცხოვრებაა და არ ითხოვენ სხვასთან განთავსებას. მხოლოდ ერთმა მსჯავრდებულმა დაასახელა, რომ აქვს სურვილი სხვა მსჯავრდებულთან ერთად განთავსების, თუმცა პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია წინააღმდეგია და უსაფრთხოების მოტივზე მიუთითებს.

უვადოდ მსჯავრდებული პირები მათი სტატუსის გამო სტიგმას პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების ან/და სხვა მსჯავრდებულების მხრიდან არ გრძნობენ, აგრეთვე, არ გამხდარან ძალადობის მსხვერპლი მხოლოდ მათი სტატუსის გამო. ორმა მსჯავრდებულმა აღნიშნა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულებს შორის აღმოცენებული კონფლიქტის გამო, წარსულში, სხვა მსჯავრდებულმა ფიზიკური ზიანი მიაყენა, რაზეც გამოძიება დაიწყო, თუმცა აღნიშნული ფაქტი მის უვადოდ მსჯავრდებულის სტატუსს არ უკავშირდებოდა.

გამოკითხვების შედეგად გამოიკვეთა, რომ უვადოდ მსჯავრდებულთა განთავსების პენიტენციურ დაწესებულებებში არის სივრცეები, რაც ხელს უწყობს მათ მენტალური და ფიზიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებაში. მსჯავრდებულები მიუთითებენ ბიბლიოთეკისა და სპორტული დარბაზის არსებობაზე, რასაც მათი ნაწილი აქტიურად იყენებს. აგრეთვე, ყველა დაწესებულებაში, მოთხოვნის შემთხვევაში, ხელმისაწვდომია ფსიქოლოგის მომსახურება, რასაც მსჯავრდებულები დადებითად აფასებენ. რამდენიმე მსჯავრდებული პენიტენციურ დაწესებულებებში სახელოსნოებისა და სხვა იმდაგვარი სივრცეების შექმნის თვლის საჭიროდ, სადაც მსჯავრდებული შექმნის პროდუქტს მისი ნიჭიდან და მისწრაფებიდან გამომდინარე.

გამოკითხულ უვადოდ მსჯავრდებულ პირებს აქვთ რეგულარული კონტაქტი ოჯახის წევრებთან. მათი უმრავლესობა იყენებს როგორც სატელეფონო კომუნიკაციას, ისე მოკლევადიან და გრძელვადიან პაემნებს.

გამოკითხული მსჯავრდებულებიდან მხოლოდ ერთი მიიჩნევს, რომ არ არის მზად გათავისუფლებისათვის. სხვებს აქვთ სამომავლო გეგმები და მზადყოფნას გამოთქვამენ საზოგადოებაში დასაბრუნებლად. აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულთა დიდ ნაწილს აქვს იმედი გათავისუფლებისა. 5 მსჯავრდებულს გათავისუფლების იმედი არ აქვს, ხოლო 3 მსჯავრდებული ნაკლებად შესაძლებლად მიიჩნევს მის გათავისუფლებას. ისინი განმარტავენ, რომ უიმედობა დაკავშირებულია პირობით ვადამდე გათავისუფლების ან დანიშნული სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ შუამდგომლობების სასამართლოს მიერ დაუკმაყოფილებლობასთან, რადგან ამ დრომდე არცერთი მსჯავრდებული არ გათავისუფლებულა ამ მექანიზმით.

უვადოდ მსჯავრდებულების დიდი ნაწილი სახელმწიფოს მხრიდან მათ მიმართ უსამართლო მოპყრობად მიიჩნევს, 2012 წლის 28 დეკემბრის საყოველთაო „ამნისტიის შესახებ“ კანონის გაუვრცელებლობას, ვინაიდან კანონმა ყველა მსჯავრდებულს შეუმსუბუქა სასჯელი, გარდა უვადოდ თავისუფლებაღკვეთილი პირებისა. ისინი აღნიშნავენ, რომ წარდგნენ სასამართლოს წინაშე, თუმცა სასამართლომ ფორმალურად იმსჯელა მათი სასჯელის 1/4 -ით შემცირებაზე და საბოლოოდ, ისევ უვადო თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრათ.

8. უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენება 18-20 წლის პირთა მიმართ

სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეთა შესწავლისას ყურადღება გამახვილდა იმ მსჯავრდებულების საქმეებზეც, რომლებიც **დანაშაულის ჩადენის მომენტში 18-20 წლის იყვნენ**. როგორც დასაწყისში აღინიშნა, შესწავლილი 58 საქმიდან ასეთი შემთხვევა 9 პირის საქმეში გამოიკვეთა.

როგორც ცნობილია, უვადო თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ სრულწლოვან პირს შეიძლება მიესაჯოს. ამასთან, 18 წლამდე პირს არამხოლოდ არ შეეფარდება უვადო თავისუფლების აღკვეთა, არამედ ვადიანი თავისუფლების აღკვეთაც, ასაკის შესაბამისად, უმცირდება 1/3-ით ან 1/4-ით.¹⁵² ამასთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, 14-15 წლის არასრულწლოვანისათვის შეფარდებული თავისუფლების აღკვეთის საბოლოო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს, ხოლო 16-17 წლის არასრულწლოვანისათვის - 12 წელს.¹⁵³

¹⁵² არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხ. 73.

¹⁵³ იქვე.

ამგვარად, მუხლისა და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად, არასრულწლოვანს მიესჯება, მაქსიმუმ 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული შეღავათი და ვალდებულებები გამომდინარეობს ჰუმანური სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისა და პოლიტიკის, არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპიდან, აგრეთვე, არასრულწლოვანის ასაკისა და განვითარების შესაბამისად, სოციალური და ინტელექტუალური მომწიფების მხედველობაში მიღებით.

სწორედ ამ ღირებულებებზე დაყრდნობით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი გარკვეული შეღავათების შესაძლო გამოყენებას 18-20 წლის პირების მიმართაც ითვალისწინებს. კერძოდ, კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ეს კოდექსი გამოიყენება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირის/მოწმის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობისას. ამ კოდექსის 38-ე–48-ე მუხლებით (გარდა 42-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლისა) დადგენილი ნორმები ვრცელდება აგრეთვე 18 წლიდან 21 წლამდე პირზე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე დანაშაული ან მძიმე დანაშაული. ამგვარად, 18-20 წლის პირის მიმართ, შესაძლოა, სისხლისსამართლებრივი დევნის ნაცვლად გამოყენებულ იქნას განრიდება ან განრიდება და მედიაცია.

ამავე კოდექსის მიხედვით, 18 წელს მიღწეული მსჯავრდებული სასჯელის მოსახდელად არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში შეიძლება დატოვებულ იქნეს არაუგვიანეს 21 წლის მიღწევისა.¹⁵⁴ ამავე კანონის მიხედვით, 18 წლიდან 21 წლამდე ბრალდებული ან მსჯავრდებული სარგებლობს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით.¹⁵⁵

გასათვალისწინებელია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი საქართველოს პარლამენტმა 2015 წელს მიიღო, სადაც ასახულ იქნა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის მიმართ გამოსაყენებელი შეღავათები და მოერგო ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის პრინციპს. ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ იმ დროს, როდესაც გასამართლდნენ ანგარიშში ხსენებული 18-20 წლის პირები, რომლებიც დღეს უვადო თავისუფლების აღკვეთას იხდიან, ამგვარი ჰუმანური სისხლის სამართლის პოლიტიკა და მართლმსაჯულება, არასრულწლოვანების მიმართ, საქართველოს სამართლის რეალობაში ამ მასშტაბით ჯერ კიდევ არ იყო ინტეგრირებული. შესაბამისად, არც 18-20 წლის პირების მიმართ ხსენებული ჰუმანური მიდგომების გამოყენება დადგებოდა დღის წესრიგში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დღევანდელ ვითარებაში იქმნება რეალობა, რომ, პირობითად, 17 წლის მოზარდს (რომელსაც სულ რაღაც რამდენიმე დღეც კი შეიძლება

¹⁵⁴ მუხ. 90, ნაწ. 4.

¹⁵⁵ მუხ. 15, ნაწ. 1¹.

აშორებდეს სრულწლოვანებამდე), რომელმაც ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული დამამძიმებელ გარემოებებში, არ მიესჯება 12 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა. ხოლო 18 წლის პირს ზუსტად იმავე დანაშაულისთვის, შეიძლება, მიესაჯოს უვადო თავისუფლების აღკვეთა.

სახალხო დამცველის აპარატს მიაჩნია, რომ ამგვარი საკანონმდებლო მოწესრიგებით უგულვებელყოფილია ის ფაქტი, რომ ბიოლოგიური, ინტელექტუალური და სოციალური განვითარების თვალსაზრისით, 18-20 წლის პირები კვლავ შედარებით მოწყვლად კატეგორიას წარმოადგენენ და შესაძლოა, მიზანშეწონილი იყოს, რომ ხსენებული „გარდამავალი“ ასაკის თავისებურება აისახოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც, რაც, მაგალითად, სასჯელის შეფარდების პროცესში იქნებოდა გათვალისწინებული. მაგალითისათვის, შესაძლოა სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდეს სრულწლოვანი პირისათვის სასჯელის სავარაუდო შემცირებას ისე, როგორც არასრულწლოვნების შემთხვევაშია, თუმცა შესაძლოა იყოს დათქმა, რომ 18-20 წლის პირებისათვის არ გამოიყენება უვადო თავისუფლების აღკვეთა.

9. უვადო მსჯავრდებულთა ბრალდების სისხლის სამართლის საქმეები

როგორც უკვე აღინიშნა, წინამდებარე ანგარიშის ფარგლებში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების ბრალდების სისხლის სამართლის საქმეები, რომლებსაც ფაქტობრივად მოხდილი აქვთ 12 ან მეტი წელი პენიტენციურ დაწესებულებაში.

საქმეების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ქმედებები, ძირითადად, სწორად არის დაკვალიფიცირებული, გამოძიების მიერ მოპოვებულია ბრალდებულის/მსჯავრდებულის ინკრიმინირებულ დანაშაულში მამხილებელი მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება მის მიერ დანაშაულის ჩადენა, გამოძიების მიმდინარეობის პერიოდისთვის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების დაცვითა და არსებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. ასევე, განაჩენები, მათ შორის სასჯელის სახის ნაწილში, ძირითადად, დასაბუთებულია.

მიუხედავად ამისა, შესწავლილი საქმეების ნაწილთან მიმართებით, განვლილი დროის, საკანონმდებლო ნორმების ცვლილებებისა და ტექნიკური შესაძლებლობების განვითარებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა გარკვეული საკითხები, რომელთა გათვალისწინებითაც, შესაძლებელია გამოძიებისა და სასამართლოს მიერ გათვალისწინებული ყოფილიყო მსჯავრდებულისთვის უფრო სასარგებლო გარემოებები, სამ შემთხვევაში კი გამოვლინდა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის

საფუძვლები, რომლის განხილვის შედეგად, ერთი მსჯავრდებული უკვე გათავისუფლდა პენიტენციური დაწესებულებიდან, ხოლო ორი მსჯავრდებულის საქმე განხილვის ეტაპზეა.

9.1. ახლად გამოვლენილი გარემოებები

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში 2006-2019 წლებში განხორციელდა არაერთი ცვლილება და დამატება. მსჯავრდებულებს, რომლებსაც განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში¹⁵⁶ ჩადენილი ჰქონდათ 2006 ან/და 2007 წლამდე და სასჯელის სახით განსაზღვრული ჰქონდათ უვადო თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შემდეგ, გარკვეულ შემთხვევებში, სასჯელის სახედ უნდა განსაზღვროდათ მხოლოდ ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და, შესაბამისად, მათ მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები, რომლითაც მისჯილი ჰქონდათ უვადო თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის ნაწილში შესაბამისობაში უნდა მოსულიყო სისხლის სამართლის კანონმდებლობაში განხორციელებულ, მსჯავრდებულის სასარგებლო, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ცვლილებებთან.

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ 2006 წლის 28 აპრილის საქართველოს N2937 კანონის პირველი მუხლის მე-14 ნაწილით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლი დაიყო ნაწილებად და პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მაქსიმალური სასჯელის სახედ განისაზღვრა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის სასჯელის სახედ და ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრა.¹⁵⁷

2006 წლის 28 აპრილის ზემოაღნიშნული კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, განზრახ მკვლელობა ისეთ დამამძიმებელ გარემოებებში, როგორიცაა მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით; ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ან/და სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, კვალიფიცირდებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისი ქვეპუნქტით და სასჯელის მაქსიმალურ ვადად ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას თერთმეტიდან თოთხმეტ წლამდე.

ამავე ცვლილებების შედეგად, განზრახ მკვლელობა ისეთ დამამძიმებელ გარემოებებში, როგორიცაა: წინასწარი შეცნობით ორსული ქალის; არასრულწლოვანის ან უმწეო

¹⁵⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 109.

¹⁵⁷ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გარდა.

მდგომარეობაში მყოფის; ხულიგნური ქვენაგრძნობით, რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობით ან/და ჯგუფურად, კვალიფიცირდებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილით და ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით, ვადით ცამეტიდან ჩვიდმეტ წლამდე.

ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილი, განხორციელებული ცვლილებების შედეგად ითვალისწინებდა განზრახ მკვლელობას: ორი ან მეტი პირის; განსაკუთრებული სისასტიკით; ანგარებით ან შეკვეთით; მსხვერპლის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ან/და სხვაგვარად გამოყენების მიზნით ან/და არაერთგზის და ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ვადით თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

ასევე, 2007 წლის 4 ივლისის „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს N5196 კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლში განხორციელდა ცვლილება და ქმედების არაერთგზის დანაშაულად კვალიფიკაციისთვის სავალდებულო გახდა ქმედების ჩადენა ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირის მიერ, ხოლო სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის - ამ კოდექსის შესაბამის მუხლში მითითებული ქმედებისთვის ნასამართლევი პირის მიერ.¹⁵⁸ 2007 წლის 4 ივლისის კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლში ცვლილების განხორციელებამდე, არაერთგზის დანაშაულად ითვლებოდა პირის მიერ ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენა, ან/და სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, თუ ამის შესახებ მითითებული იყო შესაბამის მუხლში. ამასთან, კანონმდებელი დანაშაულის არაერთგზის ჩადენილად დანაშაულის დასაკვალიფიცირებლად, სავალდებულოდ არ მიიჩნევდა ამ მუხლით ან მუხლის ნაწილით ნასამართლობას.¹⁵⁹ თუმცა, 2007 წლის 4 ივლისის N5196 საქართველოს კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული მითითებული ცვლილება არ ვრცელდებოდა 2007 წლის 4 ივლისის მითითებული კანონის ამოქმედებამდე ჩადენილ ქმედებებზე.¹⁶⁰

2019 წლის 20 სექტემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N2/4/1365 გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2007

¹⁵⁸ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ 2007 წლის 4 ივლისის N5196 საქართველოს კანონი, მუხ. 1, ნაწ. 1, ქვეპუნ. „ა“.

¹⁵⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 15, ნაწ. 1. („საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ 2007 წლის 4 ივლისის N5196 საქართველოს კანონის ამოქმედებამდე მოქმედი რედაქცია).

¹⁶⁰ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ 2007 წლის 4 ივლისის N5196 საქართველოს კანონი, მუხ. 2. (ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 20 სექტემბრის N2/4/1365 გადაწყვეტილებით).

წლის 4 ივლისის N5196-რს კანონის მე-2 მუხლი (რომლითაც 2007 წლის 4 ივლისის N5196 კანონის ამოქმედებამდე ჩადენილ ქმედებებზე არ ვრცელდებოდა აღნიშნული კანონით დადგენილი არაერთგზისი დანაშაულის დეფინიცია) და ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული ამ გადაწყვეტილების (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 20 სექტემბერის N2/4/1365 გადაწყვეტილება) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან (2019 წლის 25 სექტემბერი).

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც ამსუბუქებს სასჯელს, ანიჭებს უკუძალას და ითვალისწინებს, ასეთი ქმედებისთვის მსჯავრდებული პირისთვის, რომელიც სასჯელს იხდის, სასჯელის შემცირებას ამ სისხლის სამართლის კანონის ფარგლებში.¹⁶¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, კი ახალი კანონის მიერ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემსუბუქება წარმოადგენს ახლად გამოვლენილი გარემოების საფუძველზე განაჩენის გადასინჯვის ერთ-ერთ საფუძველს.¹⁶² ახლად გამოვლენილი გარემოების გამო განაჩენის გადასინჯვის კიდევ ერთი საფუძველია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.¹⁶³

9.1.1. ზ. ს.-ს, მ. ფ.-სა და მ. ა.-ს საქმეები

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი ერთ-ერთი საქმის თანახმად,¹⁶⁴ პირს უვადო თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა 2005 წლის 5 მაისის განაჩენით¹⁶⁵ ხულიგნური ქვენაგრძნობით, არაერთგზის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ჩადენისთვის.¹⁶⁶

¹⁶¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, „1.სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. [...]“.

2.თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისთვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში.

3.თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი.“

¹⁶² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისთვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო.“

¹⁶³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი“.

¹⁶⁴ სისხლის სამართლის N1701056 საქმე.

¹⁶⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 5 მაისის განაჩენი (საქმე Nდს-143).

¹⁶⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 109, ქვეპუნქტ. „კ“ და „ო“ (2006 წლის 28 აპრილის ცვლილებების ძალაში შესვლამდე მოქმედი რედაქცია).

განაჩენისა და საქმის მასალებს თანახმად, ზ. ს. დამნაშავედ იქნა ცნობილი 2001 წლის 29 ივლისს, დაახლოებით 03:00 საათზე, მ. ბ.-ს განზრახ მკვლელობისთვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული), და, ასევე, ამავე განაჩენით, ჩადენილი ჰქონდა რა განზრახ მკვლელობა,¹⁶⁷ 2004 წლის 20 ივნისს, ხულიგნური ქვენაგრძნობით, არაერთგზის, მ. პ.-ს განზრახ მკვლელობის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „კ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული)¹⁶⁸ ჩადენაში.

სხვა საქმისა და 2003 წლის 14 თებერვლის განაჩენის თანახმად¹⁶⁹, მ. ფ. დამნაშავედ იქნა ცნობილი 2002 წლის 19 მარტს ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით, არაერთგზის დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ჩადენისთვის და მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა.¹⁷⁰

განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში ხულიგნური ქვენაგრძნობით¹⁷¹, რომლის ჩადენისთვისაც ზ. ს.-ს და მ. ფ.-ს განსაზღვრული აქვთ უვადო თავისუფლების აღკვეთა,¹⁷² 2006 წლის 28 აპრილის ზემოაღნიშნული კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, კვალიფიცირდებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ვადით ცამეტიდან ჩვიდმეტ წლამდე.¹⁷³

კიდევ ერთი საქმისა და 2007 წლის 3 სექტემბრის განაჩენის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მ. ა. დამნაშავედ იქნა ცნობილი 2007 წლის 25 მარტს ვ. მ.-ს დამამძიმებელ გარემოებებში

¹⁶⁷ მ.ბ.-ს ეპიზოდი.

¹⁶⁸ ამავე განაჩენით, ზ.ს.-მ ასევე ჩაიდინა ხულიგნური ქვენაგრძნობით ორი ან მეტი პირის მკვლელობის მცდელობა, კერძოდ, მოკვლის მიზნით, რამდენჯერმე მოუქნია დანა კ.ყ.-ს. თუმცა, ხულიგნური ქვენაგრძნობით ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობა ბოლომდე სისრულეში ვერ მოიყვანა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, რადგან კ.ყ.-მ მოახერხა მისი მოგერიება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის „ა“, „კ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული). აღნიშნულის ჩადენისთვის მიესაჯა 15 (თხუთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

¹⁶⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 14 თებერვლის განაჩენი, საქმე N2-33.

¹⁷⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 109, ქვეპუნქტ. „კ“ და „ო“ (2006 წლის 28 აპრილის ცვლილებების ძალაში შესვლამდე მოქმედი რედაქცია).

¹⁷¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ 2006 წლის 28 აპრილის N2937 საქართველოს კანონის ამოქმედებამდე მოქმედი რედაქცია.

¹⁷² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ო“ ქვეპუნქტთან ერთად (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია).

¹⁷³ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ 2006 წლის 28 აპრილის საქართველოს N2937 კანონით, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში არაერთგზის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ო“ ქვეპუნქტით, 2006 წლის 28 აპრილის N2937 კანონის ამოქმედებამდე მოქმედი რედაქცია), კვალიფიცირდებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ვადით თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

არაერთგზის ჩადენილ განზრახ მკვლევლობაში¹⁷⁴ (2006 წელს ჩადენილი ჰქონდა რა გ. ბ.-ს მკვლევლობა, თუმცა, 2007 წლის 25 მარტს გ. მ.-ს მკვლევლობის დროს, მის მიმართ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით, იგი ცნობილი იყო დამნაშავედ არა გ.ბ.-ს განზრახ მკვლევლობის ჩადენაში, არამედ დანაშაულის დაფარვაში).

ზ.ს.-ს, მ.ფ.-სა და მ.ა.-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენების გამოტანის შემდეგ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სხვადასხვა დროს შევიდა ცვლილებები და დამატებები, მათ შორის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლსა (განზრახ მკვლევლობა დამამძიმებელ გარემოებებში) და მე-15 მუხლში (არაერთგზისი დანაშაული).

ვინაიდან სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, მსჯავრდებულის სასარგებლო ცვლილებების განხორციელება წარმოადგენს განაჩენის გადასინჯვის საფუძველს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულს მსჯავრდებულებს ზ. ს.-ს, მ. ფ.-სა და მ. ა.-ს.

მსჯავრდებულმა ზ.ს.-მ, რომელიც უვადო თავისუფლების აღკვეთას იხდიდა 2004 წლიდან, სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოკვეთილი საკითხების საფუძველზე, განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.¹⁷⁵

საქართველოს სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით (Amicus Curiae) მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.¹⁷⁶

2024 წლის 7 ნოემბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენით დაკმაყოფილდა მსჯავრდებულის შუამდგომლობა და იმავე არგუმენტაციის საფუძველზე, რაც მითითებული იყო სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში, პატიმარს უვადო თავისუფლების აღკვეთა შეეცვალა ვადიანი თავისუფლების აღკვეთით და საბოლოო სასჯელად დაუდგინდა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც, შუამდგომლობის განხილვის დროისთვის უკვე მოხდილი ჰქონდა და შესაბამისად, **გათავისუფლდა სხდომათა დარბაზიდან.**¹⁷⁷

აღსანიშნავია, რომ თბილისის სააპელაციო პალატას განაჩენში სახელდებით არ მიუთითებია სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაზე (Amicus Curiae), ახლად გამოვლენილი გარემოებები აღმოჩენილი იყო სწორედ სახალხო დამცველის აპარატის მიერ, რის საფუძველზეც პატიმარმა სამართალწარმოება დაიწყო და სასამართლოს განაჩენიც

¹⁷⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 109, ნაწ. 3, ქვეპუნქტ. „ე“.

¹⁷⁵ მსჯავრდებულ ზ.ს.-ს 2024 წლის 20 სექტემბრის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე განაჩენის გადასინჯვის შესახებ.

¹⁷⁶ საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 2 ოქტომბრის N2024/5130 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae).

¹⁷⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 7 ნოემბრის განაჩენი, საქმე N1/აგ35-24.

სახალხო დამცველის მიერ გამოვლენილი სამართლებრივი არგუმენტებით არის დასაბუთებული.

შესაბამის სააპელაციო სასამართლოებს, სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოკვეთილი საფუძვლებით ასევე მიმართა სხვა ორმა მსჯავრდებულმაც. ამ ორივე შემთხვევაშიც, სახალხო დამცველმა ასევე მიმართა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებებით (Amicus Curiae) ქუთაისის და თბილისის სააპელაციო სასამართლოებს.¹⁷⁸

9.1.2. ახლად გამოვლენილი გარემოებები სხვა სისხლის სამართლის საქმეებში

გარდა ზემოაღნიშნული სამი საქმისა, სისხლის სამართლის კოდექსში 2006-2019 წლებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ახლად გამოვლენილი გარემოებები გამოკვეთილ იქნა სხვა, კიდევ 18 მსჯავრდებულის მიმართაც. თუმცა, აღნიშნულ საქმეებში, მსჯავრდებულებს, გარდა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში 2006-2019 წლებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ახლად გამოვლენილი გარემოებებისა, მსჯავრი აქვთ დადებული ასევე დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ჩადენისთვის ისეთი ნიშნებით, როგორიცაა: განსაკუთრებული სისასტიკე, ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი მკვლელობა, მკვლელობა ანგარებით ან შეკვეთით და რომელთათვისაც, ცვლილებების განხორციელების მიუხედავად, სასჯელის სახედ გათვალისწინებული იყო უვადო თავისუფლების აღკვეთა ან სხვა დანაშაული, რომელიც ასევე ითვალისწინებს სასჯელის სახედ უვადო თავისუფლების აღკვეთას.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ იმ მსჯავრდებულებს, რომლებიც სასჯელს იხდიან 2006 წლის 28 აპრილის კანონით სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებამდე გამოტანილი განაჩენებით დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობისათვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლი) და 2006-2019 წლებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად მათი ქმედების მაკვალიფიცირებელი გარემოებების ნაწილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილით დასჯად ქმედებად იქნა გათვალისწინებული და ისევ ითვალისწინებს სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთას, განაჩენის ახლად გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე გადასინჯვის შედეგად, შესაძლოა, სასჯელის სახედ ისევ განესაზღვროთ უვადო თავისუფლების აღკვეთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით.¹⁷⁹ თუმცა, მათ მიმართ 2006 წლის 28 აპრილის

¹⁷⁸ საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 4 დეკემბრის N2024/6879 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და 2024 წლის 5 დეკემბრის N2024/6934 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae) თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

¹⁷⁹ საქმე N1/2672-05 ვ.ი.ა.-ს მიმართ; საქმე N1/2672-05 ე.ნ.-ს, მ.პ.-ს და გ.ს.-ს მიმართ; საქმე N1/1497-06 ზ.ო.-ს მიმართ; საქმე N2-63 გ.კ.-ს და ვ.კ.-ს მიმართ; საქმე 1/2911-09 თ.შ.-ს მიმართ; საქმე 1/2405-06 ბ.ს.-ს მიმართ; საქმე N1/5-07 გ.ვ.-

ცვლილებებამდე გამოტანილი განაჩენები იმ მაკვალიფიცირებელი გარემოებების ნაწილში, რომლებიც განხორციელებული ცვლილებების შედეგად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველ ან მე-2 ნაწილებით იქნა გათვალისწინებული, ახლად გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე, მოყვანილ უნდა იქნეს შესაბამისობაში მსჯავრდებულისთვის ყველაზე სასარგებლო ცვლილებებთან სასჯელის ნაწილში.

ასევე, განაჩენები, რომლითაც მსჯავრდებულები უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ სასჯელს იხდიან 2007 წლის 4 ივლისამდე ჩადენილ არაერთგზის განზრახ მკვლელობისათვის, თუმცა არც მეორე ან შემდეგი მკვლელობის ჩადენის დროისთვის არ იყვნენ ნასამართლევი განზრახ მკვლელობის ფაქტზე, 2007 წლის 4 ივლისის კანონითა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილების შედეგად საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, ქმედების კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში, შესაბამისობაში უნდა მოვიდეს განხორციელებულ ცვლილებებთან და ყველაზე მსუბუქ კანონთან.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევებში განაჩენების მსჯავრდებულისთვის უფრო სასარგებლო კანონის რედაქციასთან შესაბამისობაში მოყვანის შემთხვევაში, არ წარმოიშობა მსჯავრდებულისთვის საბოლოოდ განსაზღვრული უვადო თავისუფლების აღკვეთის სავალდებულო შეცვლის შესაძლებლობა. აღნიშნული სასამართლოს განსახილველი და შესაფასებელი საკითხია.

9.2. დაუსაბუთებელი განაჩენი მტკიცებულებით ნაწილში

სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების მიმართ გამოძიების წარმოებისას და განაჩენის გამოტანისას მოპოვებული და გამოკვლეულია მათი დანაშაულის ჩადენაში მამხილებელი მტკიცებულებები და სასჯელის სახედ უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენებაც, უმრავლეს შემთხვევაში დასაბუთებულია. მიუხედავად ამისა, რამდენიმე საქმეში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ხარვეზები, მათ შორის **მტკიცებულებების ნაკლებობა, დაკავებული ბრალდებულის მიერ აღიარებითი ჩვენების მიცემის საეჭვო გარემოება, სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ისე, რომ სასამართლოს არ უმსჯელია დანაშაულის ჩადენის წინაპირობებზე, შესაძლო მოტივზე ან/და კონკრეტულ გარემოებებზე სრულყოფილად.**

სასამართლოს განაჩენი ბრალდებულს ან დამნაშავედ ცნობს დანაშაულის ჩადენაში, ან ამართლებს მას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აყალიბებს სამ

ს. კ.ა.-ს, ზ.გ.-ს და გ.ნ.-ს მიმართ; საქმე N1/5 კ.ა.-ს მიმართ; საქმე Nდს-83 ხ.დ.-ს მიმართ; საქმე N143 ლ.დ.-ს მიმართ; საქმე N2-29 თ.გ.-ს მიმართ.

მოთხოვნას, რომელთაც სასამართლოს განაჩენი უნდა ეყრდნობოდეს - კანონიერებას, დასაბუთებულობასა და სამართლიანობას. განაჩენი სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას უნდა ემყარებოდეს.¹⁸⁰ ასევე, დანიშნული სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.¹⁸¹ ამასთან, მხოლოდ ბრალდებული მისი დანაშაულის ჩადენის აღიარება, თუ მის მიერ დანაშაულის ჩადენა არ დასტურდება სხვა მტკიცებულებებით, საკმარისი არ არის მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.¹⁸²

ქვემოთ განხილულ რამდენიმე საქმეში მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი განაჩენში გამოიკვეთა ზემოაღნიშნული მოთხოვნების დარღვევა.

9.2.1. ი. ა.-ს საქმე

2010 წლის 30 მაისს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, მათსავე სახლში, აღმოჩენილი იქნა მამის, 66 წლის მამაკაცისა და მისი შვილის, 25 წლის ქალის გვამები, რომელთაც აღენიშნებოდათ სხეულზე მიყენებული არაერთი ჭრილობა. გარდაცვლილების ოჯახის წევრებმა, თავდაპირველად, ივარაუდეს, რომ მამამ და შვილმა ერთმანეთი დახოცეს, ამიტომ მეზობლებს დაუძახეს, მიცვალებულებს გახადეს ტანსაცმელი, ჩააცვეს სუფთად, ნაჭრით აუკრეს პირი, გადაადგილეს და დაასვენეს სახლის მისაღებ ოთახში ერთმანეთის გვერდით. ამის შემდეგ ადგილზე გამოძახებული იქნა პოლიცია და სასწრაფო სამედიცინო დახმარება. იმავე დღეს გამოძიება დაიწყო¹⁸³, ორი პირის მკვლელობის ფაქტზე¹⁸⁴.

გამოძიების ფარგლებში დათვალიერდა შემთხვევის ადგილი. შედეგად, ამოღებული იქნა მამა-შვილის ტანსაცმელი და 35 სმ. სიგრძის, თეთრი ფერის, პოლიეთილენის სახელურიანი, დანა, რომელსაც აღენიშნებოდა სისხლისმაგვარი ლაქები.

2010 წლის 30 მაისს, გარდაცვლილი მამა-შვილის გვამების გამოკვლევის მიზნით, საქმეზე დაინიშნა სამედიცინო ექსპერტიზები. აგრეთვე, აღებული იქნა გარდაცვლილთა ფრჩხილების ნიმუშები.

საქმეზე 2010 წლის 30 მაისსა და 31 მაისს, მოწმის სახით გამოიკითხა გარდაცვლილი მამა-შვილის ოჯახის წევრი და რამდენიმე მეზობელი, მათ მომხდარის შესახებ რაიმე გარემოება ვერ დაასახელეს. თუმცა, 2010 წლის 1 ივნისს ხსენებული ოჯახის წევრი დამატებით

¹⁸⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ.13, ნაწ. 2.

¹⁸¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 259.

¹⁸² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 13, ნაწ.2.

¹⁸³ საგამოძიებო ორგანოს მიერ საქმეს მიენიჭა ნომერი: 083100048. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმე განხილული იქნა 1/225-10 ნომრით.

¹⁸⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 109, ნაწილი 3, ქვეპუნქტი „ა“ (2006 წლის 28 აპრილის N2937 საქართველოს კანონით განხორციელებული ცვლილებების ამოქმედებიდან მოქმედი რედაქცია).

გამოიკითხა, სადაც ეჭვი გამოთქვა, რომ შესაძლოა მამა-შვილის მკვლელობა მათმა მეზობელმა ი. ა.-მ ჩაიდინა, რადგან წარსულში მათ ოჯახს ამ პირთან გარკვეული დაპირისპირება ჰქონდა.

2010 წლის 1 ივნისს პოლიციამ ი. ა. ადმინისტრაციული წესით დააკავა და გადაიყვანა ნარკოტიკულ თრობაზე შესამოწმებლად. მას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების (ტეტრაჰიდროკანაბინოლი) მოხმარების ფაქტი. 2010 წლის 1 ივნისს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ი. ა. სამართალდამრღვევად ცნო¹⁸⁵ და სახდელის სახით შეუფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა 20 დღის ვადით. ი. ა. მოთავსდა სამეგრელო-ზემო სვანეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში.

2010 წლის 2 ივნისს გამომძიებლის მიერ გამოტანილი იქნა დადგენილება ი. ა.-ს სახლში გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ჩხრეკის ჩატარების საჭიროების შესახებ. დადგენილებაში მითითებული იყო, რომ იძებნებოდა ი. ა.-ს ტანსაცმელი. იმავე დღეს ჩატარდა ჩხრეკა, რომელსაც ესწრებოდა ი. ა.-ს ოჯახის წევრი. ჩხრეკის შედეგად ამოღებული იქნა მომწვანო ფერის სპეციფიური სუნის მქონე მასა, წითელი და შავი ფერის სპორტული ქურთუკი, ლურჯი ჯინსის შარვალი, ლურჯი ჯინსის პერანგი, შავი მაისური და 3 დანა. იმავე დღეს გამომძიებლის დადგენილებით ჩხრეკა ჩატარდა ი. ა.-ს ნათესავის სახლშიც. 2010 წლის 3 ივნისს პროკურორმა მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს გადაუდებლად ჩატარებული საგამომძიებო მოქმედებების კანონიერების შემოწმების შუამდგომლობით. ბრალდების მხარე მიუთითებდა, რომ ჩხრეკის საფუძველი იყო მოკლული მამა-შვილის ოჯახის წევრის მიერ გამოთქმული ვარაუდი დანაშაულის ი. ა.-ს მიერ ჩადენის შესახებ. ჩატარებული ჩხრეკები სასამართლოს მიერ კანონიერად იქნა ცნობილი.

2010 წლის 5 ივნისს სამეგრელო-ზემო სვანეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში ი. ა.-სგან აღებული იქნა ფრჩხილის ნიმუში. 2010 წლის 5 ივნისს, გამომძიებლის დადგენილებით, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, სამეგრელო-ზემო სვანეთის დროებითი მოთავსების იზოლატორიდან ამოღებული იქნა ი. ა.-ს ფეხსაცმელი.

2010 წლის 9 ივნისს სამეგრელო-ზემო სვანეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში მოწმის სახით გამოიკითხა ი. ა., რომელმაც აღიარა მამა-შვილის, ი. ა.-ს და ნ. ა.-ს განზრახ მკვლელობა და განმარტა, რომ 2010 წლის 30 მაისს მათ სახლში შევიდა სიგარეტის სათხოვნელად, თან არ ჰქონია დანა ან სხვა ბასრი-მჭრელი საგანი. ადგილზე მასსა და 66 წლის მამაკაცს, ი. ა.-ს შორის დაიწყო კონფლიქტი, ვინაიდან აწ გარდაცვლილი მას შვილის, მეორე გარდაცვლილის, 25 წლის ნ. ა.-ს წარსულში გაუპატიურებაში სდებდა ბრალს. ი. ა.-ს თქმით, მას გაუპატიურება არ ჩაუდენია და სცადა დაემოშმინებინა 66 წლის მამაკაცი. ი. ა.-ს გადმოცემით, აწ გარდაცვლილმა მამაკაცმა დიდი ზომის მაკრატელი აიღო და მისკენ გაემართა. ისინი ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. მან რამდენჯერმე გააფრთხილა აწ გარდაცვლილი, რომ თავი დაენებებინა, თუმცა უშედეგოდ. ამის შემდეგ იქვე დადებული,

¹⁸⁵ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 45.

მოწითალო ფერის ტარიანი, დასაკეცი დანა აიღო და რამდენჯერმე დაარტყა 66 წლის ი.ა.-ს. რამდენიმე წუთში კი ჭრილობები მიაყენა სახლში მყოფ მეორე პირს, 25 წლის ქალს. ი. ა.-ს განმარტებით, მან მაშინვე დატოვა შემთხვევის ადგილი, მკვლელობისას გამოყენებული დანა კი მდინარეში გადააგდო. 2010 წლის 10 ივნისს ი. ა. გამოყვანილი იქნა დროებითი მოთავსების იზოლატორიდან და მისი ჩვენება ადგილზე შემოწმდა, რა დროსაც მის მიერ მითითებული მდინარიდან, მაგნიტის დახმარებით, ამოღებული იქნა დასაკეცი დანა.

2010 წლის 18 ივნისს გამოტანილი იქნა დადგენილება ი. ა.-ს ბრალდების შესახებ.¹⁸⁶ იმავე დღეს ი. ა. დაკავებული იქნა სამეგრელო-ზემო სვანეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში და ბრალდებულის სახით დაიკითხა. ი. ა. მოწმის სახით მიცემულ ჩვენებას სრულად დაეთანხმა და ყურადღება გაამახვილა, რომ კონფლიქტი ინიცირებული იყო აწ გარდაცვლილი, 66 წლის მამაკაცის მიერ, აგრეთვე, თავდაპირველად მაკრატლით მისკენ აწ გარდაცვლილმა, 66 წლის ი.ა.-მ გაიწია. ამასთან, ი. ა.-მ აღნიშნა, რომ მკვლელობის შემდეგ, როდესაც შემთხვევის ადგილას მეზობლები შეიკრიბნენ, თავდაც მივიდა და დაინახა, რომ მაკრატელი ერთ-ერთ მეზობელს ჰქონდა ხელში.

2010 წლის 9 ივნისს სამეგრელო-ზემო სვანეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში მოწმის სახით გამოიკითხა ი. ა., რომელმაც აღიარა მამა-შვილის განზრახ მკვლელობა და განმარტა, რომ 2010 წლის 30 მაისს მათ სახლში შევიდა სიგარეტის სათხოვნელად, თან არ ჰქონია დანა ან სხვა ბასრი-მჭრელი საგანი. ადგილზე მასსა და 66 წლის მამაკაცს შორის დაიწყო კონფლიქტი, ვინაიდან იგი ი. ა.-ს შვილის, მეორე გარდაცვლილის, 25 წლის ქალის წარსულში გაუპატიურებაში სდებდა ბრალს. ი. ა.-ს თქმით, მას გაუპატიურება არ ჩაუდენია და სცადა დაემოშმინებინა მოკლული. ი. ა.-ს გადმოცემით, მოკლულმა მამაკაცმა დიდი ზომის მაკრატელი აიღო და ი. ა.-სკენ გაემართა. ისინი ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. მან რამდენჯერმე გააფრთხილა გარდაცვლილი, რომ თავი დაენებებინა, თუმცა უშედეგოდ. ამის შემდეგ იქვე დადებული, მოწითალო ფერის ტარიანი, დასაკეცი დანა აიღო და რამდენჯერმე დაარტყა გარდაცვლილს. რამდენიმე წუთში კი ჭრილობები მიაყენა სახლში მყოფ მეორე პირს, 25 წლის ქალს. ი. ა.-ს განმარტებით, მან მაშინვე დატოვა შემთხვევის ადგილი, მკვლელობისას გამოყენებული დანა კი მდინარეში გადააგდო. 2010 წლის 10 ივნისს ი. ა. გამოყვანილი იქნა დროებითი მოთავსების იზოლატორიდან და მისი ჩვენება ადგილზე შემოწმდა, რა დროსაც მის მიერ მითითებული მდინარიდან, მაგნიტის დახმარებით, ამოღებული იქნა დასაკეცი დანა.

2010 წლის 18 ივნისს გამოტანილი იქნა დადგენილება ი. ა.-ს ბრალდების შესახებ.¹⁸⁷ იმავე დღეს ი. ა. დაკავებული იქნა სამეგრელო-ზემო სვანეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში და ბრალდებულის სახით დაიკითხა. ი. ა. მოწმის სახით მიცემულ ჩვენებას სრულად დაეთანხმა

¹⁸⁶ ი.ა. სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა ორი პირის განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

¹⁸⁷ ი.ა. სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა ორი პირის განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

და ყურადღება გაამახვილა, რომ კონფლიქტი ინიცირებული იყო მოკლულის მიერ, აგრეთვე, თავდაპირველად მაკრატლით მისკენ მოკლულმა გაიწია. ამასთან, ი. ა.-მ აღნიშნა, რომ მკვლელობის შემდეგ, როდესაც შემთხვევის ადგილას მეზობლები შეიკრიბნენ, თავადაც მივიდა და დაინახა, რომ მაკრატელი ერთ-ერთ მეზობელს ჰქონდა ხელში.

გამოძიებამ მეზობელი მამაკაცი გამოკითხა. მან დაადასტურა შემთხვევის ადგილას დიდი ზომის მაკრატლის არსებობა და განმარტა, რომ მაკრატელი მან გამოიყენა გარდაცვლილი პირების ტანსაცმლის გასაჭრელად, რადგან სხვა გზით ვერ მოხერხდა სისხლიანი ტანსაცმლის გახდა. საგამოძიებო ორგანოს მაკრატელი არც შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას და არც შემდეგ გარდაცვლილთა სახლიდან არ ამოუღია.

საქმეზე გამოიკითხა მოკლული ქალის დედა, რომელმაც დაადასტურა, რომ ქალმა მას ი. ა.-ს მიერ გაუპატიურების შესახებ რამდენიმე თვის წინ უთხრა, თუმცა არ დაიჯერა, ვინაიდან მის შვილს ჰქონდა ფსიქოლოგიური პრობლემები, ამასთან, არ სურდა ფაქტის გახმაურება და არავისთვის უთქვამს აღნიშნული. საქმეზე მოწმის სახით გამოკითხულმა სხვა პირებმა კი აღნიშნეს, რომ მოკლული 25 წლის ქალის, დაახლოებით 1 წლის წინ, ი. ა.-ს მიერ შესაძლო გაუპატიურების შესახებ სოფელში საუბრობდნენ, თუმცა ფაქტი არ იყო დადასტურებული.

სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 66 წლის მამაკაცს მიყენებული ჰქონდა 11 ჭრილობა და მისი სიკვდილის უშუალო მიზეზი იყო გულის ტამპონადა, რაც განვითარდა მარჯვენა პარკუჭზე არსებული ჭრილობიდან სისხლის გულის პერანგში ჩადვრის შედეგად. სიკვდილი ჭრილობების მიყენებიდან დროის მცირე მონაკვეთში დადგა. 25 წლის ქალს მიყენებული ჰქონდა 10 ჭრილობა, მისი სიკვდილი დადგა დროის მცირე მონაკვეთში გულის მარცხენა პარკუჭზე მიყენებული ჭრილობის შემდეგ.

2010 წლის 17 ივლისის ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული დანის ზედაპირიდან ამოღებულ უფერო გამჭვირვალე პოლიეთერულ ბოჭკოს მიკრონაწილაკებს, უფერო გამჭვირვალე გარდამავალ ჟოლოსფერში პოლიეთერულ ბოჭკოს მიკრონაწილაკებსა და მოკლული 25 წლის ქალის მაისურის ქსოვილის შემადგენლობაში შემავალ უფერო გამჭვირვალე პოლიეთერულ ბოჭკოებს, უფერო გამჭვირვალე გარდამავალ ჟოლოსფერში პოლიეთერულ ბოჭკოებს გააჩნიათ საერთო გვარეობითი კუთვნილება.

ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გარდაცვლილი მამა-შვილის ტანსაცმელის ზედაპირზე არსებული გამჭოლი დაზიანებები წარმოქმნილია რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი საგნის ზემოქმედების შედეგად, რაც შესაძლებელი იყო მიყენებული ყოფილიყო ექსპერტიზისთვის წარდგენილი რომელიმე დანით ან სხვა დანით, რომლის პირის სიგანის ერთ-ერთი მონაკვეთი შეადგენს 22 მმ.-ს. აღსანიშნავია, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილი იქნა 4 დანა, მათგან 3 ამოღებული იყო ი. ა.-ს სახლიდან, ხოლო 1 ი. ა.-ს მითითებით მდინარიდან. ექსპერტიზაზე არ ყოფილა წარდგენილი საოჯახო დანა, რაც

გარდაცვლილთა სახლიდან იქნა ამოღებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს და რაზეც ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, აღმოჩნდა გარდაცვლილი 25 წლის ქალის მაისურის ბოჭკოს ნაწილაკები და სისხლი. ამასთან, როგორც აღინიშნა, ტრასოლოგიურმა ექსპერტიზამ ცალსახად ვერ დაადგინა გარდაცვლილების სხეულზე ჭრილობები მიყენებული იყო თუ არა ი. ა.-ს სახლიდან ან/და მდინარიდან ამოღებული დანებით და გასცა მხოლოდ სავარაუდო დასკვნა წარდგენილი დანის ან დანების გამოყენებით გარდაცვლილებისთვის დაზიანების მიყენების შესაძლებლობის შესახებ, თუმცა, არც სხვა დანით მიყენების შესაძლებლობა გამორიცხა.

2010 წლის 31 ივლისის ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, არც გარდაცვლილების და არც ბრალდებულის ფრჩხილებში ბიოლოგიური წარმოშობის ობიექტები (სისხლის, კანი, თმა) არ აღმოჩნდა.

2010 წლის 31 ივლისის ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, გარდაცვლილებსა და ბრალდებულს ერთი და იმავე ჯგუფის სისხლი ჰქონდათ. იმავე ჯგუფის სისხლი აღმოჩნდა მხოლოდ მოკლული მამა-შვილის სახლიდან ამოღებულ დანაზე. ხოლო, ბრალდებულის სახლის ჩხრეკისას ამოღებულ ტანსაცმელზე, ბრალდებულისგან ამოღებულ ფეხსაცმელზე, მისი სახლიდან ამოღებულ სამ დანაზე, ი. ა.-ს ნათესავის სახლიდან ამოღებულ ტანსაცმელზე და მდინარიდან ამოღებულ დანაზე სისხლის საეჭვო ლაქები არ აღმოჩნდა.

2010 წლის 17 აგვისტოს პროკურორის მიერ შედგა საბრალდებო დასკვნა, რაც იმავე დღეს ბრალდებულს საპატიმრო დაწესებულებაში გაეგზავნა. საბრალდებო დასკვნის თანახმად, ი. ა.-ს ქმედება ბრალდების მხარის მიერ შეფასდა დამამძიმებელ გარემოებებში განსაკუთრებული სისასტიკით ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობად.¹⁸⁸ საბრალდებო დასკვნაში პროკურორი მითითებს, რომ ი. ა.-ს შემამსუბუქებელი გარემოებაა ნასამართლობის არქონა, ხოლო დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 25 ნოემბრის განაჩენით (საქმე N1/225-10) ბრალდებული ი. ა. ცნობილი იქნა დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში სრულად და უვადო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. განაჩენში მოსამართლე უთითებს, რომ ი. ა.-მ მამა-შვილის განზრახ მკვლელობა ჩაიდინა ნარკოტიკული თრობის ქვეშ, რაც უნდა შეფასდეს დამამძიმებელ გარემოებად სასჯელის დანიშვნისას, ხოლო ბრალდებულს შემამსუბუქებელი გარემოებები არ აქვს.¹⁸⁹

¹⁸⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 109, ნაწ. 3, ქვეპუნქტ. „ა“ და „ბ“, ასევე ნარკოტიკული დანაშაულით.

¹⁸⁹ განაჩენი დაცვის მხარის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო წესით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 3 იანვრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა ი. ა.-სა და მისი ადვოკატის სააპელაციო საჩივარი და უცვლელი დარჩა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 25 ნოემბრის განაჩენი. ხოლო, საქართველოს უზენაესი

ზუგდიდის რაიონული სასამართლო 2010 წლის 25 ნოემბრის განაჩენში ყურადღებას ამახვილებს ი. ა.-ს მიერ დანაშაულის აღიარებაზე და იმ ფაქტზე, რომ ბრალდებულის მითითებით დანაშაულის იარაღი - დანა მდინარიდან იქნა ამოღებული. სასამართლო არ გვთავაზობს ი. ა.-ს მიერ დანაშაულის ჩადენის დასაბუთებას კონკრეტულ მტკიცებულებებზე მითითებით და აღნიშნავს, რომ დანაშაულებრივი ქმედება დადასტურებულია ი. ა.-ს აღიარებითი ჩვენებითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლივობით.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენი პასუხს ვერ სცემს მნიშვნელოვან კითხვებს, რაც ჩნდება საქმის მასალებისა და სასამართლო სხდომების ოქმების გაცნობის შემდეგ, კერძოდ: (1) რატომ დაასუფთავეს გარდაცვლილთა სახლი, ცხედრები გადაადგილეს, გამოუცვალეს ტანსაცმელი, და მხოლოდ ამის შემდეგ იქნა გამოძახებული პოლიცია; (2) თუ ი.ა.-მ დანაშაული ჩაიდინა მდინარიდან ამოღებული დანით, რაც გაზიარებული იქნა სასამართლოს მიერ, რატომ აღმოჩნდა გარდაცვლილი ქალის ტანსაცმლის ზოჭკოების იდენტური ზოჭკოები და გარდაცვლილის სისხლის ჯგუფის სისხლი მხოლოდ შემთხვევის ადგილიდან (გარდაცვლილთა სახლი) ამოღებულ დანაზე; (3) რატომ არ აღმოჩნდა ი.ა.-ს ტანსაცმელზე და ფეხსაცმელზე დანაშაულთან შემხებლობის კვალი (ადამიანის სისხლი); (4) რატომ არ მოხდა შემთხვევის ადგილიდან მაკრატლის ამოღება და მასთან დაკავშირებით სათანადო საგამომძიებო მოქმედებების ჩატარება სრულყოფილად; (5) საგამომძიებო ორგანოს მიერ რატომ არ იქნა წარდგენილი ტრასოლოგიურ ექსპერტიზაზე, გარდაცვლილთა სხეულებზე მიყენებულ ჭრილობებთან შედარებისა და დანაშაულის იარაღის დადგენის მიზნით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებული დანა, რაზეც ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, აღმოჩნდა გარდაცვლილი 25 წლის ქალის მაისურის ზოჭკოს ნაწილაკები და სისხლი.

მოცემულ საქმეში აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ი.ა.-ს ადმინისტრაციული წესით დაკავება და ნარკოტიკულ თრობაზე შემოწმება ხდება მას შემდეგ, რაც გარდაცვლილთა ოჯახის წევრი ი.ა.-ს მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენის ვარაუდს გამოთქვამს. ამის შემდეგ, 20 დღის განმავლობაში ი.ა. იმყოფებოდა სამეგრელო-ზემო სვანეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში. მის სახლში და მისი ნათესავის სახლში ჩატარდა საგამომძიებო მოქმედებები (ჩხრეკები). ადმინისტრაციულად დაკავებიდან და იზოლატორში მოთავსებიდან 8 დღის შემდეგ, იზოლატორში მოწმის სახით გამოკითხული ი.ა. სრულად აღიარებს მამა-შვილის მკვლელობას.

ასევე, სრულიად დაუსაბუთებელია ი. ა.-ს მიმართ უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მართებულობა. გაუგებარია, თუ სასამართლო ი.ა.-ს აღიარებით ჩვენებას იზიარებს მისთვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად და საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ეს არის ერთადერთი მტკიცებულება, მაშინ, რატომ არ ითვალისწინებს ბრალდებულის აღიარებას სასჯელის დანიშვნისას. სასჯელის დასასაბუთებლად სასამართლო მიუთითებს, რომ ი. ა.-მ ბრალად წარდგენილი ქმედება ჩაიდინა ნარკოტიკული თრობის ქვეშ, რაც არ გამომდინარეობს

სასამართლოს 2011 წლის 19 აპრილის განჩინებით დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული განსახილველად.

გამოძიების მიერ მოპოვებული და სასამართლოში გამოკვლეული არცერთი მტკიცებულებიდან. აღსანიშნავია, რომ ი.ა.-ს ნარკოტიკული საშუალება ტეტრაჰიდროკანაბინოლის (მარიხუანა) მოხმარების ფაქტი დაუდგინდა 2010 წლის 2 ივნისს, მამა-შვილის მკვლელობა განხორციელდა 2010 წლის 30 მაისს, საქმეში არ არის რაიმე ცნობა ან მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ან უარყოფდა 2010 წლის 30 მაისს, მამა-შვილის სიკვდილის დადგომის დროისთვის ი.ა.-ს ნარკოტიკული თრობის ქვეშ ყოფნის ფაქტს. ამასთან, სასამართლო არ მსჯელობს ბრალდებულის ნასამართლობის არქონაზე, რასაც პროკურორი საბრალდებო დასკვნაში ი.ა.-ს შემამსუბუქებელ გარემოებად წარმოაჩენს, ხოლო დამამძიმებელ გარემოებასთან დაკავშირებით, პროკურორი აღნიშნავს, რომ ი.ა.-ს არ აქვს დამამძიმებელი გარემოებები. გარდა ამისა, განაჩენში სასამართლო არ მსჯელობს დანაშაულის მოტივთან დაკავშირებით, რაც შესაძლოა ი.ა.-სთვის შემამსუბუქებელი გარემოება იყოს. მოსამართლე იზიარებს ბრალდებულის ჩვენებას მხოლოდ იმ ნაწილში, რაც მის ბრალეულობას უკავშირდება, ხოლო განაჩენში არ ახსენებს და არ მსჯელობს ბრალდებულის მიერ მითითებულ მოტივსა და გარემოებებზე, რასაც ი.ა. უთითებს (გაუპატიურების ჩადენის დაბრალება და გარდაცვლილის მხრიდან კონფლიქტის ინიცირება).

ამრიგად, გამამტყუნებელი განაჩენები მსჯავრდებულ ი.ა.-ს მიმართ ვერ აკმაყოფილებს განაჩენის დასაბუთებულობის სტანდარტს როგორც პირის დამნაშავედ ცნობის, ისე სასჯელის ზომის განსაზღვრის ნაწილში.

9.2.2. ნ. ჩ.-ს საქმე

ერთ-ერთი უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის სისხლის სამართლის საქმის გაცნობისას გამოიკვეთა ხარვეზები გამამტყუნებელი განაჩენის გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადგენასთან.

ნ. ჩ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეში, რომელსაც გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2006 წლის განაჩენით უვადო თავისუფლების აღკვეთა მისჯილი აქვს დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობისათვის, ობიექტურ დამკვირვებელს, შესაძლოა, არ გაუქარწყლდეს გონივრული ეჭვი გამამტყუნებელი განაჩენის დამაფუძნებელი ძირითადი მტკიცებულებების უტყუარობასთან დაკავშირებით.

ნ. ჩ.-ს ბრალი ედება, რომ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება; ქურდობის მცდელობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ნივთის დიდი ოდენობით დაუფლების მიზნით, ბინაში უკანონო შეღწევით. ბრალის მიხედვით, მანვე ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა ორი ან მეტი პირის მიმართ, მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, სხვა დანაშაულის დაფარვის და მისი ჩადენის

გაადვილების მიზნით. მანვე ჩაიდინა ყაჩაღობა არაერთგზის, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, მანვე ჩაიდინა განზრახ მკვლელობა ორი ან მეტი პირის ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ანგარებით, სხვა დანაშაულის დაფარვის და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით.

ნ. ჩ. გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 18 დეკემბრის განაჩენით გასამართლდა ა. ზ.-სთან ერთად და სხვა დანაშაულებთან¹⁹⁰ ერთად, დამნაშავედ იქნა ცნობილი დამამძიმებელ გარემოებებში ორი ან მეტი პირის, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ანგარებით, სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, არაერთგზის¹⁹¹ და შთანთქმის პრინციპით, საბოლოო სასჯელის სახედ განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლოს განაჩენის მიხედვით, ნ. ჩ. და ა. ზ. მსახურობდნენ კოჯორთან ახლოს მდებარე სამხედრო ბატალიონში. საქმის გარემოებების მიხედვით, ნ. ჩ.-მ ა. ზ.-ს უთხრა, რომ ვალი ჰქონდა 500 დოლარის ოდენობით, რაც მომდევნო დღეს უნდა გაესტუმრებინა. ვალის გასასტუმრებლად საჭირო თანხის მოსაპოვებლად, ნ. ჩ.-მ შესთავაზა კოჯორში მდებარე ერთ-ერთი კერძო სახლის გამარცვა, რაზეც ა. ზ. დათანხმდა.

ნ. ჩ.-სა და ა. ზ.-ს დანიშნულების ადგილზე მისვლისას სახლში ჩაირთო სიგნალიზაცია, რა დროსაც გამოცხადდა კერძო დაცვა და უბრძანა სახლიდან გამოსვლა, რის შემდეგაც მათი მიმართულებით ცეცხლსასროლი იარაღიდან ისროლა ნ. ჩ.-მ, ასევე, მათი მიმართულებით ისროლა ხელყუმბარა. შედეგად დაიჭრა პოლიციის ერთი თანამშრომელი.

¹⁹⁰ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ბინაში შეღწევით დიდი ოდენობით ქურდობის მცდელობის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები); ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა და მართლსაწინააღმდეგო ტარება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები); დამამძიმებელ გარემოებებში ორი ან მეტი პირის, მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, დამნაშავესთვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის განზრახ მკვლელობის მცდელობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის „ა“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტები) და ჯგუფურად, არაერთგზის, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით ყაჩაღობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ ქვეპუნქტები).

¹⁹¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 109, ქვეპუნქტ. „ა“, „ზ“, „ი“, „ლ“ და „ო“ (2006 წლის 28 აპრილის კანონით განხორციელებული ცვლილებების ძალაში შესვლამდე მოქმედი რედაქცია). თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 29 დეკემბრის განაჩენით, ცვლილება შევიდა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 18 დეკემბრის განაჩენში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 24 აპრილის განაჩენში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 5 მარტის განჩინებაში და ნ. ჩ.-ს მსჯავრდებიდან ამოერიცხა სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ო“ ქვეპუნქტი (განზრახ მკვლელობა არაერთგზის, 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

აღნიშნულის შემდეგ ნ. ჩ და ა. ზ. დაიძალნენ სამხედრო კოტეჯში, სადაც დაახლოებით 2-3 სთ. დაჰყევს. მოგვიანებით, სამხედრო ნაწილიდან დაახლოებით 1 კილომეტრში ტყეში შეამჩნიეს ავტომანქანა.

ვინაიდან ნ. ჩ-ს ვალის გასასტუმრებლად საჭირო თანხა კვლავ არ გააჩნდა, ა. ზ-მ და ნ. ჩ-მ გაინაწილეს როლები. კერძოდ, ნ. ჩ. ავტომანქანაში მყოფ მგზავრებს შეაკავებდა, ხოლო ა. ზ. ავტომანქანიდან წამოიღებდა ფასეულ ნივთებს.

როდესაც მანქანას მიუახლოვდნენ, გადმოვიდა ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც ა. ზ-სკენ გაემართა. მას ნ. ჩ-მ დაუყვირა, გაჩერებულიყო, მაგრამ არ გაჩერდა. ა. ზ. ჩაჯდა მანქანაში, რადროსაც მოესმა ავტომატიდან გასროლის ხმა. მანქანის წინა მარჯვენა სავარძელზე ახალგაზრდა ქალი იჯდა, იგი გადავიდა მანქანიდან და დაიწყო ყვირილი, რასაც კვლავ სროლა მოყვა. ნ. ჩ-მ და ა. ზ-მ გაჩხრიკეს მანქანა, ა. ზ-მ აიღო მობილური ტელეფონი და ტანსაცმელი, მსხვერპლების გვამები კი ხევში გადაყარეს.

სასამართლოს განაჩენის მიხედვით, ნ. ჩ-მ ტანსაცმელი იმ ადგილას შეინახა, საიდანაც თავდაპირველად ავტომატი აიღო. მეორე დღეს კი ა. ზ-მ აიღო ნ. ჩ-ს შენახული ავტომატი, ტყვიები და ხელყუმბარა და ტანსაცმელთან ერთად წაიღო სახლში და დამალა თივაში, რის შემდეგაც ავტომატი ა. ზ.-სთან შეუთანხმებლად აიღო ა. ზ-ს დედამ და თავად წაიღო სამხედრო ნაწილში და ჩააბარა.

აღსანიშნავია, რომ მოცემული სისხლის სამართლის საქმის გახსნა განაპირობა ა. ზ-ს მიერ მსხვერპლის მობილურ ტელეფონში სიმ-ბარათის გააქტიურებამ, დაახლოებით, ნახევარი წლის შემდეგ, რის შემდეგაც პოლიცია მივიდა ა. ზ-სთან და მისგან ამოიღეს როგორც მსხვერპლის მობილური ტელეფონი, ისე - ტანსაცმელი. ა. ზ-მ მისგან ამოღებულ ტანსაცმელზე მიუთითა, რომ ეს ტანსაცმელი გადასცა ნ. ჩ-მ.¹⁹²

ა. ზ-ს დედამ ლ. გ-მ განმარტა, რომ 2004 წლის ნოემბერში ა. ზ სახლში ავტომატით დაბრუნდა, ხელთ ჰქონდა პოლიეთილენის პარკი, რომელიც დედას მისცა, სთხოვა შეენახა და უთხრა, რომ მასში მეგობრის ტანსაცმელი იდო. ლ. გ-მ შეამჩნია, რომ ავტომატი შვილმა თივაში დამალა, რაც მან სახლში შეინახა, შემდეგ კი შვილთან შეუთანხმებლად სამხედრო ნაწილში წაიღო და ხელმძღვანელობას ჩააბარა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ რ. ფ.-სა და ლ. ბ-ს მკვლელობის ადგილიდან და კ. ბ-ს სახლიდან (კოჯორში მდებარე კერძო სახლი) ამოღებული მასრები გასროლილია ერთი და იმავე ავტომატიდან.¹⁹³ დადგენილია, რომ ყაჩაღობისას გატაცებული მობილური ტელეფონი 2004 წლის 19 ნოემბერს ჰქონდა ა. ზ-ს.¹⁹⁴

¹⁹² უზენაესი სასამართლო 2008 წლის 5 მარტი განჩინება N988აპ.

¹⁹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 5 მარტის განჩინება.

¹⁹⁴ იქვე. (ტ. 3, გვ. 80).

აღსანიშნავია ისიც, რომ ა. ზ.-ს რაიონულმა სასამართლომ დამნაშავედ სცნო სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლით (დანაშაულის დაფარვა) გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში, თუმცა სასჯელი არ განუსაზღვრა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულზე ყურადღება გაამახვილა, თუმცა აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე, ვერ იმსჯელებდა მსჯავრდებულისათვის საუარესოდ სასჯელის დანიშვნის თაობაზე.¹⁹⁵ რაიონული სასამართლო ამ კონტექსტში მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ა. ზ.-ს 375-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია უნდა დაეკისროს 2006 წლის 31 მაისის შემდგომ მოქმედი რედაქციით, ვინაიდან ამ რედაქციის 375-ე მუხლის ზედა ზღვარი უფრო დაბალია.¹⁹⁶ ამგვარად, ა. ზ. გარდაბნის რაიონული სასამართლოს განაჩენით დამნაშავედ იქნა ცნობილი დანაშაულის დაფარვისათვის, თუმცა აღნიშნულისათვის მას არანაირი სასჯელი არ დაკისრებია.¹⁹⁷ გასათვალისწინებელია, რომ ა. ზ. მოცემულ საქმემდე ნასამართლევი იყო სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე (ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა ან ტარება) მუხლით, ამასთან, ა. ზ. 2004 წელს იყო ნასამართლევი დუშეთის რაიონული სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით. სასჯელის ზომად განსაზღვრული ჰქონდა 2 წელი, რაც ჩაეთვალა პირობითად და ჰქონდა 3 წლის გამოსაცდელი ვადა.

გასათვალისწინებელია, რომ საქმეში არ მოიპოვება თითის ანაბეჭდები ან ნ. ჩ.-ს მაინკრიმინერებელი დნმ. მსჯავრდება, რომლის თანახმადაც მკვლელობა და მკვლელობების მცდელობები ჩაიდინა ნ. ჩ.-მ, სრულიად და ექსკლუზიურად ეყრდნობა ა. ზ.-ის მიერ გაჟღერებულ ვერსიას და ა. ზ. მიჩნეულია ობიექტურ პირად, რომელიც ინანიებს ჩადენილ დანაშაულს და, ამგვარად თანამშრომლობს გამოძიებასთან. მიუხედავად იმ გარემოებებისა, რომ ა. ზ.-სთანაა აღმოჩენილი გარდაცვლილი პირის მობილური ტელეფონი, გარდაცვლილის ტანსაცმელი, აგრეთვე, გამოძიებით დადგენილია და სასამართლოში დადასტურდა, რომ ავტომატი ა. ზ.-ს ჰქონდა წაღებული და სახლში დამალული, რომელიც ა. ზ.-ს დედამ დამოუკიდებლად წაიღო ყაზარმაში და ჩააბარა ხელმძღვანელობას. აღნიშნული ავტომატი კი გამოძიების ფარგლებში არც ამოღებულა. მოცემული გარემოებები ვერ აქარწყლებს გონივრულ ეჭვს, რომ შესაძლოა ეს ვერსია სწორედაც ა. ზ.-ს მოგონილია პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მოტივით.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ა. ზ. თავისი ნებით და ინიციატივით არ წასულა პოლიციაში და არ შეუტყობინებია დანაშაულის შესახებ. მას მიაგნეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მსხვერპლის მობილურ ტელეფონში თავისი სიმ ბარათი მოათავსა და გააქტიურა.

¹⁹⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 24 აპრილის განაჩენი, გვ. 14.

¹⁹⁶ ხსენებული რედაქციის 375-ე მუხლი ითვალისწინებდა სასჯელის სახით ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას 1-დან 3 წლამდე. ხოლო წინამორბედი რედაქცია იმავე დანაშაულისათვის ითვალისწინებდა ჯარიმას ან ტუსაღობას ვადით სამიდან ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით ოთხ წლამდე.

¹⁹⁷ უზენაესი სასამართლოს განჩინებით ხსენებული მსჯავრი ამოირიცხა ისევე, როგორც სსკ-ის 19.177-4-„ბ“-ით გათვალისწინებული მსჯავრი.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მისი პირველი ვერსია, რომელიც გამოძიებას მიაწოდა, განსხვავდებოდა მისი შემდეგი ვერსიისგან. კერძოდ, თავდაპირველად აცხადებდა, რომ ერთ დღეს, მოულოდნელად, ნ. ჩ.-მ მას სთხოვა, რომ წასულიყო კონკრეტულ ადგილას ტყეში, სადაც დახვდებოდა მანქანა, რომელშიც ნ. ჩ.-ს დარჩა მობილური ტელეფონი და უნდა წაეღო მისთვის. ა. ზ. დათანხმდა და წავიდა, ხოლო მანქანაში გვამები დახვდა, ტელეფონი კი მანქანის სათავსოს გატეხვის შედეგად აიღო. გვამებზე მოგვიანებით ნ. ჩ.-ს უთხრა, მან კი უპასუხა, რომ აღნიშნული ა. ზ.-ს დაევიწყებინა.

ა. ზ.-მ ეს ვერსია მოგვიანებით შეცვალა. ამგვარად, ფაქტობრივად, ერთადერთი მტკიცებულება მსჯავრდებისა არის ა. ზ.-ს ჩვენება, რომელიც, ბუნებრივია, დაინტერესებული პირია და ცალსახად ობიექტურ ჩვენებად მისი ვერსია აღქმული არ უნდა ყოფილიყო.

ამასთან, გაუგებარია სასამართლოს მხრიდან იმ პირთა ჩვენებების გაუთვალისწინებლობა, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ შემთხვევის დღეს ნ. ჩ. ადგილზე იმყოფებოდა და ეს აღრიცხვის ჟურნალებითაც დასტურდებოდა. ერთ-ერთ განჩინებაში, რომლითაც სასამართლო უარს ამბობს ნ. ჩ.-ს ადვოკატის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საკითხში, სასამართლო მოკლედ და ყოველგვარი განმარტების გარეშე უთითებს, რომ ამ პირთა ჩვენებებს სასამართლო ვერ გაითვალისწინებს, რადგან ისინი „ტენდენციურები არიან“.

გაუგებარი რჩება, თუ რატომ არის ყაზარმაში მომუშავე სხვა სამხედრო პირი, რომელსაც არც ნათესაური და არც განსაკუთრებულად ახლო მეგობრული ურთიერთობა არ ჰქონდა ნ. ჩ.-სთან უფრო მეტად ტენდენციური და ნაკლებ სანდოობის მქონე, ვიდრე ა. ზ., რომელიც, მინიმუმ, უშუალოდ დანაშაულის თანამონაწილე და თვითმხილველი იყო და, რომელიც, დაინტერესებული იყო პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებით.

საქმის მასალებში მოიპოვება სპეციალური დანიშნულების სკოლის იარაღის განპიროვნების წიგნი, სადაც ნ. ჩ.-ზე რეგისტრირებულია აკმ-7.62მმ კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღი (დათარიღებულია 2003 წლის 23 ივლისით). ხოლო საქმის მასალების მიხედვით, დანაშაულის ადგილებიდან ამოღებული მასრები სწორედ კალაშნიკოვის კონსტრუქციის 7.62მმ კალიბრის ერთი და იგივე იარაღიდან უნდა ყოფილიყო გასროლილი, თუმცა აღნიშნულის შეფასება სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში უნდა მომხდარიყო და არ შეიძლება შეფასების გარეშე დარჩენილიყო ის ფაქტი, რომ დანაშაულის ჩადენის შედეგად მოპოვებული სხვა ნივთები ა. ზ.-სთან აღმოჩნდა, აგრეთვე, სასამართლომაც დაადასტურა, რომ ავტომატი მკვლელობის შემდეგ ა. ზ.-სთან ინახებოდა, რის შემდეგაც თვითნებურად ა. ზ.-ს დედამ გადაწყვიტა ყაზარმაში წაღება.

აღსანიშნავია, რომ ნ. ჩ. დანაშაულს დღესაც არ აღიარებს და თვლის, რომ მისი მსჯავრდება არასწორად და უკანონოდ მოხდა. სასამართლო განხილვისას მიუთითებდა, რომ 2004 წლის 9 ნოემბრიდან 19 ნოემბრის ჩათვლით სამხედრო ბატალიონში იმყოფებოდა 9 სერჟანტთან

ერთად კარანტინში, რა დროსაც ეკრძალებოდათ სამხედრო ნაწილის ტერიტორიის დატოვება. რაც შეეხება ა. ზ-ს, იგი პენიტენციური დაწესებულებიდან რამდენიმე წელიწადში განთავისუფლდა.

9.2.3. ზ. ს.-ს საქმე

ზ. ს-ი მსჯავრდებულია დამამძიმებელ გარემოებებში ჯგუფურად, ანგარებით ან შეკვეთით განზრახ მკვლელობისთვის.¹⁹⁸

სასამართლოს განაჩენის თანახმად, 2009 წლის აპრილის დასაწყისში ი. წ. დაუკავშირდა თავის მდგმურს, ზ. სე-ს და მოახლეს ე. თ-ს, რომლებსაც დახმარება სთხოვა მეუღლის გ. წ-ს მკვლელობაში, რადგანაც ეს უკანასკნელი მთვრალ მდგომარეობაში მყოფი სისტემატურად გამოხატავდა აგრესიას ოჯახის წევრებსა თუ მათთან სტუმრად მყოფ სხვადასხვა პირების მიმართ, რაც მისთვის შეურაცხყოფელი იყო. ამასთან, შიშობდა, რომ მეუღლის ასეთი ქმედებები საფრთხეში აგდებდა მისი შვილების სიცოცხლეს. შეკვეთის შესრულებისათვის ი. წ. მკვლელობისათვის გასამრჯელოს სახით შეპირდა 5000 დოლარს. ი. წ. ზ. ს-ე და ე. თ. ჯგუფურად, აქტიურად შეუდგნენ დანაშაულებრივი გეგმის განხორციელებას. უშუალო შემსრულებლად შეარჩიეს ზ. ს-ეს ნაცნობი ზ. ს-ი, რომელსაც ზ. სე-მ მიაწოდა დეტალური ინფორმაცია გ. წ-ს შესახებ, მათ შორის, ამ უკანასკნელის საცხოვრებელი სახლის ადგილმდებარეობის, ასევე, ფეხით გადაადგილების მარშრუტების შესახებ.

განაჩენის თანახმად, 2009 წლის 29 აპრილს, დაახლოებით, 22:30 საათზე ზ. ს-იმ, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და დაამზადა ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც უკანონოდ ინახავდა და ატარებდა. დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ, წინასწარ მოწოდებული მონაცემების შესაბამისად ელოდებოდა გ. წ-ს საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ამ უკანასკნელს გაჩერებული ჰყავდა მანქანა. შეარჩია რა შესაფერისი მომენტი, შეკვეთის შესასრულებლად იგი სწრაფი ნაბიჯებით მივიდა გ. წ-სთან, იარაღიდან მოახდინა გასროლა გ. წ-ს მიმართულებით, რითაც მიაყენა სიცოცხლისათვის შეუთავსებელი ჭრილობა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მკვლელობიდან მეორე დღეს, ი. წ-მ ე. თ-ის დახმარებით, ზ. ს-ეს გადასცა შეპირებული 5000 დოლარი.

გამოძიება გ. წ.-ს განზრახ მკვლელობის ფაქტზე დაიწყო.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალები შეადგენს 14 ტომს, ხოლო პირველი 10 ტომი თითქმის მთლიანად შეეხება გ. წ-ს მკვლელობის გამოძიებას, მკვლელობის გ. წ-ს სამსახურთან შესაძლო კავშირის გამოვლენის მიზნით. ასობით საგამოძიებო მოქმედებისა და 1 წელზე მეტი დროის გასვლის შემდეგ, საქმის მასალებში გვხვდება ზ. სე-ს ხელწერილი,

¹⁹⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 109, ნაწ. 2, ქვეპუნქტ. „ე“ და ნაწ. 3, ქვეპუნქტ. „გ“. ამავე განაჩენით, ზ.ს. მსჯავრდებულია ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით.

რომლითაც პოლიციას ატყობინებს, რომ მისი ინფორმაციით, ზ. ს-ი გეგმავს ყაჩაღობის ჩადენას, ხოლო შემდეგ პოლიციაში აცხადებს, რომ 1 წლით ადრე, ზ. ს-ის მოკლული ჰყავს გ.წ.

კერძოდ, ზ. ს-ს გადმოცემით, გ. წ-ს მკვლელობიდან 1 წლის შემდეგ ქალაქ ზესტაფონში ზ. ს-ი შეხვდა, რა დროსაც მან განუმარტა, რომ ზესტაფონში იყო ოჯახი, რომელსაც სახლში ფული და ოქროულობა ჰქონდა, მათი დაყაჩაღება სურდა და მეთვალყურედ სჭირდებოდა. ზ. ს-ე აღნიშნულ წინადადებას დათანხმდა, ვინაიდან მისი ეშინოდა. ზ. ს-იმ განუცხადა, რომ ყაჩაღობის ჩასადენად ყველაფერი ჰქონდა გამზადებული, მათ შორის, იარაღი.

ზ. ს-ე გვიან ღამით დაბრუნდა ზესტაფონში, პოლიციაში მივიდა და განაცხადა, რომ ერთ-ერთ ოჯახზე მზადდებოდა ყაჩაღობა. აღნიშნულის შემდეგ იგი აღჭურვილი იქნა შესაბამისი მოსასმენი მოწყობილობით. მეორე დღეს, შეთანხმებისამებრ, შეხვდა ზ. ს.-ს, ხოლო მოგვიანებით, ისინი დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა.

ზ. ს-ი და ზ. ს-ე გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც ზ. ს-ემ მიუთითა, რომ ზ. სი-ს ჩადენილი ჰქონდა მკვლელობა. გამომძიებლისგან კი გაიგო, რომ ზ. ს-იმაც ყველაფერი აღიარა. გამომძიებლის კითხვაზე, როგორ შეეძლო დაედასტურებინა გ. წ-ს მკვლელობის ფაქტი, მან შესთავაზა, რომ აღიჭურვებოდა შესაბამისი მოწყობილობით, შეხვდებოდა ი. წ.-ს, ვინაიდან მისი ვალი ჰქონდა და აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით დაელაპარაკებოდა.

ზ. ს-ი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის პირველი, მე-2 ნაწილებით, სისხლის სამართლის კოდექსის 18-179 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის პირველი მე-2 ნაწილებით, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და საბოლოო სასჯელის სახედ დაენიშნა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

ზ.ს-ე კი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 24.109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. დანიშნული სასჯელი ჩარეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 8 წელი.

აღსანიშნავია, რომ ზ. ს-ი დაკავების შემდეგ ექვმიტანილის სახით გამოკითხეს ზესტაფონში, პოლიციის განყოფილებაში, ადვოკატის გარეშე, სადაც, თავდაპირველად, აღიარა გ. წ.-ის მკვლელობა.

პირველი ინსტანციის სასამართლოში ჩვენების მიცემისას ზ. ს-იმ განმარტა, რომ ზ. ს-ემ მას უთხრა, რომ ახლობელს უნდა მოეკლა გ. წ, მაგრამ დაიჭირეს და არ იცოდა საქმე როგორ შეესრულებინა, რაზეც მან უარი უთხრა და თავს არიდებდა მას.

აღსანიშნავია, რომ გ. წ.-ის მკვლელობის იარაღი ვერ იქნა აღმოჩენილი. ამასთან, არ არის მოპოვებული რაიმე ვიდეოჩანაწერები, დნმ-ის ნიმუში ან თითის ანაბეჭდები. მით უფრო, იმ

დროისათვის, როდესაც ექვმიტანილის სახით დააკავეს ზ. ს-ი ზ. ს-ეს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, გამოძიებას არ გააჩნდა არანაირი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა ზ. ს-ის მიერ მკვლელობის ჩადენაზე. ამდენად, თავდაპირველად პოლიციის სამმართველოში ზ. ს-ის მიერ მკვლელობის აღიარება მაშინ, როდესაც მისი გამოკითხვა მოხდა ადვოკატის დასწრების გარეშე და მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, ბაღებს სერიოზულ ეჭვს, რომ მისგან ინფორმაციის მოპოვება, შესაძლოა, მოხდა არასათანადო მოპყრობის გამოყენებით ან/და მისი მუქარით.

გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოს განაჩენიც, ფაქტობრივად, ემყარება ზ. ს-ეს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. ზ. ს-ის ხელს ვერ ადებენ ვერც ე. თ, ვერც ი. წ. არ არის აღმოჩენილი მკვლელობის იარაღი, არ არის ზ. ს-ის ბიოლოგიური კვალი შემთხვევის ადგილზე. სასამართლო მიუთითებს, რომ სასამართლოს განაჩენი არ დაფუძნებულია მხოლოდ ზ. ს-ეს ჩვენებას და მას ადასტურებდა მოწმე თ. შ-ის ჩვენებაც, რომელმაც აღწერა დაკავების შემდეგ ზ. ს-ის მონათხრობი მის მიერ 5000 დოლარის სანაცვლოდ შეკვეთით გ. წ. ის მკვლელობის შესახებ. თუმცა აღსანიშნავია, რომ თ. შ-ის ჩვენება წარმოადგენს ირიბ მტკიცებულებას, რომელიც არ შეიძლება გახდეს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი. რაც შეეხება ზ. ს-ეს ფარულ ჩანაწერს ი. წ-სთან, რომლის მიზანიც იყო ი. წ.-სა და ზ. ს-ის გამოვლენა გ. წ.-ის მკვლელობაში, ჩანაწერში პირდაპირ არ სახელდება ზ. ს-ის სახელი და არც სხვამხრივ არის იმგვარად ინფორმაციული, რომელიც მიუთითებდა ზ. ს-ის მონაწილეობაზე მკვლელობაში. სასამართლომ აგრეთვე გაამახვილა ყურადღება, რომ ზ. ს-ი არ უარყოფდა მკვლელობის შემდეგ ზ. ს-ესგან თანხის გადაცემას, რასაც ობიექტურად ვერ ხსნიდა.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ ზ. ს-ი წინასწარი გამოძიების, ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოში თავდაპირველ ეტაპზე წარდგენილ ბრალდების ყველა ეპიზოდში თავს დამნაშავედ სცნობდა.

ზ. ს-იმ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას შეიცვალა პოზიცია. თუმცა, სისხლის სამართლის საქმის წარმოების დასრულებამდე არ მიუთითებია, გამოძიების მიმდინარეობისა და სასამართლო განხილვის თავდაპირველ ეტაპზე მის მიერ დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ჩადენის აღიარება ხომ არ იყო გამოწვეული მის მიმართ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ან არასათანადო მოპყრობის შედეგად. ამასთან, მისი მხრიდან აღიარებითი ჩვენება, როგორც აღინიშნა, მაღალი ალბათობით, არასათანადო მოპყრობით იყო განპირობებული. ამდენად, მისი თავდაპირველი პოზიცია არ უნდა დასდებოდეს საფუძველად გამამტყუნებელ განაჩენს.

გასათვალისწინებელია, რომ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ვარაუდს არ აჩენს მხოლოდ, ერთი შეხედვით ლოგიკას მოკლებული, აღიარებითი ჩვენება გამოძიების ეტაპზე. აღსანიშნავია, რომ ზ. ს-ის განცხადებას შემდგომ წლებში სახალხო დამცველის აპარატი სწავლობდა. ჯერ კიდევ 2014 წელს ზ. ს-იმ სახალხო დამცველის რწმუნებულთან საუბრისას მიუთითა, რომ დაკავების შემდეგ იარაღის მიშვერით და მოკვლით დაემუქრნენ, თუ არ

აღიარებდა ჩადენილ მკვლელობას.¹⁹⁹ ამასთან, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლებისას შედგენილი სამედიცინო დოკუმენტაციაში აღწერილია დაზიანებები, სადაც აღნიშნულია, რომ ზ. ს-ს მარცხენა მხრის სახსრის, მარცხენა ლავიწის ძვლისა და გულ-მკერდის არეში აღენიშნებოდა კანქვეშა ჰემატომები, ექსკორიაციები და აღნიშნავდა, რომ ეს დაზიანებები დაკავების დროს მიიღო.

9.3. დაუსაბუთებელი განაჩენი სასჯელის ნაწილში.

ნ. ც.-ს საქმე

წინამდებარე ანგარიშის ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი გაეცნო მსჯავრდებულ ნ. ც.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმესა და განაჩენს.²⁰⁰

ნ. ც.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმე არსებითად განხილულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ თავმჯდომარისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით. 2001 წლის 19 თებერვლის განაჩენით ნ.ც. ცნობილ იქნა დამნაშავედ ორი პირის განზრახ მკვლელობის განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენაში²⁰¹ და სასჯელის სახედ განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა.²⁰²

განაჩენის თანახმად, ნ. ც.-ს მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა მასში, რომ მან სანადირო თოფისა და საოჯახო დანის გამოყენებით მოკლა მისი არასრულწლოვანი ქალიშვილის მეუღლე კ. მ. და მისი მამა თ. მ, კერძოდ, 1999 წლის 24 დეკემბერს შვილის, კ. მ.-ს თანდასწრებით, დაახლოებით 10 (ათი) მეტრიდან ესროლა თ. მ.-ს მხარისა და წინა მხარის არეში, შემდეგ კი წაქცეულს დაახლოებით ერთი მეტრიდან მეორეჯერ ესროლა სახისა და თავის არეში. თ. მ. ადგილზე გარდაიცვალა. მრავლობითი დაზიანების მიყენებით მოკლა რა თ.მ. შვილის, კ.მ-ს თვალწინ, ნ.ც.-მ გადაწყვიტა ასეთივე სისასტიკით, სხვადასხვა სახის იარაღის გამოყენებით, მისთვის განსაკუთრებული ტანჯვისა და ტკივილის მიყენებით მოეკლა კ.მ.-ც და თ.მ.-ს მიწის ზედაპირზე დაცემის შემდეგ მამის დასახმარებლად მასთან მიახლოებულ კ.მ.-ს სამჯერ ჩაარტყა დანა გულ-მკერდისა და თავის არეში, ხოლო შემდეგ კი, დაახლოებით ერთი და ათი მეტრის მანძილზე სანადირო თოფიდან ორჯერ ესროლა მას მუცლისა და კეფის არეში. კ.მ. გარდაიცვალა მეორე დღეს საავადმყოფოში.

¹⁹⁹ სახალხო დამცველის რწმუნებულის 2014 წლის 6 მაისის ოქმი.

²⁰⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2001 წლის 19 თებერვლის განაჩენი (საქმე N2-32) და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2001 წლის 9 ივლისის განჩინება (N25 კოლ).

²⁰¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 109, ქვეპუნქტ. „ა“ და „ვ“ (2006 წლის 28 აპრილის კანონით განხორციელებული ცვლილებების ამოქმედებამდე მოქმედი რედაქცია).

²⁰² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2001 წლის 9 ივლისის განჩინებით 2001 წლის 19 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელი.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ მსჯავრდებული ნ.ც.-ს 15 წლის არასრულწლოვანი ქალიშვილი თ.ც. ოჯახის თანხმობითა და გარიგებით 1998 წელს ცოლად გაყვა კ.მ.-ს. თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, მისი მოთხოვნით, ნ.მ.-მ ქალიშვილი წამოიყვანა მეუღლის სახლიდან თავის საცხოვრებელ სახლში. კ.მ.-ს ოჯახი ითხოვდა თ.ც.-ს მეუღლესთან დაბრუნებას, თუმცა, თ.ც. მეუღლესთან აღარ დაბრუნებულა.

განაჩენის თანახმად, სასამართლომ არასრულწლოვან თ.ც.-სა და კ.მ.-ს დაშორების მიზეზად მიიჩნია ის, რომ თ.ც.-მ მეუღლე ვერ შეიყვარა. სასამართლომ გაიზიარა მხოლოდ დაზარალებულის ჩვენება, რომ გარდაცვლილი თ.მ. რძალს მხოლოდ მამაშვილურად ეფერებოდა, ისე, რომ არ უმსჯელია, გარდა დაზარალებული მხარის ჩვენებებისა, რა გარემოებების საფუძველზე არ გაიზიარა განსასჯელის ოჯახის წევრებისა და სხვა პირების, მათ შორის, არასრულწლოვან თ.ც.-სა და მისი ბების, დედის დედის, მ.გ.ს ჩვენებები, რომ თ.მ. რძალს ეფერებოდა როგორც მამაკაცი, ისე, ვამდა მუხლებზე, შედიოდა მასთან საძინებელ ოთახში მაშინ, როდესაც იყო ჩაუცმელი და სწორედ ეს იყო მეუღლეების დაშორებისა და არასრულწლოვანი ქალიშვილის სახლში წამოყვანის მიზეზი განსასჯელის მიერ. არასრულწლოვანი თ.ც.-ს მამამთილის, თ.ც.-ს მიერ მუხლებზე დასმის და მოფერების ფაქტს, ადასტურებდა ასევე დაზარალებული ლ.მ., თუმცა აღნიშნულს ხსნიდა როგორც მამაშვილურ მოფერებას.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქმის მასალების თანახმად, არასრულწლოვანი თ.ც. და კ.მ. თავიდანვე დაოჯახდნენ მშობლების გარიგების შედეგად, გარდაცვლილი თ.მ.-ს თავდაპირველი წინადადებით და წყვილს შორის სიყვარული და ურთიერთსიმპათია, მითუმეტეს ოჯახის შექმნის განზრახვა არ ყოფილა. ასეთ გარემოებებში, მით უფრო მეტად მოითხოვდა სასამართლოსგან დასაბუთებას, თუ რატომ წამოიყვანა განსასჯელმა ქალიშვილი მეუღლის სახლიდან მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მან ვერ შეიყვარა მეუღლე, და მისი ქალიშვილისადმი მამამთილის დამოკიდებულება ხომ არ იყო დანაშაულის ჩადენის მოტივი.

დანაშაულის გამომწვევი მიზეზების, მათ შორის თ.მ.-ს მხრიდან რძლის თ.ც.-ს მიმართ შესაძლო სექსუალური შევიწროვების თაობაზე გამოძიებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოკვლევის ხარვეზებზე მსჯავრდებული ასევე უთითებდა ერთ-ერთ საკითხად საკასაციო საჩივარში და ითხოვდა საქმის წინასწარ გამოძიებაში დაბრუნებას, თუმცა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას აღნიშნულზე არ უმსჯელია, განჩინებაში ზოგადად მიუთითა საკასაციო საჩივარში აღნიშნულ სხვა საკითხებზე: მხოლოდ მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და გარდაცვლილების დანაშაულის ჩადენის დროს სიმთვრალეზე, და 2001 წლის 9 ივლისის განჩინებით უცვლელად დატოვა 2001 წლის 19 თებერვლის განაჩენი ნ.ც.-ს მიმართ.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, როგორც ნ. ც.-ს მიმართ განაჩენის გამოტანის დროს, 2001 წელს, ასევე დღეის მდგომარეობით, სასამართლო სასჯელის დანიშვნის დროს ითვალისწინებს სხვადასხვა გარემოებებს, მათ შორის, დამნაშავის პიროვნებასა და

დანაშაულის მოტივის²⁰³, ამასთან, დანაშაულის შემადგენლობის დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინებული გარემოება, სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღება.²⁰⁴

2001 წლის 19 თებერვალს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლი, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობისთვის სასჯელის სახით გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა ათი წლიდან ოც წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.²⁰⁵

ნ.ც.-ს მიერ ჩადენილი დანაშაული მოიცავდა დამამძიმებელ გარემოებებს, ორი პირის განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობას და შესაბამისი, 109-ე მუხლი სასჯელის სახედ ითვალისწინებდა უვადო თავისუფლების აღკვეთასაც, თუმცა სასჯელის განსაზღვრის დროს, დანაშაულის ჩადენის მოტივის დადგენას, დანაშაულის ჩადენამდე არსებული გარემოებებისა და ნ.მ.-ს პიროვნების სათანადო განხილვასა და შეფასებას შესაძლოა არსებითი გავლენა მოეხდინა მსჯავრდებულისთვის სასჯელის სახის განსაზღვრაზე.

9.4. მაკვალიფიცირებელი გარემოების დაუსაბუთებლობა განაჩენში

მ. ფ.-ს საქმე

ერთ-ერთი განაჩენის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასამართლოს მიერ მსჯავრდებული დამნაშავედ იქნა ცნობილი დამამძიმებელ გარემოებებში განსაკუთრებული სისასტიკით ორი ან მეტი პირის, მათ შორის არასრულწლოვნის მკვლელობისთვის სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით²⁰⁶ და მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა.²⁰⁷

განაჩენის თანახმად, მსჯავრდებულ მ. ფ.-ს ქმედება სხვა დადგენილ მაკვალიფიცირებელ გარემოებებთან ერთად, გამოიხატა იმაში, რომ მან, განიზრახა რა დაზარალებულების მოკვლა, აღნიშნულის სისრულეში მოსაყვანად მან ცემა დაუწყო დაზარალებულებს და მიაყენა მათ ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები. შემდეგ, ისარგებლა რა დაზარალებულების უმწეო მდგომარეობით, თავისი საცხოვრებელი სახლიდან გამოიტანა 12 კალიბრიანი ორლულიანი სანადირო თოფი, მოათავსა მასში მის მიერვე კუსტარულად დამზადებული ვაზნები, დაბრუნდა შემთხვევის ადგილზე, სადაც უმწეო მდგომარეობაში მყოფ დაზარალებულებს, თოფიდან გასროლით, გულმკერდის არეში მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე დაზიანებები, რის შედეგადაც ორივე ადგილზე

²⁰³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 53, ნაწ. 3.

²⁰⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 53, ნაწ. 4.

²⁰⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 109 (2001 წლის 19 თებერვალს მოქმედი რედაქცია).

²⁰⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 109. 2006 წლის 28 აპრილის ცვლილებამდე მოქმედი რედაქცია.

²⁰⁷ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 მარტის განაჩენი, საქმე N1/361. განაჩენი უცვლელი დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 18 ივნისის განაჩენით (საქმე N1/ზ-529-2007 წ.) და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 5 მარტის განაჩენით (საქმე N1527აპ).

გარდაიცვალა. ამასთან, განაჩენში მხოლოდ მითითებულია, რომ მსჯავრდებულმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით).

მიუხედავად იმისა, რომ პირველი და სააპელაციო ინსტანციის განაჩენები ძირითადად დასაბუთებულია და ცხადია, თუ რა მტკიცებულებების გაზიარებით ცნო დამნაშავედ მ.ფ. სასამართლომ, ბუნდოვანია, კონკრეტულად რა გარემოება მიიჩნია განსაკუთრებულ სისასტიკედ.

ასევე, დანაშაულის ჩადენის დროს (2006 წლის 22 თებერვალი) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლი არ იყო დაყოფილი ნაწილებად და მსჯავრდებულისთვის ბრალად შერაცხული ყველა მაკვალიფიცირებელი ნიშანი სასჯელის სახით ითვალისწინებდა უვადო თავისუფლების აღკვეთას. დანაშაულის ჩადენიდან პირველი ინსტანციის განაჩენის გამოტანამდე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლი დაიყო სამ ნაწილად და მსჯავრდებულისთვის ბრალად შერაცხული ორი ქვეპუნქტი (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით და წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის) შესაბამისად, გათვალისწინებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში, რომლისთვისაც სასჯელის სახედ არ იყო გათვალისწინებული უვადო თავისუფლების აღკვეთა. მიუხედავად ამისა, არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.²⁰⁸

9.5. დაკარგული სისხლის სამართლის საქმე და სახალხო მსაჯულები სასამართლო შემადგენლობაში

წინამდებარე კვლევის ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი გაეცნო კიდევ ერთი მსჯავრდებულის, გ.მ.-ს განაჩენსა და მასალებს. გ.მ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 20 აგვისტოს განაჩენით, ცნობილ იქნა დამნაშავედ ორი ან მეტი პირის დამამძიმებელ გარემოებებში

²⁰⁸ ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წლის 28 აპრილის კანონით განხორციელებული ცვლილებები და დამატებები ცნობილი იყო ყველა ინსტანციის სასამართლოსთვის, აღნიშნული არ წარმოადგენს ახლად გამოვლენილ გარემოებას და შეიძლება მხოლოდ სასამართლოს ხარვეზად იქნეს მიჩნეული. თუმცა ვინაიდან, მსჯავრდებულის ქმედება ასევე შეიცავს ისეთ დამამძიმებელ გარემოებებს, როგორიცაა ორი პირის მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით და აღნიშნული მაკვალიფიცირებელი გარემოებები ცვლილების განხორციელების შემდეგ გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილით და სასჯელის სახით შესაძლებელია უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშნვა, არსებითად არ დარღვეულა მსჯავრდებულის უფლებები.

მკვლელობისთვის (საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მე-4 ნაწილი, 1998 წელს მოქმედი რედაქცია) და მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა.²⁰⁹

მასალების შესწავლით დგინდება, რომ გ. მ.-ს მიერ ორი ან მეტი პირის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო 1998 წლის 8 აპრილს, სისხლის სამართლის N8798812 საქმეზე. საქმე ქვემდებარეობის შესაბამისად, არსებითად განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ თავმჯდომარისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით და 1998 წლის 20 აგვისტოს გ. მ.-ს მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი.²¹⁰

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 8 იანვარის განჩინების თანახმად, 2001 წლის 31 აგვისტოს პროკურორის მიერ, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების აღძვრისა და ხელახალი გამოძიების თაობაზე მსჯავრდებულის ადვოკატების საჩივრის განხილვის შედეგად, გამოტანილ იქნა დადგენილება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, რაც დაამტკიცა საქართველოს გენერალურმა პროკურორმა.

ამავე განჩინების თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ გააუქმა პროკურორის 2001 წლის 31 აგვისტოს დადგენილება და მასალები ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების აღძვრის საკითხის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს გენერალურ პროკურატურას.

საქმის მასალების თანახმად, 2002 წლის 18 თებერვალს საქართველოს უზენაესი სასამართლოდან საქართველოს გენერალურ პროკურატურის სახელმწიფო ბრალდების სამმართველოში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2002 წლის 8 იანვრის განჩინება, ადვოკატების საჩივარი და გ.მ.-ს ბრალდების საქმე ორ ტომად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების აღძვრის საკითხის გადასაწყვეტად. აღნიშნული სამმართველოს სარეგისტრაციო ჟურნალში არსებული ჩანაწერების მიხედვით 2002 წლის 22 მარტს ხსენებულ საჩივარზე პასუხი გაეგზავნათ ადვოკატებს, ხოლო სისხლის სამართლის (N8798812) საქმის მოძრაობა არ ფიქსირდება.²¹¹ 2021

²⁰⁹ საქმე N2-116. დღეის მდგომარეობით, მსჯავრდებული შეწყალებულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ და მას დადგენილი აქვს გათავისუფლების თარიღი.

²¹⁰ 1998 წელს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენი საკასაციო წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა, ხოლო აპელაცია არ იყო გათვალისწინებული ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (მიღებული 1998 წლის 20 თებერვალს, ძალაში შევიდა 1999 წლის 15 მაისიდან) ძალაში შესვლამდე.

²¹¹ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2007 წლის 28 მარტის N111-7-7 წერილი, სისხლის სამართლის N8707018 საქმის მასალები.

წლის მდგომარეობით, სისხლის სამართლის N8798812 საქმის მასალები ვერ მოიძებნა საგამოძიებო ორგანოს მიერ.²¹²

მსჯავრდებული, მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ, უარყოფდა დაკავების შემდეგ, წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ აღიარებით ჩვენებას და აცხადებდა, რომ მას ჩვენება ძალადობით მიაცემინეს, დანაშაული არ ჩაუდენია და ითხოვდა ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო წარმოების აღძვრას.²¹³

2007 წლის 5 აპრილს, გენერალური პროკურატურის ხელმძღვანელობის დავალებით, დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N8707018 საქმეზე, დაკარგული სისხლის სამართლის N8798812 საქმის აღდგენის მიზნით, გ.მ.-ს ბრალდების საქმეზე, ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. საგამოძიებო ორგანომ, 2007 წელს დაწყებული სისხლის სამართლის N8707018 საქმეზე გამოძიების ფარგლებში, სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებიდან გამოითხოვა გ.მ.-ს ბრალდების 1998 წლის სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები, მათ შორის ექსპერტიზის დასკვნები და განაჩენი, დაკითხა მოწმეთა ნაწილი²¹⁴, რომლებმაც დაადასტურეს მათ მიერ 1998 წელს მიცემული ჩვენებები. გარდა ამისა, 2007 წლის 20 თებერვალს მსჯავრდებულის ადვოკატმა საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში, გ.მ.-ს ბრალდების დაკარგული სისხლის სამართლის N8798812 საქმის დაკარგვის ფაქტზე, მიმდინარე სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, წარადგინა დაცვის მხარის ხელთ არსებული მასალების ნაწილი გ.მ.-ს ბრალდების 1998 წლის საქმიდან (სისხლის სამართლის N8798812 საქმე).

2009 წლის 26 თებერვალს გ.მ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმის აღდგენის მიზნით, 2007 წელს დაწყებული გამოძიება შეწყდა იმავე ბრალდების საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენის არსებობის გამო.²¹⁵

²¹² გ.მ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის N8798812 საქმის დაკარგვის ფაქტზე, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მიმდინარეობდა გამოძიება სისხლის სამართლის N74068217 საქმე, სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. თუმცა, სისხლის სამართლის N8798812 საქმის მასალების ვერ მოიძებნა, ხოლო საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით (2021 წლის 31 მაისის N13/31645 წერილი) 2021 წლის 31 მაისის მდგომარეობით, მიუხედავად სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლისა, სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე მიმდინარე გამოძიებაზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ იყო.

²¹³ აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულს, წლების განმავლობაში, არაერთხელ აქვს მიმართული საქართველოს სახალხო დამცლის აპარატისთვის მისი ბრალდების სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

²¹⁴ სხვადასხვა მიზეზთა გამო ყველა მოწმესთან და დაზარალებულთან დაკავშირება გამოძიებამ ვერ შეძლო.

²¹⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 28, ნაწ.1, ქვეპუნქტი „ი“ (1998 წლის რედაქცია). გამოძიების შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების დადგენილებით დარჩა ძალაში.

შესწავლილი მასალების²¹⁶ და განაჩენის²¹⁷ შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ გ.მ.-ს მიმართ 1998 წლის 20 აგვისტოს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი ემყარებოდა არა მხოლოდ განსასჯელის²¹⁸ აღიარებას, არამედ ასევე სხვა მტკიცებულებებს.²¹⁹ მიუხედავად ამისა, მსჯავრდებული და მისი ადვოკატები 2000-იანი წლების დასაწყისში²²⁰ ამტკიცებდნენ, რომ საქმეზე ახლად აღმოჩენილი გარემოებების საფუძველზე უნდა გაუქმებულიყო გ.მ.-ს მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი. 2002 წლის 22 მარტს საჩივრის ავტორისთვის გაგზავნილი პასუხის შემდეგ, 1998 წელს წარმოებული სისხლის სამართლის საქმის მასალები აღარ იძებნება.

ვინაიდან 1998 წელს წარმოებული სისხლის სამართლის საქმის მასალები საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებში არ იძებნება და, ასევე, 2007-2009 წლებში საგამოძიებო ორგანოს მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხდა გ.მ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმის მასალების სრულად აღდგენა, გ.მ.-ს მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ვერ განხორციელდება. აღნიშნული კი გამორიცხავს მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობასა და მსჯავრდებულის უფლებების დაცვას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შუამდგომლობა დასაბუთებული და განაჩენის შეცვლის საფუძველი იქნება.

გ.მ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლის დროს, ასევე გამოიკვეთა, რომ 2007 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მცხეთა-მთიანეთსა და, შესაბამისად, საგამოძიებო ორგანოს მიმართ გაიცა მითითება, მოეხდინათ გ.მ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის N8798812 საქმის აღდგენის მიზნით გამოძიების დაწყება. აღსანიშნავია, რომ 2007 წლის მდგომარეობით, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებდა სისხლის სამართლის საქმის აღდგენას.²²¹ მიუხედავად ამისა,

²¹⁶ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 20 აგვისტოს N13/53823 წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიეწოდა გ.მ.-ს ბრალდების აღდგენილი სისხლის სამართლის N8707018 საქმის მასალების ასლები.

²¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 20 აგვისტოს განაჩენი, საქმე N2-116.

²¹⁸ განსასჯელი - ბრალდებული, რომლის მიმართ საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ საქმე არსებითად განსახილველად ჩაბარდა სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, გათვალისწინებული იყო 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლამდე.

²¹⁹ ამასთან, საქმეში შესაძლოა ადგილი ჰქონოდა სხვადასხვა დარღვევებს ან/და კონკრეტული გარემოებების არასრულყოფილად გამოკვლევას, თუმცა, წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე, აღნიშნული ხარვეზები გავლენას ვერ მოახდენდა განაჩენზე.

²²⁰ წარმოდგენილი საქმის მასალებიდან არ იკვეთება თუ კონკრეტულად როდის მიმართეს მსჯავრდებულის ადვოკატებმა საქართველოს გენერალურ პროკურატურას ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო წარმოების აღძვრის შესახებ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელთ არსებული მასალების თანახმად, ადვოკატების მიმართვის საფუძველზე 2001 წლის 31 აგვისტოს იქნა გამოტანილი პროკურორის დადგენილება ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო წარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

²²¹ სისხლის სამართლის საქმის აღდგენის მარეგულირებელი დანაწესი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ 2010 წლის 7 დეკემბრის N3891_III საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით.

ორი ან მეტი პირის მიმართ გ.მ.-ს მიერ განზრახ მკვლელობის ჩადენის ფაქტზე 2007 წლის 5 აპრილს გამოძიების დაწყება და 2009 წელს, ამავე ფაქტზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენის არსებობის საფუძველით შეწყვეტით მსჯავრდებულის უფლებების ან/და მართლმსაჯულების ინტერესის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, აღსანიშნავია, რომ გ.მ.-ს მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის დროს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი არ შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო და გაპროტესტებულიყო საკასაციო წესით.²²² ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1998 წელს მიღებული ახალი რედაქცია ადგენდა, რომ სისხლის სამართლის პროცესში გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, რომელიც მოქმედებს წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს.²²³ შესაბამისად, უვადოდ მსჯავრდებულებს გ.მ.-ს მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 1998 წლის 20 აგვისტოს განაჩენი, იმ დროისთვის მოქმედი კანონის შესაბამისად, არ გასაჩივრებულა.

1998 წელს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებამდე, რომლითაც მსჯავრდებულებს მიენიჭათ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების უფლება, 1998 წლის 7 აგვისტოს, თავმჯდომარისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას კიდევ ორი მსჯავრდებული პ.კ.-ს და ზ.ჩ.-ს მიმართ აქვს გამოტანილი. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, პენიტენციურ დაწესებულებებში მხოლოდ ერთი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე, სასჯელს იხდის 3 მსჯავრდებული.

1998 წლის 7 აგვისტოს განაჩენის²²⁴ თანახმად, პ.კ. და ზ.ჩ. ცნობილ იქნენ დამნაშავედ დამამძიმებელ გარემოებებში ანგარებით, ორი ან რამდენიმე პირის, განსაკუთრებული სისასტიკით ან ისეთ საშუალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალ პირთა სიცოცხლისთვის, სხვა დანაშაულის დაფარვის ან გაადვილების მიზნით და იმ პირის მიერ, ვისაც ადრე ჰქონდა ჩადენილი განზრახ მკვლელობა²²⁵ და სასჯელის სახედ განესაზღვრათ უვადო თავისუფლების აღკვეთა.²²⁶

²²² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 337, ნაწ. 5 (1998 წელს მოქმედი რედაქცია).

²²³ 1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ.3, ნაწ. 1.

²²⁴ საქმე N2-76.

²²⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (1960 წლის რედაქცია), მუხ. 104, ნაწ.1,4,6,7 და 9.

²²⁶ განაჩენის გამოტანის შემდეგ, პ.კ.-სა და ზ.ჩ.-ს მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 1998 წლის 7 აგვისტოს განაჩენი რამდენჯერმე გადაისინჯა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გამო და გარკვეული ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებისთვის დანიშნული სასჯელები შესაბამისობაში იქნა მოყვანილი

ამ დროისთვის მსჯავრდებულები გ.მ., პ. კ. და ზ. ჩ. შეწყალებულნი არიან და დადგენილი აქვთ გათავისუფლების თარიღი.

9.6. მსჯავრდებულების შეზღუდვა საპროცესო უფლებაში

2007 წლის 26 იანვარს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის სამმართველოში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის N083070018 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით.²²⁷

გამოძიებით დადგინდა, რომ 2007 წლის 25 იანვარს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს დედა - 78 წლის ქალი და მისი შვილი - 38 წლის მამაკაცი. მათ ჭრილობები ყელის არეში ჰქონდათ მიყენებული.

2007 წლის 28 იანვარს საქმეზე დაკავებული იქნა რ. ა. და 30 იანვარს დ. ბ. და გ. ა. დაკავებული პირები გამოძიებამ დაკითხა. მათ აღიარეს ყაჩაღობისა და დედა-შვილის მკვლელობაში მონაწილეობა.

სისხლის სამართლის საქმე არსებითად განიხილა ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ. სასამართლოში ჩვენება მისცეს ბრალდებულებმა რ. ა.-მ და გ. ა.-მ, ხოლო დ. ბ.-მ სასამართლოში ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა. სამივე ბრალდებულმა სასამართლოში თავი დამნაშავედ მხოლოდ ყაჩაღობის ჩადენის ნაწილში ცნო.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 ივნისის განაჩენით ბრალდებულები რ. ა., გ. ა., დ. ბ. და ი. ა. (დაუსწრებლად) დამნაშავედ იქნენ ცნობილი დამამძიმებელ გარემოებებში ჯგუფურად, ორი ან მეტი პირის განსაკუთრებული სისასტიკით, სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით განზრახ მკვლელობასა და ყაჩაღობაში.²²⁸ სასჯელის სახედ და ზომად, დანაშაულთა ერთობლიობით, ყველა მსჯავრდებულს განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 ივნისის განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრდა მსჯავრდებულების, გ. ა.-ს, დ. ბ.-სა და რ. ა.-ს მიერ. რ. ა. სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ დედა-შვილის მკვლელობა ჩადენილი იქნა ამსრულებლის ექსცესის პირობებში, ითხოვდა მკვლელობის ნაწილში გამართლებასა და დამნაშავედ ცნობას მხოლოდ

სასამართლოს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის ახალი რედაქციით დადგენილ სანქციებთან, თუმცა, ვინაიდან მსჯავრდებულები დამნაშავედ იყვნენ ცნობილი იმ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც კვლავ ითვალისწინებდა სასჯელის სახედ უვადო თავისუფლების აღკვეთას, საბოლოო სასჯელის სახედ მათ მაინც განესაზღვრათ უვადო თავისუფლების აღკვეთა.

²²⁷ განზრახ მკვლელობა: ორი ან მეტი პირისა, განსაკუთრებული სისასტიკით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2006 წლის 28 აპრილის N2936 საქართველოს კანონით განხორციელებული ცვლილებების ამოქმედებიდან მოქმედი რედაქცია).

²²⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 109, ნაწ. 1, ქვეპუნქტ. „დ“, ნაწ.2, ქვეპუნქტ. „ე“, ნაწ. 3, ქვეპუნქტ. „ა“, „ბ“ და „გ“, მუხ. 179ნაწ. 2, ქვეპუნქტ. „ბ“ და ნაწ. 3, ქვეპუნქტ. „ბ“ და „გ“.

ყაჩაღობის ჩადენაში. მსჯავრდებული გ. ა.-ს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა იყო მკვლელობაში მისი უდანაშაულოდ ცნობა და სასჯელის განსაზღვრა მხოლოდ ყაჩაღობის მუხლით. მსჯავრდებულ დ. ბ.-ს კონკრეტული მოთხოვნა არ ჰქონია და სააპელაციო სასამართლოს მტკიცებულებების შესაძლო გაყალბებაზე მიუთითებდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ წარმოებაში მიიღო მსჯავრდებულთა სააპელაციო საჩივრები და დაიწყო საქმის განხილვა. 2007 წლის 21 და 28 აგვისტოს მსჯავრდებულებს N6 საპრობილეში გაეგზავნათ წერილი სასამართლოსგან, რომ 2007 წლის 31 აგვისტოს დანიშნული იყო საქმის განხილვის პირველი სხდომა.

საქმის მასალებში დევს 2007 წლის 31 აგვისტოს ტელეფონოგრამის ოქმი,²²⁹ რითაც დგინდება, რომ სამივე მსჯავრდებულისთვის ცნობილი იყო სხდომის თარიღი. ამასთან, მსჯავრდებულმა დ. ბ.-მ წერილობით მიმართა N6 დაწესებულების ადმინისტრაციას და ითხოვა პროცესზე მიყვანა.

2007 წლის 31 აგვისტოს სასამართლო სხდომის ოქმიდან დგინდება, რომ სხდომაში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ ადვოკატებმა. სხდომის ოქმის თანახმად, საბადრაგო სამსახურის მიერ არ იქნენ წარმოდგენილნი მსჯავრდებულები. მათთვის ცნობილი იყო სხდომის თარიღი, მაგრამ არ მიუმართავთ სასამართლოსთვის განხილვაში მონაწილეობის შესახებ შუამდგომლობით. თუმცა, საქმეში არის 2007 წლის 30 აგვისტოთი დათარიღებული შუამდგომლობა, რომელის თანახმადაც მსჯავრდებულმა დ. ბ.-მ ითხოვა საქმის განხილვაში მონაწილეობა, აგრეთვე, არის ადვოკატის შუამდგომლობა იმავე მოთხოვნით. 2007 წლის 31 აგვისტოს სხდომაზე რ. ა.-ს ადვოკატმაც დააყენა შუამდგომლობა, რომ სასამართლო განხილვა გაგრძელებულიყო მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მონაწილეობით. 2007 წლის 31 აგვისტოს სხდომა გადაიდო აღნიშნული შუამდგომლობების გაქდერების შემდეგ.

2007 წლის 7 სექტემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაგრძელდა საქმის განხილვა. განხილვაში მონაწილეობდა სამივე მსჯავრდებულის ადვოკატი. სხდომის ოქმის თანახმად, საბადრაგო სამსახურს არ წარმოუდგენია მსჯავრდებულები. მათ კანონით დადგენილი წესით ეცნობათ სხდომის თარიღი, მაგრამ არ მიუმართავთ შუამდგომლობით მონაწილეობის მისაღებად. თუმცა, საქმის მასალებში არის 2007 წლის 3 სექტემბრით დათარიღებული წერილი, რომლითაც მსჯავრდებული რ. ა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს სთხოვს, რომ უზრუნველყოს სასამართლო განხილვაში მისი მონაწილეობა. ამის შემდეგ, 2007 წლის 11 სექტემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შევიდა სამივე მსჯავრდებულის განცხადება, ისინი ითხოვდნენ, რომ მისცემოდათ პროცესზე დასწრების შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, 2007 წლის 14 სექტემბერს სხდომა გაიხსნა მსჯავრდებულთა მონაწილეობის გარეშე. ამავე პროცესზე სხდომის თავმჯდომარემ მსჯავრდებულთა 2007 წლის 11 სექტემბრის შუამდგომლობები გამოაცხადა და ადგილზე

²²⁹ N6 პენიტენციურმა დაწესებულებამ ტელეფონოგრამის საშუალებით შეატყობინა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს.

თათბირით არ დააკმაყოფილა. სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან სამივე მსჯავრდებული მონაწილეობდა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვაში, მათი უფლებები არ შეზღუდულა მტკიცებულებათა გამოკვლევისას, სააპელაციო სასამართლოში კი მათ ინტერესებს იცავენ ადვოკატები, სააპელაციო სასამართლოში მსჯავრდებულთა საქმის განხილვაში მონაწილეობის აუცილებლობა არ არსებობს.

2007 წლის 14 სექტემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, მსჯავრდებულთა ადვოკატების მიერ დაცვითი სიტყვების წარდგენის შემდეგ, არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივრები და სამივე მსჯავრდებულის მიმართ ძალაში დატოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 ივნისის განაჩენი. მსჯავრდებულებმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრეს საკასაციო წესით, თუმცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 15 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივრები არ იქნა დაშვებული განსახილველად.

2007 წელს, რ. ა.-ს, დ. ბ.-სა და გ. ა.-ს სააპელაციო საჩივრების ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში განხილვის დროს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი იყო ბრალდებულის უფლებები, რაც მოიცავდა სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოთა სხდომებში მონაწილეობის მიღების და იქ თავისი ინტერესების დამოუკიდებლად ან დამცველის მეშვეობით დაცვის უფლებას.²³⁰ ამასთან, პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებული სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვაში მონაწილეობდა თავისი შუამდგომლობით და სასამართლოს გადაწყვეტილებით.²³¹ მიუხედავად იმისა, რომ რ. ა.-მ, ბ. დ.-მ და გ. ა.-მ არაერთხელ მიმართეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სხდომებში მონაწილეობის თხოვნით, სასამართლომ მათი შუამდგომლობები ბოლო სხდომაზე გამოაცხადა და არ დააკმაყოფილა. ამასთან, მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ წინა რამდენიმე სხდომის თარიღთან დაკავშირებით მიაწოდა ინფორმაცია პენიტენციურ დაწესებულებასა და მსჯავრდებულებს და სხდომაზე აღნიშნავდა, რომ მსჯავრდებულები არ იქნენ წარმოდგენილი საბადრაგო სამსახურის მიერ. 2007 წლის 14 სექტემბრის სხდომაზე, კი აღარ გაითვალისწინა მსჯავრდებულების სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზი და მათი შუამდგომლობა პროცესში მონაწილეობის მიღების შესახებ არ დააკმაყოფილა სრულიად სხვა საფუძველით, რაც ბაღებს ეჭვს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია მსჯავრდებულების უფლებები, მონაწილეობა მიეღოთ მათი სააპელაციო საჩივრების განხილვაში პირადად მხოლოდ საჩივრის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილებისა და შემჭიდროვებულ ვადებში დასრულების მიზნით. თუმცა, საქმის მასალების თანახმად, მსჯავრდებულთა სხდომაზე გამოუცხადებლობისა და საჩივრის განხილვის გაჭიანურების მიზეზს არ წარმოადგენდა მსჯავრდებულთა განზრახი ქმედება.

²³⁰ 1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 76, ნაწ. 3.

²³¹ 1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 531, ნაწ. 3.

10. შეჯამება

ამგვარად, სპეციალური ანგარიშის ფარგლებში კვლევის შედეგად, სახალხო დამცველის აპარატი დეტალურად გაეცნო უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლებრივ მდგომარეობას, მათ შორის, მათი ბრალდების სისხლის სამართლის საქმეების, აგრეთვე, პენიტენციური სისტემაში სასჯელის მოხდის განმავლობაში განვლილი დროის შესწავლისა და შეფასების ფორმით.

სისხლის სამართლის საქმეთა გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ, ძირითადად, სისხლის სამართლის პროცესი მიმდინარეობდა იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, თუმცა, არაერთ საქმეში გამოვლინდა სხვადასხვა სახისა და სიმძიმის დარღვევები.

კერძოდ, ერთ შემთხვევაში გამოიკვეთა მსჯავრდებულების სასამართლო პროცესზე დასწრების აშკარად გაუმართლებელი და დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ამასთან, რიგ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიება დღეს რომ წარმოებულიყო, ტექნოლოგიური განვითარებისა და შედარებით დახვეწილი საპროცესო კოდექსის პირობებში, სავარაუდოდ, მეტი ნეიტრალური მტკიცებულება იქნებოდა მოპოვებული. კერძოდ, მეტი შესაძლებლობა იარსებებდა ადამიანის ბიოლოგიური კვალის აღმოსაჩენად, ნეიტრალური მტკიცებულების სახით ვიდეოჩანაწერების ამოსაღებად და სხვა, რაც განაჩენთან მიმართებით, რიგ შემთხვევაში, არსებით კითხვის ნიშნებს არ წარმოშობდა და განაჩენებს მეტად დასაბუთებულს გახდიდა.

სისხლის სამართლის საქმეთა მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა როგორც განაჩენისა და სასჯელის, აგრეთვე, დანაშაულის ცალკეული მაკვალიფიცირებელი გარემოებების დასაბუთების პრობლემა. კერძოდ, ზემოთ მიმოხილულია რამდენიმე შემთხვევა, სადაც კონკრეტული პირი მსჯავრდებულია განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, თუმცა სასამართლოების მიერ განაჩენში საერთოდ არ არის დასაბუთებული დამამძიმებელი გარემოების არსებობა.

სისხლის სამართლის საქმეებში დაკავებული ეჭვმიტანილების აღიარებითი ჩვენებები, აგრეთვე, ბადებს სარწმუნო ეჭვს, რომ მათგან თვითმამხილებელი ინფორმაციის მიღება, არაერთ შემთხვევაში, შესაძლოა, ხდებოდა არასათანადო მოპყრობით ან მისი მუქარით. აღიარებითი ჩვენებების მიღება იმ პირობებში, როდესაც, ჯერჯერობით, გამოძიებასაც კი არ გააჩნდა არავითარი ხელშესახები მტკიცებულება ეჭვმიტანილის წინააღმდეგ, ხშირ შემთხვევაში, გაუგებარია და იწვევს კითხვის ნიშნებს ინფორმაციის მიღების ფორმების კანონიერებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი ინფორმაციის ამოღება, ძირითადად, ხდებოდა ადვოკატის დასწრების გარეშე.

დამატებით, ერთ-ერთი ძირითადი და არსებითი პრობლემა, რაც სპეციალური ანგარიშის ფარგლებში კვლევისას გამოიკვეთა ისაა, რომ იურიდიული დახმარებისა და კონსულტაციის, ასევე, პროაქტიული შეტყობინების არარსებობის პირობებში, მსჯავრდებულებს არ ჰქონდათ ინფორმაცია სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებების თაობაზე, რომელიც მიემართებოდა სასჯელის შესაძლო შემსუბუქებისა და მათ სასარგებლოდ გამოყენების

შემთხვევებს. მნიშვნელოვანია სახელმწიფომ უზრუნველყოს თავისუფლების აღკვეთის მოხდის ისეთი ადმინისტრირება, რომ მსჯავრდებულს არ მოუწიოს კანონითა და განაჩენით დადგენილზე მეტი დროის გატარება პენიტენციურ დაწესებულებაში. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კანონმდებლობაში, მათ შორის სისხლის სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო ნორმატიულ აქტებში არც თუ იშვიათად ხორციელდება სხვადასხვა სახის ცვლილებებისა თუ დამატებების შეტანა და თითოეული საკანონმდებლო ცვლილების ანალიზი, რამდენად შეიძლება ახალმა დანაწესმა შეამსუბუქოს კონკრეტული მსჯავრდებულის მდგომარეობა, საკმაოდ შრომატევადი საქმიანობაა და მოითხოვს დიდძალ ადამიანურ და დროით რესურსებს. მეორეს მხრივ, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც დასრულებულია სისხლის სამართლის საქმისწარმოება და საბოლოო განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული, შესაძლოა აღარ ჰყავდეს ადვოკატი შეტანხმებით, რომელიც მას მიაწვდის ინფორმაციას საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ და გაუწევს სათანადო საადვოკატო მომსახურებას, ხოლო თავად მსჯავრდებულს შესაძლოა არ ჰქონდეს შესაბამისი იურიდიული განათლება და დროულად ვერ შეძლოს ინფორმაციის მოპოვება კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შესახებ. თავისუფლების აღკვეთის უსაფუძვლოდ გაგრძელების თავიდან არიდებისა და გამოკვეთილი პრობლემის განმეორების პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილი იქნება, სახელმწიფომ სამომავლოდ შეიმუშავოს მექანიზმი, კანონმდებლობაში მსჯავრდებულის სასარგებლო ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, იმ პატიმრებისათვის ასეთი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, რომლებზეც, პოტენციურად, შეიძლება გავრცელდეს ესა თუ ის ცვლილება. ეს ყველაფერი მით უფრო აუცილებელია, როდესაც საქმე უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებს ეხებათ.

რაც შეეხება უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების ცხოვრებას პენიტენციურ სისტემაში, პენიტენციურ დაწესებულებებში სასჯელის მოხდის განმავლობაში ყოფაქცევისა და პირადი ისტორიის გათვალისწინებით, მსჯავრდებულების მონაცემები განსხვავდება, რაც გამოიხატება როგორც წახალისებებისა და მიღებული დისციპლინური სახდელების, ისე, აქტივობის, დანაშაულის მიმართ დამოკიდებულების, რესოციალიზაციისკენ მიდრეკილების და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების მიხედვით.

მიუხედავად ამისა, მაგალითად, განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკი, არც ერთი მსჯავრდებულის შემთხვევაში, გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიშების მიხედვით, არ არის საშუალოზე დაბალი, რაც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ამ ნაწილში მათი შეფასება შესაძლოა იყოს შაბლონური და არა - ინდივიდუალურ მონაცემებზე მორგებული. გასათვალისწინებელია, რომ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც სასამართლო მხედველობაში იღებს მსჯავრდებულზე შეღავათის გავრცელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევაში, სასამართლოები ექსკლუზიურ ყურადღებას აპყრობენ დაზარალებულის პოზიციას, რაც, დანაშაულების ბუნებიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ არასოდეს შეიცვლება. ამგვარად, უვადო მსჯავრდებულების შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე სისტემურად უარის თქმამ მხოლოდ აღნიშნული საფუძვლით, შესაძლოა, გამოიწვიოს მსჯავრდებულების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით მათი მოტივაციის დაკარგვა.

წინამდებარე ანგარიშზე მუშაობის ერთ-ერთ უმთავრეს მიღწეულ შედეგად სახალხო დამცველი, აპარატის ჩართულობით ერთ-ერთი უვადო თავისუფლებადკვეთილი პირის გათავისუფლებას მიიჩნევს. პირი, რომელიც 2004 წლიდან იხდიდა სასჯელს და რომელიც კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შედეგად ჯერ კიდევ 2019 წელს უნდა გათავისუფლებულიყო, შეიძლება პენიტენციურ სისტემაში კანონშეუსაბამოდ, ყოფილიყო სიცოცხლის ბოლომდე, უვადოდ, რომ არა მოცემული ანგარიშის შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოვლენილი სამართლებრივი გარემოებები. აპარატის მიერ იდენტიფიცირებული საკითხების შესახებ, უვადო თავისუფლებადკვეთილ პირს დაუყოვნებლივ ეცნობა, რის საფუძველზეც მან მიმართა სასამართლოს, ხოლო სახალხო დამცველი სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით ჩაერთო საქმის წარმოებაში, შედეგად, მსჯავრდებული სხდომათა დარბაზიდან გათავისუფლდა.

სამომავლოდ, ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე ანგარიშის მიგნებები, ყველა უვადოდ თავისუფლებადკვეთილი მსჯავრდებულის უფლებების ეფექტიანი უზრუნველყოფის მიზნით, დაეხმარება საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, სასამართლოებს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, ასევე ყველა სხვა რელევანტურ უწყებას, მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტისას. მაგალითად, ახალი ამნისტიისა თუ შეწყალების აქტის გამოცემისას, პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხზე მსჯელობისას, გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის ანგარიშის მომზადებისას და სხვა.

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების სამართლიანი აღსრულება, მათ შორის, მსხვერპლთა ოჯახების ინტერესების ადეკვატური დაცვა. ამავდროულად, აღნიშნულმა არ უნდა შექმნას იმგვარი მდგომარეობა, რომ უვადო თავისუფლებადკვეთილი მსჯავრდებულების უფლებრივი გარანტიები და მათი პირობით ვადამდე გათავისუფლების პერსპექტივები დარჩეს კანონმდებლობის ილუზორული ხასიათის ფორმალურ ჩანაწერებად.